# ფილმები ბავშვებზე - ბავშვების სამყაროს კინემატოგრაფიული აღქმა

**ავტორი: შორენა მალაციძე**

*ფილმების რესურსის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასკოლო სივრცეში. მოცემულ სტატიაში ვეცადე ჩემ მიერ ნანახი ფილმები კატეგორიების მიხედვით დამეჯგუფებინა და ასეთი სახით მომეწოდებინა. სტატიის მთავარ მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა თვალით დაგვანახოს ბავშვების რეალობა. ფილმები საინტერესო არის როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. თითოეულ ფილმს თან ახლავს Rotten Tomatoes კრიტიკოსთა შეფასებების ქულა და IMDb (The Internet Movie Database) მაჩვენებლები. სტატიას ასევე თან ერთვის ასაკობრივი შეზღუდვები (MPAA - Motion Picture Association film rating system), თუმცა მნიშვნელოვანია ფილმის შინაარს წინასწარ გავეცნოთ.*

## ფილმებს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის ასაკობრივი კატეგორიები:

- *G (General Audience) - ზოგადი აუდიტორია, ყველა ასაკისთვის შესაფერისია;*
- *PG (Parental Guidance) - მშობლის ნებართვა რეკომენდირებულია;*
- *PG-13 (Parents Strongly Cautioned) - მშობლებს რჩევა ეძლევათ, რომ ფილმი შეიძლება არ იყოს რეკომენდებული 13 წლამდე ბავშვებისთვის;*
- *R (Restricted) - 17 წლიდან და უფროსი ასაკის პირებისთვის არის განკუთვნილი;*
- *NC-17 (No One 17 and Under Admitted) - 17 წლამდე არასრულწლოვნები არ დაიშვებიან, ფილმი მხოლოდ 17 წელზე მეტი ასაკის პირებისთვისაა განკუთვნილი.*

**სტატია ჯამში 168 ფილმს მოიცავს, რომელიც 10 კატეგორიის მიხედვით არის განაწილებული.**


1. ომი და ბავშვები
2. მამები და შვილები
3. დედა შვილები
4. ძალადობრივი ურთიერთობები
5. ოჯახი
6. საკუთარი თავის ძიება
7. ქართული ფილმები
8. ახალგაზრდების პრობლემები
9. ადიქცია
10. სკოლა და მასწავლებელი
    - 1.1.1. დაწესებულება
    - 1.1.2. სკოლა და ბულინგი

# ომი და ბავშვები

***Empire of the Sun (1987) - მზის იმპერია***




**PG IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 77%**

სტივენ სპილბერგის მიერ გადაღებული ისტორიულ-დრამატული ფილმი, რომელიც ჯ. გ. ბალარდის ავტობიოგრაფიულ რომანს ეფუძნება. მოქმედება ვითარდება მეორე მსოფლიო ომის დროს (1941 წელს), როდესაც იაპონია თავს ესხმის შანხაის. მთავარი გმირი, ჯიმ გრეჰემი (კრისტიან ბეილი), ბრიტანელი ბიჭია, რომელიც მდიდარ ოჯახში იზრდება. იაპონელების შემოჭრის დროს, ჯიმი ოჯახს კარგავს და მარტო რჩება. ჯიმი გადარჩენისთვის იბრძვის ქალაქის განადგურებულ ქუჩებში, შემდეგ კი იაპონელთა ტყვეთა ბანაკში ხვდება. ფილმი გვიჩვენებს ომის გავლენას ბავშვის ფსიქიკასა და ადამიანურ ურთიერთობებზე.

**Run Boy Run (2013) - გაიქეცი ბიჭუნავ, გაიქეცი**

**IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 85%**

ფილმი ეფუძნება ური ორლევის ამავე სახელწოდების წიგნს და მოგვითხრობს ებრაელი ბიჭის გადარჩენის საოცარ ისტორიას მეორე მსოფლიო ომის დროს. მთავარი გმირი სრულეკ ფრაიმანი (რომელსაც მოგვიანებით იურეკს უწოდებენ), 8 წლის ებრაელი ბიჭია, რომელიც 1942 წელს ვარშავის გეტოდან გარბის. პატარა სრულეკი მარტო რჩება, ტყეებსა და სოფლებში დახეტიალობს და გადარჩენისთვის იბრძვის. ის სხვადასხვა პოლონურ ფერმაში მუშაობს, იმალება და ცდილობს, თავი ქრისტიან ბიჭად გაასაღოს, რათა ნაცისტების ყურადღება არ მიიპყროს.

**Goodbye, Children (Au revoir les enfants) (1987) - მშვიდობით ბავშვებო**

**PG IMDb 8/10 Rotten Tomatoes 97%**

ლუი მალის მიერ გადაღებული ფრანგული ფილმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარ რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული. მოქმედება ვითარდება 1944 წლის ნაცისტების ოკუპირებულ საფრანგეთში. მთავარი გმირი, ჟულიენ კუენტენი, 12 წლის ფრანგი ბიჭია, რომელიც კათოლიკურ ინტერნატში სწავლობს. ერთ დღეს სკოლაში ახალი მოსწავლე - ჟან ბონე ჩამოდის. ჟულიენი თავდაპირველად მასთან მეგობრობას არ ცდილობს, მაგრამ დროთა განმავლობაში დაახლოვდებიან. ჟულიენი იგებს, რომ ჟანი ებრაელია, რომელიც დირექტორმა მამა ჟაკმა სკოლაში ნაცისტებისგან დასამალად შეიფარა. მიუხედავად იმისა, რომ მათი მეგობრობა ძლიერდება, ომის სასტიკი რეალობა მათ თანდათან ეწევა. ფილმი ძლიერი ემოციებით გვიჩვენებს ბავშვების მეგობრობასა და ომის მიერ გამოწვეულ ტრაგედიას.

**The Book Thief (2013) - წიგნების ქურდი**




**PG-13 IMDb 7.5/10 Rotten Tomatoes 50%**

ფილმი ეფუძნება მარკუს ზუსაკის ბესტსელერ რომანს და მეორე მსოფლიო ომის დროს მცხოვრები ახალგაზრდა გოგონას ემოციურ და მტკივნეულ ისტორიას მოგვითხრობს. მოქმედება ვითარდება 1939 წელს ნაცისტურ გერმანიაში. მთავარი გმირი, ლიზელი, 9 წლის გოგონაა, რომელსაც ჰუბერმანების ოჯახში მიაბარებენ. მამინაცვალი ჰანსი (ჯეფრი რაში) ასწავლის კითხვას, რაც ლიზელის სამყაროს მნიშვნელოვნად ცვლის. ოჯახი თავშესაფარს აძლევს ებრაელ ბიჭს, მაქსს, რომელიც ნაცისტებისგან იმალება. ლიზელსა და მაქსს შორის ძლიერი მეგობრობა ყალიბდება. თუმცა ომის საშინელებები თანდათანობით აღწევს მათ ოჯახს, რაც საბოლოოდ მძიმე ტრაგედიით მთავრდება. ფილმი ეხება იმედს, განათლების ძალას და სიკეთეს ყველაზე ბნელ დროსაც კი.

**First They Killed My Father (2017) - ჯერ მამაჩემი მოკლეს**

**R IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 88%**

ანჯელინა ჯოლის მიერ გადაღებული მძაფრი და ემოციური ისტორიული დრამა, რომელიც დაფუძნებულია ლუნგ უნგის მემუარებზე. ფილმი გვიყვება ლუნგ უნგის, 5 წლის გოგონას, ისტორიას, რომელიც 1970-იან წლებში კამბოჯაში წითელ ქმერთა (Khmer Rouge) ტერორის პერიოდში გადარჩენისთვის იბრძვის. 1975 წელს კამბოჯის კომუნისტური რევოლუცია იწყება - ლუნგი და მისი ოჯახი იძულებულნი არიან დედაქალაქი დატოვონ და სოფლად შრომით ბანაკებში იცხოვრონ, სადაც გაუსაძლისი შრომისა და შიმშილის მსხვერპლნი ხდებიან. ოჯახი ნელ-ნელა ინგრევა - მამას კლავენ, დედა და და იკარგებიან, ლუნგი ხდება ბავშვი-ჯარისკაცი, რომელიც გადარჩენისთვის იბრძვის. ფილმი აღწერს ბავშვის პერსპექტივით დანახულ ომის საშინელ მოვლენებს, ემოციებს, ტკივილსა და შიშის.

**Ayla: The Daughter of War (2017) - აილა: ომის ქალიშვილი**

**PG-13 IMDb 8.2/10 Rotten Tomatoes 84%**

ფილმი დაფუძნებულია რეალურ ისტორიაზე და მოგვითხრობს 1950-იანი წლების კორეის ომის დროს თურქ ჯარისკაცსა და პატარა კორეელ გოგონას შორის განსაკუთრებული კავშირის შესახებ. თურქი სერჟანტი სულეიმანი ერთ ღამეს მარტო დარჩენილ, შეშინებულ პატარა გოგონას პოულობს, რომლის ოჯახი ომმა იმსხვერპლა. სერჟანტი გოგონას „აილას“ უწოდებს (რაც თურქულად „მთვარის შუქს“ ნიშნავს). საკუთარ ბაზაზე მიჰყავს და მასზე შვილივით ზრუნავს. სულეიმანი ცდილობს, აილა იშვილოს და თურქეთში წაიყვანოს, მაგრამ სამხედრო წესები ამის საშუალებას არ აძლევს. აილას დატოვება ბავშვთა სახლში უწევს. ომის დასრულების შემდეგ სულეიმანი თურქეთში ბრუნდება, მაგრამ აილას ვერ ივიწყებს. ფილმი რეალურ ცხოვრებაში მომხდარი ამბავია - თურქი სერჟანტი და კორეელი გოგონა მთელი ცხოვრება ეძებდნენ ერთმანეთს.

**Beasts of No Nation (2015) - მხეცები არსაიდან**

**IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 91%**

ფილმი ეფუძნება უზოდინმა იუეალას რომანს. ფილმი მოგვითხრობს პატარა ბიჭის, აგუს, ისტორიას, რომელიც დასავლეთ აფრიკაში არსებულ დაუზუსტებელ ქვეყანაში ცხოვრობს. მისი ცხოვრება თავდაყირა დგება, როდესაც სამოქალაქო ომი იფეთქებს. იგი იძულებულია შეუერთდეს ამბოხებულთა ჯგუფს, რომელიც მას ბავშვი-ჯარისკაცის როლს აკისრებს. აგუ და სტრიკა მონაწილეობენ სისხლიან ბრძოლასა და თავდასხმებში. აგუ ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ბავშვური უმანკოება და ადამიანობა - მიუხედავად იმისა, რომ სამყაროში ადამიანობა პრაქტიკულად განადგურებულია. ფილმი აგუს თვალთახედვიდან გვიყვება ომის სისასტიკისა და მისი ფსიქოლოგიური გავლენის შესახებ. ფილმი აღწერს ბავშვთა ცოცხლად გადარჩენის ტრაგედიას და დაკარგულ ადამიანურობას ომში.

**Ivan's Childhood (1962) - ივანის ბავშვობა**




**IMDb 8/10 Rotten Tomatoes 100%**

ანდრეი ტარკოვსკის ფილმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიას ბავშვის თვალით გვიჩვენებს. მთავარი გმირი - ივანი 12 წლის ბიჭია, რომელიც ომის გამო ბავშვობას კარგავს და საბჭოთა არმიისთვის მზვერავად მუშაობს. ომამდე ივანი ბედნიერი ბავშვი იყო, მაგრამ ნაცისტების თავდასხმის დროს ოჯახი დაკარგა. პატარა ასაკის მიუხედავად, იგი გამოცდილი და შეუპოვარი ჯაშუშია. ფილმი დროდადრო გვიჩვენებს ივანის ოცნებებსა და მოგონებებს - ხალისიან, მზიან ბავშვობას, რაც ამძაფრებს ომის ტრაგიკულ რეალობას.

**Come and See (1985) - მოდი და ნახე**

**IMDb 8.3/10 Rotten Tomatoes 89%**

ელემ კლიმოვის მიერ გადაღებული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შოკისმომგვრელი ფილმია ომის თემაზე. ფილმი მეორე მსოფლიო ომის დროს ბელორუსიაში ნაცისტური ოკუპაციის უბედურებას გვიჩვენებს. მთავარი გმირი ფლიორა, 14 წლის ბიჭია, რომელიც პარტიზანულ რაზმში გაწევრიანებაზე ოცნებობს. თუმცა ომი არ აღმოჩნდება ისეთი გმირული და რომანტიკული, როგორსაც ფლიორა წარმოიდგენდა. მისი სოფელი მიწასთან გასწორდება, ოჯახი განადგურდება, ხოლო თვითონ ნელ-ნელა კარგავს ბავშვურობას, სულიერ სიმშვიდეს და საბოლოოდ ფსიქოლოგიურად იმსხვრევა.

**Barefoot Gen (1983) - ფეხშიშველი გენი**




**IMDb 8/10 Rotten Tomatoes 71%**

ანიმე ეფუძნება კეიჯი ნაკაძავას ავტობიოგრაფიულ მანგაზე და მოგვითხრობს ჰიროსიმას ატომური დაბომბვისას გადარჩენილი ბიჭის მძიმე ისტორიას. მოქმედება ვითარდება 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეებში, იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში. გენმა და მისმა ორსულმა დედამ ბედის ირონიით გადარჩენა მოახერხეს, მაგრამ ოჯახის დანარჩენი წევრები ცოცხლად იწვებიან ნანგრევებში. ქალაქი ჯოჯოხეთად გადაიქცევა - კვამლი, დამწვარი სხეულები, დაჭრილები და გადარჩენილები. იგი ხედავს, როგორ კვდებიან ადამიანები რადიაციისგან, შიმშილისა და სასოწარკვეთისგან. გენმა უნდა იბრძოლოს არა მხოლოდ გადარჩენისთვის, არამედ თავისი დედისა და ახალდაბადებული ძმის გადასარჩენადაც. Barefoot Gen ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ემოციური ანიმეა, რომელიც რეალურად გვაჩვენებს ჰიროსიმას ტრაგედიას ბავშვის თვალით.

**Grave of the Fireflies (1988) - ციცინათელების სასაფლაო**




**IMDb 8.5/10 Rotten Tomatoes 100%**

ისაო ტაკაჰატას ტრაგიკული ანიმაციური ფილმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდს გვიჩვენებს. მოვლენები 1945 წელს იაპონიაში ვითარდება. ფილმი და-ძმის - 14 წლის სეიტასა და 4 წლის სეძუკოს ისტორიას გვიყვება. ბავშვების მამა ომშია, ხოლო დედა ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა. გადარჩენისთვის ბრძოლა, ომის მძიმე პირობები, საკვების დეფიციტი და მძიმე სოციალური სიტუაცია - ფილმი ასახავს არა მხოლოდ ომის სიმძიმეს, არამედ ადამიანების და განსაკუთრებით ბავშვების ტრაგედიას.

**Two Women (La Ciociara) (1960) - ჩოჩარა**

**IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 88%**

ფილმი ეფუძნება ალბერტო მორავიას რომანს და მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის დროს დედისა და მისი ქალიშვილის მძიმე ისტორიას. მოქმედება ვითარდება 1943-1944 წლების იტალიაში მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. ჩეზირა (სოფი ლორენი) რომაელი ქვრივია, რომელიც ცდილობს 12 წლის ქალიშვილთან, როზეტასთან ერთად ომისგან თავის დაღწევას. ისინი რომიდან სოფელში, ჩიოჩარიაში გარბიან - იმ იმედით, რომ უსაფრთხოდ იქნებიან. ფილმის ცენტრალური თემა არის ქალების ტრაგიკული გამოცდილება ომში.

**The Flowers of War (2011) - ომის ყვავილები**

**R IMDb 7.5/10 Rotten Tomatoes 41%**

ფილმი დაფუძნებულია გელინგ იანის რომანზე და რეჟისორ ჟან იმოუს (Zhang Yimou) მიერაა გადაღებული. ფილმი ეფუძნება რეალურ მოვლენებს და გვიყვება 1937 წლის ნანკინის ხოცვა-ჟლეტის დროს მომხდარ ამბავს. ამერიკელი ჯონ მილერი (ქრისტიან ბეილი) ნანკინში ჩადის, რათა მღვდლის დაკრძალვა მოამზადოს. იგი გაქცევის ნაცვლად ეკლესიაში რჩება, სადაც ქრისტიანული სკოლის გოგონები და ადგილობრივი მეძავები ეძებენ თავშესაფარს. მილერს თავიდან მხოლოდ ფულის აღება უნდა, თუმცა დროთა განმავლობაში მისი პიროვნება და ღირებულებები იცვლება. იგი თავგანწირვით იბრძვის გოგოენების გადასარჩენად. ფილმი გვიჩვენებს ომის დროს ქალების ბედსა და ბრძოლას გადარჩენისთვის.

**Jojo Rabbit (2019) - კურდღელი ჯოჯო**

**PG-13 IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 80%**

სატირული დრამა-კომედია, რომლის რეჟისორი და სცენარისტი არის ტაიკა ვაიტიტი. სიუჟეტი ვითარდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდის გერმანიაში. მთავარი გმირი, ჯოჯო ბეტცლერი, 10 წლის გერმანელი ბიჭია, რომელიც ფანატიკურად ემხრობა ნაცისტურ იდეოლოგიას და ჰიტლერის ახალგაზრდულ ორგანიზაციაშია. მისი წარმოსახვითი მეგობარი თავად ადოლფ ჰიტლერია, თუმცა კომიკურად გადაჭარბებული და აბსურდული ვერსიით, რომელსაც თავად ტაიკა ვაიტიტი განასახიერებს. ჯოჯოს ცხოვრება თავდაყირა დგება, როცა აღმოაჩენს, რომ მისი დედა (სკარლეტ იოჰანსონი) სახლში ებრაელ გოგონას - ელისას მალავს. თავდაპირველად, ჯოჯო დაბნეულია და მის მიმართ მტრობას განიცდის, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ შორის მეგობრობა და თანაგრძნობა იზრდება. ფილმი სავსეა შავი იუმორით, ემოციური მომენტებითა და ძლიერი ანტისაომარი გზავნილით. ის გვიჩვენებს, როგორ შეიძლება სიყვარული და ჰუმანურობა სიძულვილზე ძლიერი აღმოჩნდეს.

**The Boy in the Striped Pajamas (2008) - ბიჭი ზოლიან პიჟამაში**

**PG-13 IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 65%**

ფილმი დაფუძნებულია ჯონ ბოინის ამავე სახელწოდების რომანზე. ფილმის მოვლენები ვითარდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მთავარი გმირი არის ბრუნო, 8 წლის გერმანელი ბიჭი, რომლის მამა მაღალი რანგის ნაცისტი ოფიცერია და გადაყვანილია ახალ პოზიციაზე, პოლონეთის საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელად. ახალ სახლში მოწყენილობისას ბრუნო აღმოაჩენს ბანაკს და მის გარეთ, მავთულხლართებს მიღმა, ხვდება ებრაელ ბიჭუნას - შმუელს , რომელსაც ზოლიანი პიჟამა აცვია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სამყაროს წარმომადგენლები არიან, მათ შორის მეგობრობა ყალიბდება. ბრუნო ვერ აცნობიერებს ბანაკის ნამდვილ ბუნებას და იმ საშინელებებს, რაც იქ ხდება. ფილმი გვიჩვენებს ომის სისასტიკეს ბავშვის უმანკო თვალით და ხაზს უსვამს, როგორ შეიძლება სიძულვილმა და ცრუ იდეოლოგიამ უდანაშაულო სიცოცხლეები შეიწიროს.

**Pan's Labyrinth (2006) - ფავნის ლაბირინთი**

**R IMDb 8.2/10 Rotten Tomatoes 95%**

ესპანელი რეჟისორის გილერმო დელ ტოროს მიერ გადაღებული ფანტასტიკური დრამა, რომელიც აერთიანებს ბნელ ზღაპარსა და ისტორიულ რეალობას. ფილმის მოვლენები ვითარდება 1944 წლის ესპანეთში, ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დროს. მთავარი გმირი, ოფელია, 11 წლის გოგონაა, რომელიც დედასთან ერთად სამხედრო ბაზაზე გადადის საცხოვრებლად. მისი მამინაცვალი, კაპიტანი ვიდალი, სასტიკი ოფიცერია, რომელიც პარტიზანების წინააღმდეგ იბრძვის. ერთ დღეს ოფელია შემთხვევით აღმოაჩენს მისტიკურ ლაბირინთს, სადაც ხვდება უცნაურ არსებებს. ფილმი შესანიშნავად აერთიანებს საოცრებას და სისასტიკეს, სადაც ფანტასტიკური სამყაროს ჯადოსნური ელემენტები ეჯახება ომისა და სასტიკი რეალობის ბნელ მხარეს.

**The Water Horse: Legend of the Deep (2007) - წყლის ცხენი**




PG **IMDb 6.4/10** **Rotten Tomatoes 74%**

საოჯახო ფენტეზი, რომელიც შთაგონებულია ლოხ-ნესის მონსტრის ლეგენდით. ფილმის მოქმედება ვითარდება შოტლანდიაში მეორე მსოფლიო ომის დროს. მთავარი გმირი, ანგუს მაკმოროუ, მორცხვი და მგრძნობიარე ბიჭია, რომელიც დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობს ტბის პირას, ხოლო მამამისი ომშია წასული. ერთ დღეს ანგუსი პოულობს უცნაურ კვერცხს, საიდანაც მალე იჩეკება პატარა, ზღვის მითიური არსება - „წყლის ცხენი“ , რომელსაც ანგუსი კრუსოს უწოდებს. კრუსო სწრაფად იზრდება და მისი დამალვა სულ უფრო რთული ხდება. ამასობაში, ბრიტანელი ჯარისკაცები ტბის ტერიტორიაზე ბაზას აშენებენ, რადგან შიშობენ, რომ გერმანული წყალქვეშა ნავები შეიძლება გამოჩნდნენ. ფილმი ეხება მეგობრობას, ზრდასრულობის თემას, მაგიას, ლეგენდებსა და ომის გავლენა ბავშვების ცხოვრებაზე.

## მამები და შვილები

Life Is Beautiful (1997) - ცხოვრება მშვენიერია

PG-13 IMDb 8.6/10 Rotten Tomatoes 81%

იტალიური დრამა-კომედია, რომლის რეჟისორი და მთავარი მსახიობი რობერტო ბენინია. ფილმი ერთდროულად გულისამაჩუყებელი, ტრაგიკული და ამავე დროს სიცოცხლისადმი სიყვარულით სავსე ისტორიაა. ფილმის პირველი ნახევარი მხიარული და რომანტიკულია - მთავარი გმირი, გვიდო ორეფიჩე, მოხერხებული და ხალისიანი იტალიელი ებრაელი, ქალაქში ჩადის და დორაზე - ულამაზეს ქალზე შეყვარებული ხდება. კომიკური შემთხვევების შემდეგ, გვიდო საბოლოოდ იგებს მის გულს და ქორწინდებიან. თუმცა ფილმის მეორე ნახევარი მთლიანად იცვლება - მეორე მსოფლიო ომის დროს გვიდოს, დორასა და მათ პატარა ვაჟს, გიოსუეს, ნაცისტები საკონცენტრაციო ბანაკში აგზავნიან. ბანაკის უმოწყალო რეალობისგან შვილის დაცვა რომ შეძლოს, გვიდო შვილს არწმუნებს, რომ ყველაფერი დიდი თამაშია, რომლის მთავარი პრიზი ნამდვილი ტანკია. ის მალავს ნამდვილი საშინელებებისგან, ახალისებს და ყოველნაირად ცდილობს, რომ გიოსუემ იმედი არ დაკარგოს. გვიდო ბოლომდე ინარჩუნებს თავის ოპტიმიზმს, მისი სიმამაცე და სიყვარული შვილს სიცოცხლეს უნარჩუნებს. ფილმი გვიჩვენებს როგორ შეიძლება სიყვარული და მსხვერპლი ყველაზე ბნელ მომენტებშიც კი სიცოცხლის სილამაზედ იქცეს.

**Son of Saul (2015) - საულის ვაჟი**

**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 96%**

უნგრელი რეჟისორის ლასლო ნემეშის ფილმია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ამაღელვებელი ფილმია ჰოლოკოსტის თემაზე. მოქმედება ვითარდება 1944 წელს, აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში. მთავარი გმირი, შაულ აუსლენდერი, უნგრელი ებრაელია და ზონდერკომანდოს წევრია - საკონცენტრაციო ბანაკში ებრაელ ტყვეთა ჯგუფი, რომელშიც იძულებულნი არიან, გაზის კამერებში დახოცილი პატიმრების ცხედრები გადაასვენონ და გაანადგურონ. ერთ დღეს საული მოულოდნელად აღმოაჩენს პატარა ბიჭის ცხედარს, რომელიც გაზის კამერიდან ძლივს

გადარჩენილივით გამოიყურებოდა, ვიდრე საბოლოოდ არ გარდაიცვალა. საული თვლის, რომ ბიჭი მისი შვილია. ამიერიდან, საული იბრძვის ბავშვის ებრაული წესით სათანადოდ დამარხვისთვის - მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მხოლოდ სიკვდილი, ქაოსი და განწირულობაა. საული ცდილობს იპოვოს რაბინი, რომელიც შეძლებს ბიჭის დასაფლავებას. პარალელურად, ბანაკში აჯანყება მზადდება.

**The Survivor (2022) - გადარჩენილი**




**R IMDb 6.7/10 Rotten Tomatoes 86%**

ფილმი დაფუძნებულია რეალურ ამბავზე და მოგვითხრობს ჰოლოკოსტგამოვლილი მოკრივის, ჰარი ჰაფის ცხოვრებაზე. მოქმედება ვითარდება მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომი პერიოდში. აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში სიცოცხლის გადასარჩენად ჰერცკო იძულებულია ნაცისტების გასართობად ებრაელ ტყვეებს ებრძოლოს. მისი მეტოქეები დამარცხების შემთხვევაში სიკვდილით ისჯებიან. ეს ბრძოლები ჰარის საშინელ ტრავმას აყენებს, რადგან გადარჩენისთვის უწევს, სხვები სასიკვდილოდ გაწიროს. ომის შემდეგ ჰარი ამერიკაში მიდის და პროფესიონალი მოკრივე ხდება. მიუხედავად კარიერული წარმატებისა, მის ცხოვრებას კოშმარები არ ტოვებს. ჰარი იბრძვის დანაშაულის გრძნობასთან და ტრამვასთან, რომელიც ჰოლოკოსტმა დაუტოვა. ფილმი გვიჩვენებს რა გავლენებს ახდენს ჰერცკოს წარსული მის ახლანდელ ცხოვრებაზე, მის ოჯახსა და შვილთან ურთიერთობაზე. როგორ აგრძელებს ცხოვრებას, როგორია მისთვის მამობა და შვილისთვის სიმართლის თქმა.

**მონანიება (1984) - Repentance**

**PG IMDb 8.1/10 Rotten Tomatoes 71%**

თენგიზ აბულაძის 1984 წლის ფილმი - პოლიტიკური ალეგორია, რომელიც ტოტალიტარიზმის კრიტიკას ეძღვნება და საბჭოთა რეჟიმის რეპრესიებზე მოგვითხრობს. ვარლამ არავიძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ოჯახისათვის. გარდაცვლილის ცხედარი მოულოდნელად საფლავიდან ამოთხრილი ხვდებათ. ქეთევან ბარათელი ამ ქმედებით არავიძის ხელმძღვანელობით თავისი ოჯახის რეპრესიებისთვის შურისძიებას ცდილობს. ფილმი გვიცოცხლებს წარსულს და გვიჩვენებს ვარლამ არავიძის, როგორც დიქტატორის, მმართველობის დროს ჩადენილ სასტიკ დანაშაულებს. არავიძის შვილიშვილი თორნიკე მძიმე რეალობის წინაშე დგება - წარსულის მხილებით იგი საკუთარი ოჯახის რეალურ სახეს ხედავს, რის გამოც უპირისპირდება მამას. ფილმი გვიჩვენებს სამი თაობის კონფლიქტს, დაგვაფიქრებს ვინ აგებს პასუხს და ვის უწევს საბოლოო საფასურის გადახდა წინაპართა დათესილი ბოროტების სანაცვლოდ. ფილმი ასახავს ტირანიის, ისტორიული სიმართლის, მორალური პასუხისმგებლობის და პიროვნული სინდისის თემებს.

**To Kill a Mockingbird (1962) - ნუ მოკლავ ჯაფარას**




**IMDb 8.3/10 Rotten Tomatoes 93%**

ფილმი ეფუძნება ჰარპერ ლის ამავე სახელწოდების კლასიკურ რომანს და აღწერს ამერიკული სამართლის, რასიზმისა და ბავშვური უმანკოების თემებს. მოქმედება ვითარდება 1930-იან წლებში, ალაბამას პატარა ქალაქში, სადაც სეგრეგაცია და რასიზმი კვლავ ძლიერად იგრძნობა. მთავარი პერსონაჟი სკაუტ ფინჩია , რომელიც თავის ძმასთან, ჯემთან და მეგობარ დილთან ერთად ბავშვურ ცნობისმოყვარეობას მიჰყვება. ისინი ცდილობენ გაიგონ მეტი საკუთარ ქალაქზე, სამართალზე და იდუმალ მეზობელზე. „ნუ მოკლავ ჯაფარა“ გახდა სიმბოლო როგორც ამერიკული კულტურის, ისე მორალური და სოციალური თემების.

**I Am Sam (2001) - მე მქვია სემი**




**PG-13 IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 35%**

ფილმი გულისამაჩუყებელი დრამაა, რომელიც ასახავს მშობლობის, სიყვარულისა და სასამართლოს უსამართლო სისტემის თემებს. სამუელ დოუსონ (შონ პენი) - ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე მამაა. იგი ფსიქიკურად განვითარებით 7 წლის ბავშვის დონეზეა. მისი ქალიშვილი, ლუსი (დაკოტა ფენინგი), ძალიან უყვარს და მაქსიმალურად ცდილობს მის სწორად აღზრდას. როდესაც ლუსი 7 წლის ხდება, სოციალური სამსახურები იწყებენ სემის მამობის უფლებების განხილვას. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სემი ვერ შეძლებს ბავშვის საჭიროებების უზრუნველყოფას, ამიტომ სურთ ლუსი მზრუნველ ოჯახში გაუშვან. სემს ცნობილი ადვოკატი, რიტა ჰარისონი (მიშელ პფაიფერი) ეხმარება , რომელმაც მისი საქმის აღება თავდაპირველად მხოლოდ კარიერული მიზნებისთვის გადაწყვიტა. თუმცა, დროთა განმავლობაში რიტა თვითონ სწავლობს სემისგან, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული და თავდადება.

**The Pursuit of Happyness (2006) - ბედნიერების დევნაში**




**PG-13 IMDb 8/10 Rotten Tomatoes 67%**

ამერიკული ბიოგრაფიული დრამა, რომლიც დაფუძნებულია კრის გარდნერის რეალურ ისტორიაზე და ასახავს მის რთულ გზას სიღარიბიდან წარმატებამდე. მთავარი გმირი, კრის გარდნერი (უილ სმიტი) სან-ფრანცისკოში მცხოვრები მამაა, რომელიც ფინანსურ კრიზისშია. ის უშედეგოდ ცდილობს გაყიდოს ძვირადღირებული სამედიცინო მოწყობილობები, რის გამოც მას მეუღლე ტოვებს და პატარა ვაჟის აღზრდა მთლიანად მას უწევს. ფილმი მამა-შვილის ურთიერთობას გვიჩვენებს. ისტორია დაგვაფიქრებს, რომ ოცნებების ასასრულებლად არასდროს უნდა დავნებდეთ, მოთმინება და შრომა ყოველთვის ფასდება.

**Somewhere (2010) - სადღაც**




**R IMDb 6.3/10 Rotten Tomatoes 71%**

სოფია კოპოლას ფილმი გვიჩვენებს ისტორიას ცნობილი მსახიობის, მისი მონოტონური ცხოვრების და მამისა და ქალიშვილის ურთიერთობის შესახებ. ჯონი მარკო (სტივენ დორფი) ცნობილი მსახიობია, რომელიც ლოს-ანჯელესის ძვირადღირებულ სასტუმროში ცხოვრობს. მისი ცხოვრება სავსეა ფუფუნებით, ქალებითა და წვეულებებით, მაგრამ ემოციურად ცარიელია და ცხოვრების აზრს ვერ პოულობს. მოულოდნელად ჯონის მისი 11 წლის ქალიშვილი, კლეო (ელ ფენინგი) სტუმრობს. კლეოს დედა დროებით მის მოვლას მამას ანდობს, რაც ჯონისთვის უცნობი და გამოწვევებით სავსე გამოცდილება ხდება. მამა და შვილი ერთად ატარებენ დროს, მოგზაურობენ, თამაშობენ და ნელ-ნელა ამყარებენ ნამდვილ კავშირს. ფილმი არ გვთავაზობს მკაფიო დასასრულს, მაგრამ ჯონი ტოვებს ძველ ცხოვრებას და ეძებს ახალ „გზას“.

**Fantastic Mr. Fox (2009) - შეუდარებელი მისტერ ფოქსი**

**PG IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 93%**

უეს ანდერსონის ანიმაციური ფილმი, რომელიც როალდ დალის კლასიკურ საბავშვო წიგნზეა დაფუძნებული. ეს არის მხიარული, ჭკვიანური და ვიზუალურად უნიკალური ამბავი ოჯახზე, თავისუფლებაზე და ჭკუამახვილობაზე. მისტერ ფოქსი ოდესღაც ცნობილი ქურდი იყო, რომელიც ქათმებს და სხვა ცხოველებს იპარავდა. ახლა ოჯახური ცხოვრება აქვს - ცოლსა და ვაჟთან ერთად. ის პირდება ცოლს, რომ მშვიდ ცხოვრებით იცხოვრებენ. თუმცა ფოქსი მიუბრუნდება ძველ ჩვევებს და გეგმავს ბოლო ძარცვას, რომლის სამიზნეები არიან სამი დაუნდობელი ფერმერი - ბოგისი, ბანსი და ბინი. ფერმერები ვერ პატიობენ ფოქსს ქურდობას და იწყებენ სასტიკ დევნას - აფეთქებენ მის გვირაბს და ცდილობენ ცხოველების განადგურებას. ამ ბრძოლაში ფოქსი სწავლობს, რომ ოჯახი ყველაზე ძვირფასი რამ არის. ანიმაცია საინტერესოდ გვიჩვენებს ფოქსისა და მის ვაჟთან ურთიერთობას. კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ოჯახის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობაზე.

**A Bronx Tale (1993) - ბრონქსის ისტორია**




**R IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 97%**

კრიმინალური დრამა, რომელიც გვიჩვენებს იტალიურ-ამერიკულ სამეზობლოს, მამისა და შვილის ურთიერთობას და არჩევანს კეთილსა და ბოროტს შორის. ფილმი გვიჩვენებს 1960-იანი წლების ბრონქსს, ნიუ-იორკს. ცხრა წლის კალოჯერო "C" ცხოვრობს შრომისმოყვარე და პატიოსან მამასთან, ლორენცოსთან (რობერტ დე ნირო) ერთად, რომელიც ავტობუსის მძღოლია. ერთ დღეს, კალოჯერო ხედავს, როგორ კლავს გავლენიანი მაფიოზი, სონი, ადამიანს, მაგრამ პოლიციასთან არაფერს ამბობს. ამის გამო, სონი მას პატივს სცემს და მასზე მფარველობას იღებს, რითიც იწყება ბიჭის ცხოვრება კრიმინალურ სამყაროსთან ახლოს. კალოჯეროს მამა, ლორენცო, ცდილობს ასწავლოს შვილს პატიოსნება და შრომა. მეორე მხრივ, სონი შთააგონებს ბიჭს ძალაუფლებას ფულისა და გავლენის სამყაროში. კალოჯერო ორ სხვადასხვა გზას შორის აღმოჩნდება. ფილმში ვხვდებით რასიზმის თემასა და სოციალური დაპირისპირება.

**October Sky (1999) - ოქტომბრის ცა**




**PG IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 91%**

შთამაგონებელი ბიოგრაფიული ფილმი, რომელიც რეალურ ამბავს ეფუძნება. იგი ასახავს ბიჭის ოცნებას, მეცნიერების სიყვარულსა და მშობლების მოლოდინების დაპირისპირებას. 1950-იანი წლები, მცირე სამთო ქალაქი კოლვუდი, დასავლეთ ვირჯინია. ჰომერ ჰიკემი (ჯეიკ ჯილენჰოლი) მშრომელი მამის შვილია, რომელიც მისგან მოელის, რომ მეშახტე გახდება. მაგრამ, როდესაც ჰომერი საბჭოთა კავშირის „სპუტნიკის“ გაშვებას ხედავს ღამის ცაზე, მოვლენისაგან შთაგონებული ოცნებას იწყებს - ააშენოს საკუთარი რაკეტები. ჰომერი მეგობრებთან ერთად იწყებს ექსპერიმენტებს რაკეტების მშენებლობაში. სკოლის მასწავლებელი მის რაილი მხარს უჭერს მათ და სჯერა, რომ მათ დიდი წარმატების მიღწევა შეუძლიათ. ფილმი გვიჩვენებს მამისა და შვილის კონფლიქტს, საკუთარი გზის პოვნის, ოცნებებისაკენ სწრაფვის არაჩვეულებრივ ნამდვილ ისტორიას - ჰომერ ჰიკემი მომავალში ნასას ინჟინერი გახდა.

**Honey Boy (2019) - ტკბილი ბიჭი**

**R IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 95%**

ამერიკული ბიოგრაფიული დრამა, რომლის რეჟისორია ალმა ჰარელი, ხოლო სცენარი დაწერა შაია ლაბაფმა. ფილმი ნახევრად ავტობიოგრაფიულია და შაია ლაბაფის რთული ბავშვობისა და მისი ურთიერთობის ისტორიაა მამასთან. ოტისი (ლუკას ჰეჯესი) – მსახიობია, რომელიც მძიმე ტრავმისა და ალკოჰოლიზმის გამო სარეაბილიტაციო ცენტრში ხვდება. თერაპიის დროს ის იძულებულია, გააცნობიეროს და გადახედოს თავის ბავშვობას. ოტისი ბავშვობის მოგონებებში მამასთან, ჯეიმსთან (შაია ლაბაფი) ერთად ცხოვრობს. ჯეიმსი ყოფილი კლოუნია, რომელიც ნარკოდამოკიდებულებითა და აგრესიული ქცევით გამოირჩევა. ის თავისი შვილის მენეჯერია, მაგრამ უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე ეხმარება. ფილმი ემოციურად მძაფრი და გულწრფელი ნამუშევარია, რომელიც მშობლების გავლენას, თვითიდენტობის ძიებასა და ფსიქოლოგიურ ტრავმებს იკვლევს.

**Remember Me (2010) - გახსოვდე**

**PG-13 IMDb 7.1/10 Rotten Tomatoes 26%**

sდრამატული მელოდრამა, რომელიც სიყვარულს, ოჯახურ ტრაგედიებს და ცხოვრების დაუდგენელ მიმართულებებს ასახავს. ტაილერ ჰოუკინსი (რობერტ პატინსონი) არის ახალგაზრდა, რომელიც ტრაგედიის შემდეგ ცხოვრებასთან იბრძვის. მისი ოჯახი გაერთიანებული, მაგრამ ემოციურად დაშორებულია - დედა ახალ ოჯახშია, მამა (პირს ბროსნანი) ცივი და შრომისმოყვარე ბიზნესმენია. ტაილერი ვერ ეგუება ძმის თვითმკვლელობას და მთელ ბრაზ მამამისს უკავშირებს. ფილმი გვიჩვენებს მამა-შვილის ურთიერთობის სიღრმეებს. ტაილერს პატარა სკოლის მოსწავლე და ჰყავს - ფილმი ამ მიმართულებითაც საინტერესო და ემოციურია.

**Captain Fantastic (2016) - კაპიტანი ფანტასტიკა**

**R IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 82%**

უნიკალური და ემოციური დრამა, რომელიც ოჯახის, თავისუფლებისა და ალტერნატიული ცხოვრების წესის შესახებ გვიამბობს. ბენ კეში (ვიგო მორტენსენი) ექვს შვილთან ერთად ველურ ბუნებაში ცხოვრობს, შორს თანამედროვე საზოგადოებისგან. ის მათ ასწავლის თვითგადარჩენას, ფიზიკურ მომზადებას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და კრიტიკულ აზროვნებას. ბავშვები განათლებულები, ძლიერები და დამოუკიდებლები არიან, მაგრამ სოციალურად გამოუცდელები. ბენის ცოლი, რომელიც ფსიქიკური დაავადებით იტანჯებოდა, თავს იკლავს. ბენი გადაწყვეტს, შვილებთან ერთად "რეალურ სამყაროში" დაბრუნდეს , რათა მეუღლის დაკრძალვაზე წავიდნენ. ეს მოგზაურობა შვილებს პირველად აჩვენებს თანამედროვე ცხოვრების კომფორტებსა და გამოწვევებს. ბენის ცოლის ოჯახი მათ კრიტიკულად უყურებს და ფიქრობს, რომ ბენის მეთოდები არასწორია. ბავშვები იწყებენ ეჭვს, რომ მათი ცხოვრების სტილი შეიძლება იდეალური არ იყოს. ბენი იძულებულია, გადახედოს თავის ღირებულებებს და იპოვოს ბალანსი თავისუფლებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის.

# დედები და შვილები

**Marvin's Room (1996) - მარვინის ოთახი**




**PG-13 IMDb 6.7/10 Rotten Tomatoes 84%**

ფილმი ოჯახურ ურთიერთობებზე, დაპირისპირებასა და შერიგებაზე გვიამბობს. ბესი (დაიან კიტონი) 20 წელია, მამის, მარვინის და მათი დეიდის მოვლითაა დაკავებული ფლორიდაში. მისი და, ლი (მერილ სტრიპი), ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს და დამოუკიდებელი ქალია. დებს დიდი ხანია, რაც არ ეკონტაქტებიან და დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ბესის ლეიკემია უდგინდება და გადარჩენისთვის ძვლის ტვინის გადანერგვა სჭირდება. ის გადაწყვეტს, დასთან და მის ვაჟებთან. კონტაქტი აღადგინოს. ლი ეჭვობს, რომ ბესის უბრალოდ დახმარება სჭირდება და არა ურთიერთობის აღდგენა. ოჯახი ერთად გადის რთულ პროცესს - ეძებს დონორს, უპირისპირდება წარსულ წყენებს და სწავლობს, რომ სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია. ბესის ოპტიმიზმი და სიკეთე მის დასა და ძმისშვილებს სხვა თვალით ანახებს ცხოვრებას. ფილმში კარგად ჩანს ლის შვილებთან ურთიერთობა, განსაკუთრებით ჰენკთან (ლეონარდო დიკაპრიო).

**Mommy (2014) - დედიკო**

**R IMDb 8/10 Rotten Tomatoes 89%**

ძლიერი ემოციური დრამა დედისა და შვილის ურთიერთობაზე, სიყვარულსა და ცხოვრების სირთულეებზე. დაიანი „დაი“ მარტოხელა დედაა, რომელიც თავის მოზარდ შვილს, სტივის ზრდის. სტივი გონებრივი აშლილობით იტანჯება - მას აქვს ძალადობრივი და აგრესიული ქცევები. დაი მუდამ ცდილობს, დაიცვას შვილი, მაგრამ მისი კონტროლი რთულდება. მეზობელი კაილა, რომელსაც კომუნიკაციის პრობლემები აქვს, ოჯახს ეხმარება. ის სტივის მშვიდად მოქცევაში ეხმარება და ოჯახში ცოტაოდენი სტაბილურობას შემოაქვს. ფილმი გვიჩვენებს დედა-შვილის ურთიერთობას, პრობლემებსა და რთულ გადაწყვეტილებას.

**The Good Son (1993) - კარგი შვილი**

**R** **IMDb 6.4/10** **Rotten Tomatoes 25%**

ფსიქოლოგიური თრილერი, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ მაკოლეი კალკინი და ელაიჯა ვუდი. მარკი (ელაიჯა ვუდი) - 12 წლის ბიჭია, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ დროებით საცხოვრებლად დეიდასთან გადადის. ჰენრი (მაკოლეი კალკინი) - მისი ბიძაშვილი, რომელიც გარეგნულად მეგობრული და საყვარელია, მალევე თავის რეალურ სახეს ავლენს. ის სასტიკი, მანიპულატორი და ფსიქოპათური მიდრეკილებების მქონე ბავშვია. მარკი ხედავს ჰენრის მანიაკალურ ბუნებას და ცდილობს, გააფრთხილოს უფროსები, მაგრამ არავინ უჯერებს. ჰენრის დედა რთული არჩევანის წინაშე დგება. ფილმი მძაფრად და ემოციურად გვიჩვენებს მოვლენებს.

**Room (2015) - ოთახი**

**R** **IMDb 8.1/10** **Rotten Tomatoes 93%**

ფილმი დედისა და შვილის გადარჩენის ამბავზე. ჯოი (ბრი ლარსონი) და მისი 5 წლის ვაჟი, ჯეკი (ჯეიკობ ტრამბლე), პატარა ოთახში ცხოვრობენ. ჯოი წლების წინ გაიტაცა მამაკაცმა, რომელიც მას „Old Nick“-ად მოიხსენიებს. ჯოი ჯეკის დაბადების შემდეგ მის უსაფრთხოებაზე ზრუნავს და ოთახს მთელ სამყაროდ უჩვენებს. ჯოი ხვდება, რომ ჯეკი იზრდება და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გაქცევის შემდეგ ჯეკი პირველად ხედავს ნამდვილ სამყაროს, რაც მისთვის უცნაური და საშიშია. ჯოისაც უჭირს რეალურ ცხოვრებასთან შეგუება - ტრავმა, მედიის ზეწოლა და ოჯახის დაკარგული წლები. დედა-შვილის კავშირი ძლიერ რჩება, მიუხედავად გადატანილი ტრავმებისა.

**We Need to Talk About Kevin (2011) - უნდა ვილაპარაკოთ კევინზე**

**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 74%**

ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც დედობის რთულ მხარეებსა და ბოროტების ფესვებზე მოგვითხრობს. ევა (ტილდა სუინტონი) - ქალი, რომელიც თავის რთულ შვილთან, კევინთან (ეზრა მილერი), ურთიერთობის გამო ტრავმირებულია. ბავშვობიდანვე კევინი ემოციურად ცივი და მანიპულატორია. ის დედას აგდებულად ექცევა, მამას (ჯონ სი რაილი) კი საყვარელ სახეს აჩვენებს. ევა ხვდება, რომ მის შვილში რაღაც საშიშია, მაგრამ ვერავის უმტკიცებს. კევინი საშინელ დანაშაულს სჩადის - სკოლაში მასობრივი მკვლელობას მოაწყობს. ფილმი ასახავს დედამისის შემდგომ ცხოვრებას - საზოგადოების ზიზღს, დანაშაულის გრძნობას და კითხვას - „შეუძლია თუ არა დედას შვილის ბოროტება შეამჩნიოს და აღკვეთოს?“

**Gifted Hands: The Ben Carson Story (2009) - ოქროს ხელები: ბენ კარსონის ისტორია**




**IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 85%**

შთამაგონებელი ბიოგრაფიული დრამა, რომელიც ნეიროქირურგ ბენ კარსონის ცხოვრებას ასახავს. ბენ კარსონი აფროამერიკელი ბიჭია, რომელიც ღარიბ ოჯახში იზრდება და უამრავ სირთულეს აწყდება. მისი დედა, სონია კარსონი, მიუხედავად განათლების ნაკლებობისა, შვილებს შრომისმოყვარეობას, განათლების სიყვარულს და რწმენას შთააგონებს. ბენი თავდაპირველად აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევა და დაბალი თვითშეფასება აქვს. თუმცა დედის მოტივაციით ის იწყებს წიგნების კითხვას და სწავლისადმი დამოკიდებულების შეცვლას. ის წარმატებული სტუდენტი ხდება და ექიმის კარიერას ირჩევს. ბენი ცნობილი ნეიროქირურგი ხდება და ისტორიულ ოპერაციას ატარებს - სიამის ტყუპების განცალკევებას. მისი პროფესიონალიზმი და რწმენა ცხოვრების ყველაზე რთული გამოწვევების დაძლევაში ეხმარება. ფილმი გვაჩვენებს, რომ მუდმივი შრომით, რწმენითა და მიზანდასახულობით შესაძლებელია წარმატების მიღწევა, მიუხედავად დაბრკოლებებისა.

**Wolf Children (2012) - მგლის შვილები**

**PG IMDb 8.1/10 Rotten Tomatoes 95%**

ემოციური და ლამაზი ანიმე, რომელიც დედის სიყვარულსა და შვილებთან ურთიერთობას გვიჩვენებს. ჰანა - ახალგაზრდა სტუდენტია, რომელიც მისტიკურ კაცს ხვდება. მისი შეყვარებული მგელკაცია - ის შეიძლება ადამიანადაც იქცეს და მგლადაც. მათი სიყვარული ბედნიერია, მაგრამ ტრაგედიით მთავრდება - ჰანა მარტო რჩება ორ პატარა შვილთან ერთად. ბავშვები ადამიანებსა და მგლებს შორის ირჩევენ ცხოვრებას. ჰანა ბავშვებთან ერთად სოფელში გადადის, რათა მათ თავისუფალი ცხოვრება მისცეს. ის იბრძვის როგორც დედა, ცდილობს, შვილებს მათი გზის არჩევაში დაეხმაროს. ჰანა აცნობიერებს, რომ მისი დედობრივი მისია შესრულებულია. ის თავისუფლებას აძლევს შვილებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის მტკივნეულია. საბოლოოდ, ბავშვები თავად ირჩევენ საკუთარ ბედი. ანიმე სავსეა ალუზიებით, იუკისა და ამეს ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაც შეფარულად გვიჩვენებს მათ რეალურ გადაწყვეტილებებს.

## ძალადობრივი ურთიერთობები

**Aurore (2005) - ავრორა**




**IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 82%**

ტრაგიკული კანადური დრამა, რომელიც რეალურ მოვლენებს ეფუძნება. ავრორა გაგნონი - პატარა გოგონა, რომელიც 1909 წელს კვებეკში დაიბადა. დედამისი ახალგაზრდა გარდაიცვალა, და მამამისმა ახალი ცოლი შეირთო. დედინაცვალი ბავშვის მიმართ სასტიკი და დაუნდობელი ხდება, ხოლო მამა ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავს. მერიენი მუდმივად სცემს, ამცირებს და შიმშილით სჯის ორორს. სოფელში მცხოვრები ადამიანები ეჭვობენ, რომ გოგონა სასტიკ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ არავინ ერევა. ფილმი გვაჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა.

**This Boy's Life (1993) - ამ ბიჭის ცხოვრება**




**R IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 76%**

ბიოგრაფიული ფილმი, რომელიც რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული და ტობიას ვულფის მემუარებს ეყრდნობა. კეროლაინი (ელენ ბარკინი) - მარტოხელა დედაა, რომელიც უკეთესი ცხოვრების ძიებაში შვილთან, ტობისთან (ლეონარდო დიკაპრიო), ახალ ქალაქში გადადის. დუაიტი (რობერტ დე ნირო) - კეროლაინი კვლავ თხოვდება, მაგრამ მისი ქმარი აბსოლუტური ტირანი და მოძალადეა. დუაიტი ტობის სასტიკად ეპყრობა - მასზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობს. ტობი ცდილობს, თავი დაიხსნას დუაიტის ბოროტებისგან , მაგრამ დედამისი არამარტო ვერ ამჩნევს პრობლემას, არამედ თავიდან უარს ამბობს მის დაჯერებაზე. ტობის დიდი ოცნება პრესტიჟულ სასწავლებელში მოხვედრაა, რათა ამ სამყაროსგან გათავისუფლდეს. ეს არის ისტორია გადარჩენაზე, პიროვნულ ზრდასა და შინაგან ძალაზე.

**The 400 Blows (1959) - 400 დარტყმა**




**IMDb 8/10 Rotten Tomatoes 99%**

ფრანსუა ტრიუფოს კლასიკური ფრანგული ფილმი, რომელიც ახალგაზრდა ბიჭის რთულ ბავშვობაზე გვიყვება. ანტუან დუანელი (ჟან-პიერ ლეო) - 14 წლის ბიჭია, რომელიც პრობლემურ ოჯახში იზრდება. მისი დედა გულგრილია, მამინაცვალს კი საერთოდ არ აინტერესებს მისი ცხოვრება. სკოლაში ანტუანს მკაცრი მასწავლებლები ავიწროებენ და თავშესაფარს ქუჩაში ეძებს. ანტუანი სკოლიდან იპარება, მეგობრებთან ერთად ქუჩაში ბოდიალობს და პატარა დანაშაულებს სჩადის. მისი ცხოვრება სულ უფრო რთულდება, როდესაც წიგნის ქურდობაში ადანაშაულებენ.

**Mean Dreams (2016) - ბოროტი ოცნებები**

**R IMDb 6.3/10 Rotten Tomatoes 80%**

კრიმინალური თრილერი, რომელიც ორი მოზარდის გაქცევისა და გადარჩენის ამბავს გვიყვება. ჯონასი (ჯოშ უიგინსი) - 15 წლის ბიჭია, რომელიც ფერმერად მუშაობს და მძიმე ცხოვრებას ებრძვის. კეისი (სოფი ნელისი) - მისი მეზობელი გოგონაა, რომელიც მოძალადე და სასტიკ მამას, უეინს (ბილ პექსტონი), ვერ აღწევს თავს. ჯონასი შემთხვევით კეისის მამის ფულს იპარავს - მაგრამ უეინი კორუმპირებული პოლიციელია და ეს ფული დანაშაულთან არის კავშირში. ჯონასი და კეისი ერთად გარბიან, რათა უკეთესი მომავალი იპოვონ.

**Lolita (1997) - ლოლიტა**

**R IMDb 6.8/10 Rotten Tomatoes 69%**

ნაბოკოვის საკამათო და ლიტერატურულად დახვეწილი რომანის ეკრანიზაცია, რომელიც 1955 წელს გამოიცა და ორჯერ გახდა ფილმად გადაღების საფუძველი: 1962 (სტენლი კუბრიკის ვერსია) და 1997 (ადრიან ლაინის ვერსია). ჰუმბერტ ჰუმბერტი - შუახნის ევროპელი ლიტერატურის პროფესორია, რომელიც ამერიკაში გადადის საცხოვრებლად. დოლორეს "ლოლიტა" ჰეიზი - 12 წლის გოგონა, რომელიც ჰუმბერტს შეპყრობილად უყვარდება. ლოლიტას დედასთან, შარლოტასთან, ქორწინება მხოლოდ გოგონასთან ახლოს ყოფნის მიზნით გადაწყვიტა.

**The Reader (2008) - მკითხველი**




**R IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 63%**

ფილმი ეფუძნება ბერნჰარდ შლინკის ამავე სახელწოდების რომანს და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის მორალურ დილემებს ასახავს. მაიკლ ბერგი (დევიდ კროს / რალფ ფაინსი) - 15 წლის გერმანელი ბიჭია, რომელიც ქუჩაში ცუდად ხდება. ჰანა შმიცი (ქეით უინსლეტი) - 36 წლის მარტოხელა ქალი, რომელიც მაიკლს ეხმარება და მასთან სასიყვარულო ურთიერთობას იწყებს. ჰანა მაიკლს სთხოვს წიგნები წაუკითხოს და ასე იწყებს მისთვის კლასიკური ლიტერატურის კითხვას. მოულოდნელად ჰანა გაუჩინარდება და მაიკლი მის კვალს კარგავს. იურიდიულზე სწავლის წლებში მაიკლი ჰანას ომის დანაშაულებათა სასამართლოზე აღმოაჩენს. ჰანა ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის მცველი აღმოჩნდება, რომელსაც ბრალად ებრაელი პატიმრების დახოცვა ედება.

**Short Term 12 (2013) - მოკლე ვადა 12**

**R IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 98%**

ფილმი მოგვითხრობს პრობლემურ მოზარდთა თავშესაფრის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სადაც პერსონალი მათ დასახმარებლად ყველაფერს აკეთებს. გრეის (ბრი ლარსონი) - ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მზრუნველია, რომელიც "Short Term 12"-ის საცხოვრებელ დაწესებულებაში მუშაობს. მეისონი - გრეისის შეყვარებული, რომელიც აგრეთვე თავშესაფარში მუშაობს და ცდილობს, მოზარდებს მხარში დაუდგეს. ჯეიდენი (კეიტლინ დეევერი) - ახლად მოსული გოგოა, რომელსაც ოჯახური ძალადობის გამოცდილება აქვს და თავდაპირველად ყველასაგან თავს შორს იჭერს. მარკუსი - 17 წლის ბიჭია, რომელიც მალე სრულწლოვანი გახდება და აქაურობა უნდა დატოვოს, რაც მას აშინებს. ჯეიდენის ამბავი გრეისს აიძულებს, საკუთარ ტრავმებს შეეჯახოს და გამბედაობა მოიკრიბოს. ის ცდილობს, ჯეიდენს ძალა მისცეს და საკუთარ პრობლემებს გაუმკლავდეს. მიუხედავად ყველა სირთულისა, გრეისი და სხვა პერსონალი არასოდეს ნებდებიან და მოზარდებს უკეთესი მომავლის იმედს უნარჩუნებენ. ფილმი გვაჩვენებს, რომ მხარდაჭერასა და სიყვარულს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**Volver (2006) - დაბრუნება**




**R IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 91%**

პედრო ალმოდოვარის ფილმი სიყვარულზე, ქალთა სიძლიერესა და ოჯახურ საიდუმლოებებზე მოგვითხრობს. რაიმუნდა (პენელოპე კრუზი) - ძლიერი და დამოუკიდებელი ქალია, რომელიც მადრიდში ცხოვრობს თავის ქალიშვილთან, პაულასთან (იოანა კობო) ერთად. სოლე (ლოლა დუენასი) - რაიმუნდას დაა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება დისგან და ჩაკეტილი ცხოვრების წესს მისდევს. ირენე (კარმენ მაური) - მათი გარდაცვლილი დედა, რომელიც მოულოდნელად "ბრუნდება" საიდუმლო მისიის შესასრულებლად. რაიმუნდას ქმარი გოგონას ავიწროებს და პაულა შემთხვევით მოკლავს მას. რაიმუნდა ცდილობს შვილი დაიცვას. ფილმი შერიგების, პატიების და ქალთა სოლიდარობის ისტორიაა. რაიმუნდა ახერხებს, გადალახოს წარსული ტკივილები და გააგრძელოს ახალი, უფრო ძლიერი სიცოცხლე.

**North Country (2005) - ჩრდილოეთის ქვეყანა**




**R** **IMDb 7.3/10** **Rotten Tomatoes 70%**

ფილმი რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული და მოგვითხრობს ქალის გაბედულ ბრძოლაზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ. ჯოზი ეიმსი (შარლიზ თერონი) - ახალგაზრდა დედაა, რომელიც გარბის მოძალადე ქმრისგან და მშობლიურ ქალაქში ბრუნდება. ჯოზი მუშაობას იწყებს ჩრდილოეთ მინესოტას რკინის მაღაროში, სადაც ქალი მუშები იშვიათობაა. მამაკაცები მათ დამცინავად და უხეშად ექცევიან, ხოლო ხელმძღვანელობა სექსუალურ შევიწროებას უგულებელყოფს. ის გადაწყვეტს, სასამართლოში შეიტანოს კოლექტიური სარჩელი სექსუალური შევიწროების გამო. ჯოზის მამაც თავდაპირველად წინააღმდეგია, მაგრამ საბოლოოდ მიხვდება, რომ ქალიშვილის ბრძოლა სამართლიანია. ჯოზის საქმე ხდება ერთ-ერთი პირველი კოლექტიური სარჩელი სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ და ცვლის აშშ-ის შრომით კანონებს. ფილმში ვხედავთ ჯოზისა და მამამისის ურთიერთობას, ჯოზისა და თავის ვაჟს შორის უღთიერთობას, კონფლიქტებსა და დაძაბულობას, მოვლენები ფარდას ხდის საიდუმლოებებსა და გვიჩვენებს სინამდვილეს თუ რატომ შეიძლება დედები შვილებს მათი მშობლების შესახებ წარსულსა და ვინაობას უმალავდნენ.

# ოჯახი

**The Blind Side (2009) - უხილავი მხარე**




**PG-13 IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 66%**

ფილმი რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული და მოგვითხრობს მაიკლ ოჰერის ცხოვრებას - უსახლკარო ბიჭის შესახებ, რომელიც მხარდაჭერისა და ძალისხმევის წყალობით ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი ხდება. ლიუ ენ ტიუი (სანდრა ბულოკი) - ძლიერი და გულთბილი ქალი, რომელიც მაიკლს შეიფარებს და მის ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის. ტიუიების ოჯახი მაიკლს ახალ შესაძლებლობებს აძლევს - მას თავისი საწოლი, ახალი ტანსაცმელი და ნამდვილი ოჯახი აქვს. ოჯახი ყველაფერს აკეთებს, რომ მაიკლს განათლება მისცეს და ამერიკულ ფეხბურთში წარმატებას მიაღწიოს. ფილმი გვიჩვენებს როგორ შეუძლია სრულიად უცხოს სიყვარულითა, მზრუნველობითა და მხარდაჭერით დამიანის ცხოვრების შეცვლა.

**Bogus (1996) - ბოგუსი**

**PG IMDb 5.4/10 Rotten Tomatoes 41%**

ფილმი კომედიური დრამაა, რომელიც ბავშვობის წარმოსახვის ძალასა და სიყვარულის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს. ალბერტ ფრანკლინი (ჰეილი ჯოელ ოსმენტი) - პატარა ბიჭია, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ სრულიად მარტო რჩება. ჰარიეტ ფრანკლინი ალბერტის დეიდაა (დედამისის სისხლით ნათესავი არა), რომელიც იძულებულია იზრუნოს მასზე, თუმცა ბავშვებთან ურთიერთობა არ ეხერხება. ალბერტი დედის გარდაცვალებას ძალიან განიცდის და ნუგეშს თავის წარმოსახვაში ეძებს. მისი ფანტაზია ქმნის ბოგუსს (ჟერარ დეპარდიე) - დიდსულოვან და მხიარულ წარმოსახვით მეგობარს, რომელიც ალბერტს მხარს უჭერს და ეხმარება ახალ ცხოვრებასთან შეგუებაში. ჰარიეტი თავდაპირველად ვერ უგებს ალბერტს და მის "ბოგუსზე" საუბარს უბრალოდ ბავშვის ახირებად მიიჩნევს. თუმცა ნელ-ნელა ხვდება, რომ ალბერტს ემოციური მხარდაჭერა სჭირდება. ჰარიეტი ბავშვთან ურთიერთობაში თავადაც იცვლება - ის ხვდება, რომ ალბერტის სიყვარული მის ცხოვრებას

უფრო მნიშვნელოვანს ხდის. ფილმი გვიჩვენებს გარდაცვალების შემდეგ დანაკლისთან გამკლავებას, ოჯახისა და მზრუნველობის მნიშვნელობას.

**No Reservations (2007) - ცხოვრების გემო**




**PG IMDb 6.3/10 Rotten Tomatoes 43%**

ფილმი კულინარიული დრამა-კომედიაა, რომელიც სიყვარულზე, ოჯახურ ცვლილებებსა და ახალ შესაძლებლობებზე მოგვითხრობს. ქეით არმსტრონგი (კეტრინ ზეტა-ჯონსი) - პროფესიონალი შეფ-მზარეულია, რომელსაც თავისი რესტორანი და ცხოვრება სრულად კონტროლში აქვს. ზოი (აბიგაილ ბრესლინი) - ქეითის პატარა დისშვილია, რომელიც მშობლის დაკარგვის შემდეგ მის მზრუნველობაში გადმოდის. ნიკ პალერმო (აარონ ეკჰარტი) - ახალი შეფ-მზარეულია, რომელიც ქეითის რესტორანში იწყებს მუშაობას და მისი საპირისპირო ხასიათისაა - მხიარული და თავისუფალი. ქეითი მოთხოვნადი შეფია, მაგრამ ზოის აღზრდა მისთვის სრულიად ახალი გამოწვევაა. ქეითი სწავლობს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი ვერ იქნება. ფილმი გვიჩვენებს ოჯახის, მზრუნველობისა და სიყვარულის მნიშვნელობას.

**Moonlight (2016) - მთვარის შუქი**

**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 98%**

ფილმი ადამიანის იდენტობის, სიყვარულისა და ზრდის პროცესის შესახებ მოგვითხრობს. ფილმი შირონის ცხოვრების სამ ეტაპს მიჰყვება - ბავშვობა, მოზარდობა და ზრდასრულობა. შირონი ღარიბ უბანში იზრდება, სადაც მას თანატოლები ჩაგრავენ და ოჯახში მხარდაჭერა არ აქვს. დედამისი პაულა ნარკოტიკებზე დამოკიდებულია და შვილზე სათანადოდ ვერ ზრუნავს. შირონის მფარველად უანი (მაჰერშალა ალი) და მისი მეგობარი ტერეზა (ჟანელ მონე) ევლინებიან, რომლებიც მას სითბოსა და რჩევებს აძლევენ. ფილმი შირონის ცხოვრების ეტაპებზე გვესაუბრება. ფილმი გვიჩვენებს სიყვარულისა და ურთიერთობების მნიშვნელობას, საკუთარი თავის ძიების პროცესს და ცხოვრების გზის პოვნას.

**Shoplifters (2018) - წვრილმანი მძარცველები**

**R IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 99%**

ჰიროკაზუ კორეედას ფილმი სოციალური უთანასწორობის, სიყვარულისა და ოჯახური კავშირის ნამდვილ მნიშვნელობაზე გვიყვება. ოსამუ და მისი ცოლი ნობუიო პატარა, მაგრამ ბედნიერ ოჯახს ქმნიან ტოკიოს გარეუბანში. მათთან ერთად ცხოვრობენ: ბებიასავით მოსიყვარულე ჰატსუე, მოზარდი გოგონა აკი და პატარა ბიჭი შოტა, რომელიც ოსამუსთან ერთად მაღაზიებიდან ნივთებს იპარავს ოჯახის სარჩენად. ერთ დღეს ოსამუ და შოტა მიტოვებულ პატარა გოგონას, იურის, იპოვიან. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს ფინანსურად უჭირს, ისინი ბავშვს თავშესაფარს აძლევენ და ზრუნავენ მასზე. ნელ-ნელა ირკვევა, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს სისხლით არ უკავშირდებიან, მათი პატარა სამყარო ნელ-ნელა ინგრევა. საბოლოოდ, ფილმი გვაფიქრებს: არის თუ არა ოჯახი მხოლოდ გენეტიკური კავშირი, თუ სიყვარული და ზრუნვა უფრო დიდ მნიშვნელობას ატარებს?

**Our Little Sister (2015) - ჩვენი პატარა და**




**PG IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 94%**

ჰიროკაზუ კორეედას ფილმი ამბავია ოჯახზე, დებზე და სიყვარულის ძალაზე. სამი და ერთად ცხოვრობს კომფორტულ, მაგრამ მოკრძალებულ სახლში კამაკურაში. მათი მშობლები დიდი ხნის წინ გაშორდნენ - მამა ახალ ოჯახთან წავიდა, დედამ კი მიატოვა. როცა მათი მამა გარდაიცვალა, დაკრძალვაზე აღმოაჩენენ, რომ ჰყავთ 13 წლის ნახევარდა - სუძუ. სუძუ მარტოსულია და ოჯახი არ ჰყავს, ამიტომ დები გადაწყვეტენ, რომ მათთან ერთად უნდა იცხოვროს. სუძუ ცდილობს ახალ გარემოს შეეჩვიოს და იპოვოს თავისი ადგილი ოჯახში. დები, რომელთაც საკუთარი ტკივილები აქვთ, ნელ-ნელა იგებენ, რომ ერთმანეთის მხარდაჭერა ყველაზე ძვირფასია. მათი ყოველდღიური ცხოვრება სავსეა უბრალო, მაგრამ თბილი მომენტებით - სამზარეულოში საუბრები, ფესტივალებზე სეირნობა და ერთად სიცილი. მიუხედავად იმისა, რომ მათი წარსული სირთულეებითაა სავსე, ერთმანეთის ოჯახი ხდებიან, სადაც სიყვარული მთავარი ღირებულებაა.

**Kramer vs. Kramer (1979) - კრამერი კრამერის წინააღმდეგ**




**PG IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 90%**

ფილმი მშობლებისა და შვილების ურთიერთობებზე, განქორწინების რთულ პროცესსა და პასუხისმგებლობის გარდაუვალ ცვლილებებზე მოგვითხრობს. ტედ კრამერი (დასტინ ჰოფმანი) წარმატებული ოფისის თანამშრომელია, რომელიც მთელ დროს კარიერას უთმობს. ერთ დღეს მისი ცოლი, ჯოანა (მერილ სტრიპი), მოულოდნელად ტოვებს მას და მათ 6 წლის შვილს, ბილის. ტედს ახლა მარტო უწევს მშობლის როლი შეითავსოს, რითაც მისი ცხოვრება თავდაყირა დგება. თავდაპირველად, ტედი შვილთან ურთიერთობაში სირთულეებს განიცდის - არ აქვს დრო, არ იცის როგორ იზრუნოს ბავშვის და საჭიროებებსა და ემოციებზე. ნელ-ნელა ის ნამდვილ მამად ყალიბდება და მათი ურთიერთობა სითბოთი და ყოველდღიური მომენტებით ლამაზდება. გარკვეული დროის შემდეგ ჯოანა ბრუნდება და ბილის მეურვეობისთვის იბრძვის სასამართლოში. ტედს ემოციურად და ფინანსურად უწევს ბრძოლა, რათა შვილი არ დაკარგოს. ფილმი გვიჩვენებს განქორწინებას და მის გავლენას ბავშვზე.

**Ocean Waves (1993) - ოკეანის ტალღები**




**PG-13 IMDb 6.6/10 Rotten Tomatoes 89%**

ანიმე სენსიტიური და ნოსტალგიური ამბავია ახალგაზრდულ სიყვარულსა და მეგობრობაზე.

ტაკუ მორისაკის ცხოვრება მშვიდი და პროგნოზირებადი იყო, სანამ ერთ დღეს ტოკიოდან ახალი მოსწავლე, რიკაკო, არ გადმოვიდა. რიკაკოს მშობლების გაშორების შემდეგ დედასთან ერთად უწევს მშობლიურ მხარეში დაბრუნება. რიკაკო ლამაზი, ჭკვიანი, მაგრამ ამაყი და თავნება გოგონაა, რომელიც ახალ სკოლას ვერ ეგუება. იგი ვერ ეგუება შეცვლილ რეალობას და გადაწყვეტილი აქვს ტოკიოში დაბრუნდეს მამამისთან. მოგზაურობაში რიკაკოს თანმხლებად ტაკუ გვევლინება, რომელიც შემთხვევითი გარემოებებიდან გამომდინარე რიკაკოს მარტო არ გაუშვებს ტოკიოში. მამამისთან შეხვედრა, კლასელაბთან შეხვედრა - რიკაკოს მოლოდინები არ მართლდება და საბოლოოდ სრულიად სხვაგვარად დაინახავს სინამდვილეს. ანიმე არაჩვეულებრივად გვიჩვენებს მშობლების გაშორების შემდეგ ბავშვების შინაგან მდგომარეობას, საკუთარი თავის ძიებას, ახალ რეალობასთან შეგუებასა და პასუხების პოვნას.

**Wonder (2017) - საოცრება**

**PG** **IMDb 7.9/10** **Rotten Tomatoes 86%**

ემოციური დრამა ავგუსტ "ოგი" პულმანის ისტორიას მოგვითხრობს - ბიჭის, რომელიც უნიკალურია და სამყაროს შეცვლას სიკეთით იწყებს. ოგი პულმანი (ჯეიკობ ტრემბლეი) იშვიათი გენეტიკური დაავადებითაა დაბადებული, რამაც მისი სახის განსხვავებული ფორმა გამოიწვია. მას არ უვლია სკოლაში - დედა (ჯულია რობერტსი) სახლში ასწავლიდა. 10 წლის ასაკში ბოლოს და ბოლოს სკოლაში შედის, სადაც ახალი მეგობრებისა და უცნობი გამოწვევებისა წინაშე დგება. ფილმი მთავარი გმირის გარდა, არაჩვეულებრივად გადმოგვცემს ოჯახის წევრების ცხოვრებასა და რეალობას, მათ გამოწვევებს და გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახის გვერდით დგომა და მხარდაჭერა.

**The Miracle Worker (2000) - სასწაულმოქმედი**




**IMDb 7.1/10** **Rotten Tomatoes 79%**

ფილმი რეალურ ამბავზეა დაფუძნებული და გვიამბობს ჰელენ კელერისა და მისი მასწავლებლის, ენი სალივანის ურთიერთობაზე. ჰელენიმა პატარა ასაკში გადატანილი ავადმყოფობის შედეგად სმენა და მხედველობა დაკარგა. ოჯახი ცდილობს, იზრუნოს მასზე, მაგრამ კომუნიკაციის დამყარების საშუალებას ვერ პოულობენ. ოჯახი მოიწვევს ენი სალივანს, ენერგიულსა და გაბედულ მასწავლებელს, რომელიც ჰელენის აღზრდას ცდილობს. ფილმი გვაჩვენებს, როგორ შეიძლება ერთმა ადამიანმა შეცვალოს სხვისი ცხოვრება და როგორ შეუძლია განათლებას სასწაულის მოხდენა. ჰელენ კელერის და ენი სალივანის რეალური ამბავი ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი ისტორიაა - კელერმა დაამთავრა რედკლიფის კოლეჯი, გახდა მრავალი წიგნის ავტორი და დაუღალავი აქტივისტი, რომელიც იბრძოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ქალთა და შრომის უფლებებისთვის.

**Temple Grandin (2010) - თემპლ გრანდინი**




**IMDb 8.2/10 Rotten Tomatoes 100%**

შთამაგონებელი ბიოგრაფიული ფილმი ტემპლ გრანდინის რეალურ ისტორიას გვიყვება. ტემპლ გრანდინს ადრეულ ასაკშივე აუტისტური სპექტრის დარღვევა დაუდგინეს. მიუხედავად სირთულეებისა, მან შეძლო სამყაროს უნიკალურ აღქმის გამოყენებით დიდი წარმატებები მოეპოვებინა - ტემპლ გარდინიმ შეცვალა მეცხოველეობის ინდუსტრია. მან შეიმუშავა ცხოველთა ჰუმანური მოპყრობის ახალი სტანდარტები. მისი დიზაინით შექმნილი ფერმერული მოწყობილობები და ცხოველთა მართვის სისტემები დღემდე ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ფილმი გვიჩვენებს მისი ცხოვრების ისტორიას - დაგვაფიქრებს რამდენად მნიშვნელოვანია დედის, მასწავლებლებისა თუ გვერდით მყოფი ადამიანების მხრიდან მხარდაჭერა და უსაზღვრო შესაძლებლობების რწმენა.

**Flipped (2010) - გადაფურცვლა**




**PG IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 54%**

თბილი და ნოსტალგიური ფილმი მოზარდების სიყვარულზე, ურთიერთობებსა და პიროვნულ ზრდაზე მოგვითხრობს. ჯული ბეიკერი - გოგონაა, რომელიც ხედავს სილამაზეს ყველაფერში. იგი ბავშვობიდანვე მხიარული, დამოუკიდებელი და გულწრფელია. როცა მეზობლად ბრაისი გადმოდის, ჯულის ის მაშინვე უყვარდება. ბრაისი (კალან მაკოლიფი) თავდაპირველად ჯულის ყურადღებით გაღიზიანებულია და ცდილობს, მისგან თავი შორს დაიჭიროს. იგი ფიქრობს, რომ ჯული უცნაურია, მაგრამ დროთა განმავლობაში მის მიმართ გრძნობები უჩნდება. ჯული ხვდება, რომ ბრაისი ისეთი არ არის, როგორიც ეგონა. ფილმი გვიჩვენებს ოჯახში დამყარებულ ურთიერთობებს, სიყვარულსა და სილამაზეს - გვასწავლის როგორ ვიზრდებით სწორედ ურთიერთობების მეშვეობით.

**Imaginary Heroes (2004) - გამოგონილი გმირები**




**R IMDb 7/10 Rotten Tomatoes 34%**

ფილმი მოგვითხრობს ოჯახზე, რომელსაც ტრაგედია ანგრევს და როგორ ცდილობს თითოეული წევრი ტკივილს გაუმკლავდეს. უფროსი ვაჟი მოულოდნელად სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ოჯახი შოკშია - დედა, სენდი (სიგურნი უივერი), მამა, ბენ (ჯეფ დენიელს), და უმცროსი ვაჟი, ტიმი (ემილ ჰირში), თითოეული თავისებურად ებრძვის ამ ტკივილს. სენდი დეპრესიაში ვარდება და საკუთარ ქორწინებას ეჭვის თვალით უყურებს. ბენი, რომელიც ადრე იდეალური ოჯახის მამად ითვლებოდა, ემოციურად სრულად დაცლილია. ტიმი კი ცდილობს, საკუთარ ცხოვრებას აზრი დაუბრუნოს, თუმცა თავადაც უამრავი პრობლემა აქვს. დროთა განმავლობაში ოჯახის საიდუმლოებები იშლება და ყველაფერი სულ უფრო რთულდება. ფილმი გვიჩვენებს როგორ შეიძლება ერთმა მოვლენამ მთელ ოჯახს თავდაყირა დააყენოს და როგორ სწავლობენ ადამიანები ტკივილთან ერთად ცხოვრებას.

**American Beauty (1999) - ამერიკული სილამაზე**

**R IMDb 8.3/10 Rotten Tomatoes 87%**

ფსიქოლოგიური დრამა ამერიკულ ცხოვრებას, ილუზიებს, ოჯახურ დრამებსა და შინაგან თავისუფლებას გვიჩვენებს. ლესტერ ბერნემი (კევინ სპეისი) - 42 წლის მამაკაცია, რომელიც შუა ასაკის კრიზისს განიცდის. მისი ცოლი, კეროლინი (ანეტ ბენინგი), კარიერისტი და ზედაპირული ქალია, რომელიც წარმატებაზეა კონცენტრირებული. მათი ქალიშვილი, ჯეინი (თორა ბირჩი), საკუთარ მშობლებთან გაუცხოებულია და ცხოვრების აზრის პოვნას ცდილობს. ლესტერი საკუთარ ცხოვრებასა და ურთიერთობებში სიცარიელეს გრძნობს, სანამ მისი ქალიშვილის მეგობარი, ანჯელა (მენა სუვარი), მასში აკრძალულ ვნებებს არ აღძრავს. ეს მომენტი მას უბიძგებს, სრულიად შეცვალოს თავისი ცხოვრება - იწყებს ვარჯიშს, აუმჯობესებს თვითშეფასებას და სამსახურს ტოვებს. ჯეინი მეგობრობს მეზობელ ბიჭთან, რიკისთან. რიკის მამა, პოლკოვნიკი ფიტსი (კრის კუპერი), მკაცრი ადამიანია, რომელიც ოჯახის წინაშე საიდუმლოებებს მალავს. ფილმის კულმინაცია მოულოდნელი და ტრაგიკულია - ყველა პერსონაჟის ნამდვილი სახე და მოტივაცია ირკვევა, ყველაფერი დრამატულად იცვლება.

**La Boum (The Party) (1980) - ბუმი**

**PG** **IMDb 6.7/10** **Rotten Tomatoes 64%**

ფრანგული ფილმი მოგვითხრობს 13 წლის გოგონას, ვიკის, ცხოვრებაზე, პირველ სიყვარულზე და ოჯახურ პრობლემებზე. ვიკი (სოფი მარსო) 13 წლის გოგონაა, რომელიც პარიზში ცხოვრობს და სავსეა ოცნებებითა და მღელვარებით. მისი მშობლები, ფრანსუა და კატრინი, დაკავებული პროფესიონალები არიან და ხშირად ვერ უგებენ შვილს. კლასელები მას წვეულებაზე ეპატიჟებიან, ვიკის ცხოვრება მთლიანად იცვლება. იმავდროულად, ვიკის მშობლებს ურთიერთობა ეძაბებათ და მათი ქორწინება კრიზისს განიცდის. ვიკი საკუთარ პრობლემებს ბებიას, პუპეტს (დენიზ გრეი), უზიარებს, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერს და მხიარული ხასიათით გამოირჩევა. ვიკი ეჯახება მოზარდობის ბუნებრივ სირთულეებს - პირველ გატეხილ გულს, მშობლების უთანხმოებას და მეგობრების გავლენას. თუმცა, ის თანდათან სწავლობს, როგორ გაუმკლავდეს ახალ ემოციებს და მიიღოს ცხოვრებისეული გამოცდილება.

**My Girl (1991) - ჩემი გოგო**

**PG** **IMDb 6.9/10** **Rotten Tomatoes 55%**

ფილმი მოგვითხრობს 11 წლის ვადის ბავშვობაზე, პირველ მეგობრობაზე, სიყვარულზე და სიცოცხლის გარდაუვალ ცვლილებებზე. ვადა ჭკვიანი და მგრძნობიარე გოგონაა, რომელიც პენსილვანიის პატარა ქალაქში ცხოვრობს. მისი მამა, ჰარი (დენ ეიქროიდი), დაკრძალვის ბიუროს ფლობს, რაც ვადას ცხოვრებას უჩვეულოს ხდის. ის ადრეულ ასაკში კარგავს დედას, რაც მის ემოციურ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. ტომას ჯეი (მაკოლეი კალკინი) ვადას საუკეთესო მეგობარია - მორიდებული ბიჭია, რომელიც მუდამ მის გვერდითაა. ერთად ატარებენ ზაფხულის დღეებს, ერთად ეძებენ თავგადასავლებს და განიხილავენ ცხოვრების დიდ კითხვებს. ვადა  თავდავიწყებით უყვარდება თავისი ინგლისურის მასწავლებელი, მისტერ ბიქსლერი, და ცდილობს, მისი ყურადღება მიიქციოს. ამასობაში, მამამისი შეხვდება ახალ ქალს - შელის (ჯეიმი ლი კერტისი), რაც ვადას დიდ ეჭვიანობასა და დაბნეულობას იწვევს. ფილმი გვიჩვენებს ბავშვის თვალით დანახულ მოვლენებს - სიკვდილს, დანაკარგსა და ცხოვრებისეულ

გაკვეთილებს, გვახსენებს ბავშვობის განსაკუთრებულ დღეებს და ცხოვრების გარდაუვალ ცვლილებებს.

**Submarine (2010) - წყალქვეშა ნავი**

**R** **IMDb 7.3/10** **Rotten Tomatoes 88%**

ბრიტანული ფილმი 15 წლის ოლივერ ტეიტის ცხოვრებას მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულსა და ოჯახის პრობლემებს ებრძვის. ოლივერი (კრეიგ რობერტსი) ექსცენტრიკული და ინტელექტუალური მოზარდია, რომელიც თავისი ცხოვრების კონტროლს ცდილობს. მისი ორი მთავარი მიზანია - დაიწყოს რომანი ჯორდანასთან, ამბიციურ და ცოტა უცნაურ თანაკლასელ გოგოსთან და გადაარჩინოს მშობლების დაქორწინება, რომელიც კრიზისს განიცდის. ჯორდანა (იასმინ პეიჯი) ცინიკური და იდუმალი გოგონაა, რომელიც ოლივერს იზიდავს. ოლივერი ხვდება, რომ სიყვარული ისეთივე რთული და მტკივნეულია, როგორც მშვენიერი. ოლივერი სწავლობს, რომ სიყვარული და ოჯახი სრულყოფილი არასდროს არის. ფილმი ოლივერის თვალით გვიჩვენებს რას ფიქრობს და როგორ აღიქვამს მოვლენებს. ფილმი ეხება მოზარდობის ბუნდოვან და კომიკურ მხარეებს, სევდიან მომენტებს და პიროვნულ განვითარებას.

**Little Miss Sunshine (2006) - პატარა მის ბედნიერება**

**R** **IMDb 7.8/10** **Rotten Tomatoes 91%**

ფილმი მოგვითხრობს არაორდინალური ოჯახის პერსონაჟების გზას, რომლებიც ცდილობენ პატარა ოლივს მისცენ შანსი, აისრულოს თავისი ოცნება. ოლივი (აბიგაილ ბრესლინი) 7 წლისაა და მისი უდიდესი ოცნებაა, გაიმარჯვოს "Little Miss Sunshine"-ის სილამაზის კონკურსში. როდესაც მოულოდნელად იღებს მიწვევას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მისი ოჯახი - თავისი ყველა პრობლემითა და განსხვავებულობით - გადაწყვეტს, კალიფორნიაში, კონკურსზე, ერთად გაემგზავრონ. ოლივის მამა, რიჩარდი წარუმატებელი მოტივაციური სპიკერია, რომელიც წარმატების ფილოსოფიით ცხოვრობს. დედა, შერი, ცდილობს ოჯახი არ დაიშალოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ქაოტურია. ძმა, დუეინი, ნიცშეს ფილოსოფიით შეპყრობილი თინეიჯერია, რომელმაც ფიცი დადო,

რომ არ ილაპარაკებს, სანამ მფრინავი არ გახდება. ბაბუა - უხეში, უცენზურო, მაგრამ გულწრფელი მოხუცია, რომელიც ოლივის კონკურსისთვის ამზადებს. ოლივის ბიძა, ფრენკი, ახლახან თვითმკვლელობიდან გადარჩენილი პროფესორია, რომელიც დეპრესიას ებრძვის. მათ გზაზე უამრავი უბედურება ხვდებათ - მანქანა ფუჭდება, ბაბუა მოულოდნელად კვდება, დუეინი საშინელ საიდუმლოს იგებს, ხოლო რიჩარდი თავისი კარიერის კრახს განიცდის. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ოჯახი მაინც ერთიანდება, რათა ოლივმა თავისი ნომერი შეასრულოს კონკურსზე - თუნდაც ყველაფერი ქაოსურად წარიმართოს.

**What We Did on Our Holiday (2014) - რას ვაკეთებდით არდადეგებზე**

**PG-13 IMDb 6.9/10 Rotten Tomatoes 75%**

ბრიტანული კომედიურ-დრამა ერთი ოჯახის შოტლანდიაში მოგზაურობისას განვითარებულ აბსურდულ და გულისამაჩუყებელ მოვლენებზე მოგვითხრობს. დაგი და ები (როსამუნდ პაიკი) დაშორებული წყვილია, მაგრამ შვილების გამო ცდილობენ, ეს დროებით დამალონ. მათი სამი ბავშვი - ლოთი, მიკი და ჯესი - შოტლანდიაში მიემგზავრებიან, რათა დიდ ბაბუას, გორდონს, 75 წლის იუბილე გადაუხადონ. მიუხედავად მცდელობისა, ბავშვები ყველგან ამჟღავნებენ ოჯახურ საიდუმლოებებს. ბაბუა მხიარული, თავისუფალი სულის მატარებელი კაცია , რომელიც ცდილობს, შვილიშვილებს ცხოვრებაზე ღირებული გაკვეთილები ასწავლოს. საკმაოდ უცნაური და წარმოუდგენელი მოვლენის შემდეგ ისედაც დაშლილი ოჯახის ბედი თავდაყირა დგება. თუმცა ბავშვების გულწრფელობა და ნამდვილი სიყვარული აერთიანებს ოჯახს.

**The Lovely Bones (2009) - საყვარელი ძვლები**

**PG-13 IMDb 6.6/10 Rotten Tomatoes 31%**

მისტიკური დრამა მოგვითხრობს 14 წლის გოგონას, სუზი სელმონის შესახებ, რომელიც საზარელი მკვლელობის შემდეგ გარდაცვლილთა სამყაროში აღმოჩნდება, თუმცა მისი სული კვლავ აკვირდება ოჯახის და მკვლელის ბედს. სუზი (საორსი რონანი) ჩვეულებრივი 14 წლის გოგოა, რომელსაც უყვარს ფოტოგრაფია და პირველი სიყვარულს

განიცდის. 1973 წელს, სახლში დაბრუნებისას, მეზობელი, ჯორჯ ჰარვი (სტენლი ტუჩი) სუზის ხაფანგში აბამს, კლავს და მის ცხედარს მალავს. სუზის სული ახალ, მაგიურ სამყაროში გადადის შუა სამყაროში. იგი ვერ ტოვებს დედამიწას, რადგან ჯერ კიდევ ვერ ურიგდება თავის ბედს და შურისძიება უნდა. ფილმი მოგვითხრობს დაკარგული სიცოცხლის ტრაგედიას და ოჯახის გამკლავებას მასთან, სიკვდილსა და ცხოვრების შემდეგ სიმშვიდისა და რეალობის მიღებაზე.

**Uptown Girls (2003) - ქალაქელი გოგონები**

**PG-13 IMDb 6.2/10 Rotten Tomatoes 13%**

კომედიური დრამა მოგვითხრობს ორი სრულიად განსხვავებული გოგონას - ახალგაზრდა, უდარდელი მოლი და სერიოზული, დამოუკიდებელი რეის - უნიკალურ ურთიერთობაზე. მოლი (ბრიტანი მერფი) ახალგაზრდა, უდარდელი გოგოა, რომელიც მთელი ცხოვრება მდიდრულად ცხოვრობდა, რადგან ცნობილი როკ-ვარსკვლავის ქალიშვილია. თუმცა მისი ფინანსური მენეჯერი ფულს იპარავს, რის გამოც გოგონა მოულოდნელად უფულოდ. იგი იძულებულია, რეალურ ცხოვრებას შეეჯახოს და სამსახური იპოვოს. რეი (დაკოტა ფენინგი) 8 წლის გოგონაა, რომელიც ბავშვივით კი არა, ზრდასრულივით აზროვნებს. მისი დღეები წესრიგსა და დისციპლინას ემყარება - ის თითქმის არაფრით ჰგავს ტიპურ ბავშვს. მოლი გადაწყვეტს ძიძად იმუშაოს და სწორედ რეის მომვლელად აჰყავთ. თავიდან ისინი აბსოლუტურად ვერ უგებენ ერთმანეთს - მოლი ძალიან ქაოსურია, რეი კი ზედმეტად სერიოზული. თუმცა დროთა განმავლობაში ისინი ხვდებიან, რომ ერთმანეთისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ. ფილმი გვიჩვენებს მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლა, ოჯახური და ემოციური კავშირების მნიშვნელობა, დანაკარგის მიღებას და მასთან გამკლავებას.

**Interstellar (2014) - ინტერსტელარი**

**PG-13 IMDb 8.7/10 Rotten Tomatoes 73%**

კრისტოფერ ნოლანის ფილმი გვიამბობს კაცობრიობის გადარჩენის სასოწარკვეთილ მცდელობაზე, კოსმოსურ მოგზაურობასა და ოჯახის ძალაზე. მომავლის სამყაროში დედამიწა გადაშენების საფრთხის წინაშეა - მტვრის ქარიშხლები და კლიმატის ცვლილებები მოსავლიანობას ანადგურებს. NASA საიდუმლოდ ამზადებს მისიას ახალი პლანეტის საპოვნელად, სადაც ადამიანები შეძლებენ გადასახლებას. კუპერი (მეთიუ მაკკონაჰი) ყოფილი ასტრონავტია, რომელიც მეურნეობითაა დაკავებული და ცდილობს, შვილები - მერფი და ტომი - უკეთეს მომავალს აზიაროს. NASA-ის მეცნიერი პროფესორი კუპერს სთავაზობს შეუერთდეს მისიას, იმოგზაუროს სხვა გალაქტიკაში და საცხოვრებლად ვარგისი პლანეტა იპოვოს. მისი ქალიშვილი მერფი (მაკენზი ფო / ჯესიკა ჩესტეინი) გონიერი და ცნობისმოყვარე გოგონაა, რომელიც „მოჩვენებას“ ამჩნევს თავის ოთახში. ფილმი გვესაუბრება კაცობრიობის ბედსა და ახალ იმედზე, გვიჩვენებს ოჯახის და სიყვარულის ნამდვილ ძალას - რომლისთვისაც არ არსებობს დრო და სივრცე.

**Mr. Nobody (2009) - მისტერ არავინ**




**R IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 66%**

სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის დრამა, რომელიც მოგვითხრობს ნემო ისტორიას, რომელიც 118 წლის ასაკში უკანასკნელი მოკვდავია დედამიწაზე, სადაც ადამიანებმა უკვდავებას მიაღწიეს. ნემო იხსენებს თავისი ცხოვრების სხვადასხვა ვერსიებს, რომლებიც მისი ბავშვობის პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული. ფილმი იკვლევს არჩევანის, ბედისწერისა და ცხოვრების ალტერნატიული გზების თემებს.

**Charlie and the Chocolate Factory (2005) - ჩარლი და შოკოლადის ქარხანა**

**PG** **IMDb 6.7/10** **Rotten Tomatoes 83%**

ტიმ ბარტონის მიერ გადაღებული ჯადოსნური ფილმი მოგვითხრობს პატარა ბიჭის, ჩარლი ბაკეტის საოცარ მოგზაურობაზე ვილი ვონკას შოკოლადის ფაბრიკაში, სადაც ყველაფერი შესაძლებელი ხდება. ჩარლი (ფრედი ჰაიმორი) ღარიბ ოჯახში იზრდება და ოცნებობს, ვილი ვონკას ცნობილი შოკოლადის ფაბრიკა ნახოს. ფაბრიკის შოკოლადებში დამალულია „ოქროს ბილეთები“, რომლებიც ხუთ ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, ფაბრიკაში შევიდნენ. ბილეთები ხუთ განსხვავებულ ბავშვს ხვდება, ჩარლის ჩათვლით - აუგუსტუს გლუპი - გემოთმოყვარული ბიჭი; ვერუკა სოლტი - თავნება განებივრებული გოგონაა; ვაიოლეტ ბორეგარდი - შეჯიბრის ჩემპიონია; მაიკ ტივი - ვიდეოთამაშებით შეპყრობილი ბიჭია; ხოლო ჩარლი - ერთადერთია, ვინც გულწრფელად ინარჩუნებს თავმდაბლობასა და გულწრფელობას. ფილმი გვიჩვენებს განსხვავებული ბავშვების მაგალითებს და მათ შორის მშობლებსაც. ფილმი დაგვაფიქრებს სიხარბისა და თავმდაბლობის დაპირისპირება, ოჯახსა და ოჯახური ურთიერთობების მნიშვნელობაზე.

**Problem Child (1990) - რთული ბავშვი**

**PG** **IMDb 5.5/10**

კომედიური ფილმი მოგვითხრობს წყვილისა და მათი აყვანილი ბიჭის, ჯუნიორის კომიკურსა და ქაოტურ თავგადასავალს. ბენ ჰილი და მისი ცოლი ფლო დიდი ხანია ცდილობენ, შვილი ჰყავდეთ. ისინი გადაწყვიტავენ, ბავშვი იშვილონ შვიდი წლის ჯუნიორი. ჯუნიორი სინამდვილეში ძალიან ცელქი და უკონტროლოა - ის განზრახ ქმნის ქაოსს, ანადგურებს ნივთებს და სკოლაში პრობლემებს იწვევს. ბენის ცხოვრება სრულიად ირევა, მაგრამ მაინც ცდილობს, მამობრივი სიყვარული აჩვენოს. ბენი, მიუხედავად ყველაფრისა, ჯუნიორთან ნამდვილ კავშირს ამყარებს და აცნობიერებს, რომ ბავშვს უბრალოდ ნამდვილი სიყვარული სჭირდება. ჯუნიორი პირველად იწყებს ნდობისა და ნამდვილი ოჯახური კავშირის გრძნობას.

**Madeline (1998) - მედლინი**

**PG IMDb 6/10 Rotten Tomatoes 65%**

ოჯახური კომედია და სათავგადასავლო ფილმი, რომელიც დაფუძნებულია ლუდვიგ ბემელმანსის ცნობილ საბავშვო წიგნებზე. ისტორია ხდება პარიზში, სადაც პატარა გოგონები მონაზონის, მის კლაველის მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებიან. გოგონები წესრიგით ცხოვრობენ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, მადლენი (ჰეტი ჯონსი), ყველაზე ცელქი და მამაცია. მადლენი ყოველთვის პრობლემებში ეხვევა, მაგრამ გულწრფელი და უშიშარია. მას არ აშინებს არც თაგვები, არც ექიმები და არც ბოროტი გეგმები. პანსიონატის შენობა იყიდება და მადლენი და მისი მეგობრები ცდილობენ გადაარჩინონ თავიანთი საყვარელი სახლი. „Madeline“ არის მხიარული, თბილი და ინსპირაციული ფილმი, რომელიც პატარა მაყურებლებს გაბედულებისა და სიკეთის მნიშვნელობას ასწავლის.

**A Little Princess (1995) - პატარა პრინცესა**




**G IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 97%**

ფილმი არის თბილი და შთამაგონებელი ისტორია გოგონაზე, რომელიც სირთულეების მიუხედავად ყოველთვის ინარჩუნებს სიკეთესა და ფანტაზიას. სარა კრუ (ლიზელ მეთიუსი) მდიდარი ბრიტანელი კაპიტნის ქალიშვილია, რომელიც ინდოეთში გაიზარდა. მამა მას ნიუ-იორკში, პრესტიჟულ სკოლა-პანსიონში აგზავნის, რომელსაც მკაცრი მის მინჩინი მართავს. სარა ჭკვიანი, კეთილი და წარმოსახვის უნარით სავსე გოგონაა, რომელიც ყველას აბედნიერებს. მამის გარდაცვალების შესახებ ცრუ ინფორმაცია მოდის, რის შემდეგაც სარა ქონებას კარგავს. მის მინჩინი მას მსახურად აქცევს და საშინელ პირობებში აცხოვრებს. მიუხედავად ამ მძიმე ბედი, სარა არ კარგავს იმედსა და რწმენას, რომ ყველა გოგო "პრინცესაა", განურჩევლად იმისა, როგორი ცხოვრება აქვთ. სარა მეგობრობს სხვა მსახურთან, ბეკისთან, და აგრძელებს ფანტაზიით სავსე ისტორიების მოყოლას, რაც ყველას ამხნევებს. ფილმი მოგვითხრობს მეგობრობასა და თანაგრძნობაზე, ფანტაზიისა და რწმენის მნიშვნელობაზე ცხოვრების სირთულეების გადალახვისას.

# საკუთარი თავის ძიება

**Capernaum (2018) - კაპერნაუმი**




**R** **IMDb 8.4/10** **Rotten Tomatoes 90%**

ნადინ ლაბაკის ფილმი, რომელიც მოგვითხრობს ბავშვის მძიმე ცხოვრებაზე ბეირუთის ქუჩებში. ფილმი იწყება სცენით, სადაც 12 წლის ზაინი სასამართლოში საკუთარ მშობლებს უჩივის - „რატომ გამაჩინეთ, თუ ვერ მიხედავდით?“ - ეს ხდება შოკისმომგვრელი და გულისამაჩუყებელი ამბის დასაწყისი. ზაინი მრავალშვილიან, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახში იზრდება. ის ყოველდღე იძულებულია იმუშაოს, რომ თავი გაიტანოს, მაგრამ მშობლები მის მიმართ დაუნდობლები არიან. ყველაზე დიდი დარტყმა მის დას, საჰარს ეხება, რომელსაც ძალით ათხოვებენ, რამაც ზაინი საბოლოოდ აიძულა, სახლიდან გაქცეულიყო. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ზაინი შეხვდება ეთიოპელ ლტოლვილ ქალს, რაჰილს, რომელიც პატარა შვილს, იონასს მარტო ზრდის. ზაინი ბავშვის მოვლას ეხმარება, მაგრამ როცა რაჰილი უგზო-უკვლოდ ქრება, ბიჭი იძულებულია თავად იბრძოლოს იონასის გადარჩენისთვის. ზაინი საბოლოოდ ციხეში ხვდება. ფილმი გვიჩვენებს სიღარიბეს, სოციალურ უსამართლობას, ბავშვებისა და მოზარდების მძიმე ცხოვრებას, მშობლებისა და საზოგადოების პასუხისმფებლობას.

**Slumdog Millionaire (2008) - მილიონერი ღარიბთა უბნიდან**




**R** **IMDb 8/10** **Rotten Tomatoes 91%**

დენი ბოილის ფილმი, რომელიც გვიყვება იმედის, სიყვარულისა და ბედის შესახებ, ინდოეთის ღარიბი უბნებიდან დიდ წარმატებამდე. ჯამალ მალიკი (დევ პატელი) მონაწილეობს შოუში „ვის უნდა გახდეს მილიონერი?“ და ბოლო კითხვამდე მიდის. ყველას უკვირს - როგორ შეძლო ღარიბ უბანში გაზრდილმა ახალგაზრდამ ამდენი კითხვისთვის სწორი პასუხის გაცემა. მას თაღლითობაში

ადანაშაულებენ და პოლიციას დაკითხვაზე მიჰყავს. ფილმი მოგვითხრობს ჯამალის ბავშვობაზე მუმბაის სლამებში, სადაც ის და მისი ძმა, სალიმი, გადარჩენისთვის იბრძვიან. მათთან ერთად არის ლატიკა, გოგონა, რომელიც ჯამალს უყვარს. ბიჭები ქუჩაში ცხოვრობენ, ხვდებიან ბანდიტებს, გადიან საშიშ და ემოციურ თავგადასავალს. ჯამალი შოუში მხოლოდ ფულის მოსაგებად არ მონაწილეობს - ის იმედოვნებს, რომ ლატიკა ტელევიზორში ნახავს და იპოვის. მისი ცოდნა მხოლოდ წიგნებიდან არ მოდის, არამედ ცხოვრებიდან - ყოველი პასუხი მისი მძიმე წარსულის ნაწილს უკავშირდება. ფილმი ემოციური და ძალზე დინამიკურია, რომელიც გვიჩვენებს, რომ წარმატება და ბედნიერება მხოლოდ ფულზე არ არის დამოკიდებული.

**What's Eating Gilbert Grape (1993) - რა აწუხებს გილბერტ გრეიფს**




**PG-13 IMDb 7.7/10 Rotten Tomatoes 90%**

დრამა ოჯახის, პასუხისმგებლობისა და პირადი თავისუფლების შესახებ. გილბერტ გრეიპი (ჯონი დეპი) ახალგაზრდა ბიჭია, რომელიც პატარა ქალაქში, ენდორაში ცხოვრობს. მას მძიმე პასუხისმგებლობა აკისრია - ზრუნავს თავის ოჯახზე, მათ შორის თავის ძმაზე, არნიზე (ლეონარდო დიკაპრიო), რომელსაც ინტელექტუალური განვითარების დარღვევა აქვს. მათი დედა სახლიდან თითქმის არასდროს გამოდის. გილბერტს თავისი ცხოვრება არ აქვს - ის მთლიანად ოჯახს უძღვნის თავს და პატარა მაღაზიაში მუშაობს. მიუხედავად ყველაფრისა, ის კეთილია და ცდილობს, არნის უსაფრთხოება შეინარჩუნოს, თუმცა ზოგჯერ ამას ვერ ახერხებს. ქალაქში ჩამოდის ახალგაზრდა ქალი, ბეკი, რომელიც გილბერტს სულ სხვაგვარად აზროვნებას ასწავლის. ბეკის წყალობით, გილბერტი იწყებს ფიქრს იმაზე, თუ როგორი ცხოვრება სურს სინამდვილეში. ფილმი მოგვითხრობს ოჯახურ ვალდებულებზე, პირადი თავისუფლებაზე, ძმისა და ოჯახის სიყვარულიზე, ცვლილებების შიშსა და ახალი გზის პოვნაზე.

**The Secret Life of Bees (2008) - ფუტკრების საიდუმლო ცხოვრება**

**PG-13 IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 60%**

ფილმი მოგვითხრობს ოჯახზე, ქალების ძალასა და იმედის პოვნაზე ყველაზე რთულ სიტუაციებში. ლილი ოუენსი (დაკოტა ფენინგი) 14 წლის გოგონაა, რომელიც 1964 წლის სამხრეთ კაროლინაში ცხოვრობს. ბავშვობაში მშობლების ჩხუბის დროს შემთხვევით დედამისი მოკლა და ახლა ბრაზი და დანაშაულის გრძნობა არ ასვენებს. მას მკაცრი და ცივი მამა ზრდის. ლილი თავის შავკანიან ძიძასთან, როზალინთან ერთად სახლიდან გარბის. ისინი პატარა ქალაქში, ტიბურონში ხვდებიან და იქაურ მეფუტკრე დებს - ოგასთს (ქუინ ლატიფა), ჯუნს (ალიშა ქისი) და მეის (სოფი ოკონედო) პოულობენ. დები მათ თავშესაფარს სთავაზობენ და ლილი ნელ-ნელა აღმოაჩენს დედამისის კავშირს ამ ადგილთან. ფილმი ეხება რასობრივ დაძაბულობასაც. ფილმი გვიჩვენებს საკუთარი ცხოვრების, წარსულის და შინაგანის ძიების პროცესს, ოჯახისა და ნამდვილი ურთიერთობის ძალას.

**When Marnie Was There (2014) - როდესაც მარნი იყო ჩემთან**




**PG IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 92%**

ჰირომასა იონობაიაშის იაპონური ანიმაციური ფილმი, რომელის სიუჟეტი ეფუძნება ჯოან რობინსონის ამავე სახელწოდების ბრიტანულ რომანს. მთავარი გმირი ანა მარტოსული გოგონაა, რომეელიც დასასვენებლად სოფელში მიდის. ანა მალევე აღმოაჩენს მიტოვებულ სასახლეს ჭაობთან, სადაც შეხვდება იდუმალ გოგონას – მარნის. მარნი და ანა სწრაფად ხდებიან საუკეთესო მეგობრები, მაგრამ ანა თანდათან აცნობიერებს, რომ მარნი შესაძლოა სულაც არ იყოს ის, ვინც ჰგონია. მარნი მის წინ ყოველთვის უჩვეულო ვითარებაში ჩნდება და ისეთ ამბებს უყვება, რომელიც ანას რეალობას აშორებს. თანდათანობით ირკვევა მარნის ნამდვილი ვინაობის საიდუმლო, რაც ანას საკუთარ წარსულსა და ოჯახურ კავშირებში გარკვევის საშუალებას აძლევს. ანიმე სენტიმენტალური და სევდიანი ისტორიაა მეგობრობაზე, მარტოობაზე, თვითაღმოჩენასა და ოჯახურ კავშირებზე. ფილმი სავსეა დამახასიათებელი სიალმაზით, მშვიდი ატმოსფეროთი და ემოციური სიღრმით.

**Lion (2016) - ლომი**

**PG-13 IMDb 8/10 Rotten Tomatoes 84%**

საოცრად ემოციური და რეალურ ამბავზე დაფუძნებული ისტორია დაკარგული ბიჭის შესახებ, რომელიც წლების შემდეგ თავის ოჯახს ეძებს. სარუ 5 წლის ინდოელი ბიჭია, რომელიც თავის ძმასთან, გუდუსთან ერთად ცხოვრობს. ერთ ღამეს, როცა ძმას ეხმარება, სარუ შემთხვევით ცარიელ მატარებელში ჯდება და იკარგება. მატარებელი 1600 კილომეტრით შორს წაიყვანს და კოლკატას ქუჩებში მარტო რჩება. სარუს ავსტრალიელი წყვილი, სიუ და ჯონ ბრაიერლები (ნიკოლ კიდმანი და დევიდ უენემი) იშვილებენ. ის იზრდება ახალ გარემოში, თუმცა თავის წარსულს ვერ ივიწყებს. დიდობაში (დევ პატელი), სარუ Google Earth-ის დახმარებით ცდილობს იპოვოს თავისი მშობლიური სოფელი. ფილმი ემოციურად აღწერს საკუთარი წარსულის და ოჯახის პოვნის მნიშვნელობას, ბავშვების დაკარგვის პრობლემა ინდოეთში, მიტოვებულობის ტკივილის, გადარჩენისა და ახალი ცხოვრების შექმნას.

**Storm Boy (2019) - ბიჭი-გრიგალი**

**PG IMDb 6.9/10 Rotten Tomatoes 68%**

ავსტრალიური დრამატული ფილმი, რომელიც ეფუძნება კოლინ ტიელის 1964 წლის იმავე სახელწოდების ნოველას. ფილმი მოგვითხრობს მაიკლ კინგლის ისტორიას, რომელიც წარმატებული ბიზნესმენია და თავის ბავშვობას იხსენებს, როდესაც სანაპიროზე იზრდებოდა მამასთან ერთად. ბავშვობაში მაიკლი გადაარჩენს სამ ობოლი ვარხვს, რომელთაგან ერთს, მისტერ პერსივალს, განსაკუთრებულად უახლოვდება. მათი მეგობრობა მაიკლის ცხოვრებას ახალ და მოულოდნელ მიმართულებას აძლევს. ფილმი გამოირჩევა ემოციური სიღრმითა და ბუნების სილამაზის შთამბეჭდავი კადრებით.

**Duma (2005) - ფიქრები თავისუფლებაზე**




**PG IMDb 7.1/10 Rotten Tomatoes 95%**

საოცარი თავგადასავალი მეგობრობასა და ბუნებასთან კავშირზე, სადაც ბიჭი და გეპარდი (cheetah) ერთად გადიან დაუვიწყარ გზას. ჰანი პატარა დუმას გზატკეცილზე იპოვის და ოჯახი მის გაზრდას დაიწყებს. როდესაც დუმა გაიზრდება გადაწყვეტენ ველურ გარემოში დააბრუნონ. მამამისი მოულოდნელად გარდაიცვლება, ოჯახი ქალაქში გადადის საცხოვრებლად გეპარდთან ერთად. ჰანი აცნობიერებს, რომ დუმას არ შეუძლია ქალაქში ცხოვრება და გადაწყვეტს ნამდვილ სახლში - აფრიკის ველურ გარემოში დააბრუნოს. იწყება ჰანისა და დუმას თავგადასავალი ველურ ბუნებაში, სადაც უამრავ დაბრკოლებას ხვდებიან - მდინარეები, მტაცებელი ცხოველები და ადამიანებსაც კი. ჰანი მოგზაურობაში ეგუება მამაისის დაკარგვით გამოწვეულ სევდასა და მწუხარებას. საბოლოოდ, პოულობს საკუთარ თავსა და ცხოვრების გაგრძელების ძალას, აცნობიერებს ნამდვილი მეგობრობისა და ოჯახური ურთიერთობების უსაძღვროებას.

**Life of Pi (2012) - პის ცხოვრება**




**PG IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 86%**

ფილმი მოგვითხრობს გადარჩენის, რწმენის, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის შესახებ. პი პატელი (სურაჯ შარმა) ინდოელი ბიჭია, რომელიც ოჯახთან ერთად ზოოპარკს ფლობს. როცა ოჯახი კანადაში გადასვლას გადაწყვეტს, ისინი ცხოველებთან ერთად გემით გაემგზავრებიან. მაგრამ შტორმის შედეგად გემი იძირება და პი მარტოდმარტო აღმოჩნდება ნავით. ნავზე ერთად რჩებიან პი და ბენგალური ვეფხვი სახელად რიჩარდ პარკერი. პის უწევს ისწავლოს ვეფხვისთან თანაცხოვრება, რათა გადარჩეს. ის თავის რწმენას ეყრდნობა, სწავლობს წყალში თევზაობას და ნელ-ნელა ამყარებს უცნაურ, მაგრამ მძლავრ კავშირს ვეფხვთან. ფილმი ასახავს ადამიანის გადარჩენისა და გამძლეობის ისტორიას, რწმენას, ოჯახის დაკარგვასა და ცხოვრების გაგრძელებას.

**Lassie (1994) - ლესი**

**PG IMDb 5.8/10 Rotten Tomatoes 88%**

სათავგადასავლო ოჯახური დრამა, რომელიც დაფუძნებულია ერიკ ნაითის კლასიკურ პერსონაჟზე - ჭკვიან და ერთგულ კოლიზე, სახელად ლესი. ფილმი მოგვითხრობს ტერნერების ოჯახზე, რომელიც ნიუ-იორკიდან ვირჯინიის სოფელში გადადის ახალი ცხოვრების დასაწყებად. ოჯახის 13 წლის ბიჭს, მეთს, უჭირს ახალ გარემოსთან შეგუება. მისი ცხოვრება იცვლება, როდესაც შემთხვევით გადაარჩენს ულამაზეს, ჭკვიან კოლს. მალე მათ შორის განსაკუთრებული კავშირი ყალიბდება. ლესი არა მხოლოდ მეთს ეხმარება სირთულეების გადალახვაში, არამედ ოჯახის ერთგული მცველი და მეგობარი ხდება. ფილმი მეთის თვალით გვიჩვენებს მოვლენებს, როგორ ეგუება საცხოვრებლის შეცვლას, მამამისის ცხოვრებაში მყოფ დედინაცვალს, სკოლასა და ახალ ადამიანებს. დედამისის ცხოვრების აღმოჩენით მეთი საკუთარ თავსაც პოულობს. ეს გულისამაჩუყებელი და შთამაგონებელი ფილმი გვასწავლის ერთგულების, მეგობრობისა და ოჯახის მნიშვნელობას.

**Stand by Me (1986) - დარჩი ჩემთან**

**R IMDb 8.1/10 Rotten Tomatoes 92%**

ნოსტალგიური და გულისამაჩუყებელი ფილმი ბავშვობაზე, მეგობრობაზე და ზრდასრულობაში გადასვლის ტკივილზე. 1959 წელი, პატარა ქალაქი ორეგონში. ოთხი მოზარდი - გორდი, კრისი, ტედი და ვერნი - გაიგებენ, რომ ტყეში დაკარგული ბიჭის გვამია. ისინი გადაწყვეტენ გაემართონ დაკარგული ბიჭის საძებნელად და გმირებად იქცნენ. მოგზაურობისას ბიჭები ერთმანეთს კიდევ უფრო უახლოვდებიან. გორდი მწერალია, მაგრამ ოჯახში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. კრისი ჭკვიანი და კეთილია, თუმცა მის ოჯახს ცუდი რეპუტაცია აქვს. ტედის მამამისის გამო დაცინიან. ვერნი უწყინარი და ბავშვურია. ბიჭებს გზად უამრავი სირთულე ხვდებათ - მატარებელი, ურჩი თინეიჯერები, ტყეში გატარებული ღამე. მოგზაურობა მათ ცხოვრებას სამუდამოდ შეცვლის. მოგზაურობის შემდეგ, მეგობრები ხვდებიან, რომ ბავშვობა უკან დარჩა. ფილმი ბავშვების მხოლოდ რამდენიმე, მაგრამ მნიშვნელოვან დღეებს გვიჩვენებს. ფილმი ემოციურია და სავსეა მოგობრების დიალოგებითა და საუბრებით.

**Whisper of the Heart (1995) - გულის ჩურჩული**




**G IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 95%**

ანიმე მოგვითხრობს 14 წლის მოსწავლე შიძუკუ ცუკიშიმას ისტორიას, რომელიც გატაცებულია წიგნების კითხვით და ოცნებობს მწერლობაზე. ერთ დღეს ის აღმოაჩენს, რომ ბიბლიოთეკიდან აღებული ყველა წიგნი ადრე სეიჯი ამასავას წაუკითხავს. შიძუკუ დაინტრიგებულია სეიჯით, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში არ შეხვედრია. შემდგომში შიძუკუ შეხვდება სეიჯის, რომელიც ოცნებობს ვიოლინოზე დაკვრასა და სასწავლებლად იტალიაში წასვლაზე. მათი ურთიერთობა შიძუკუს შთააგონებს სერიოზულად მიუდგეს საკუთარი ოცნებების განხორციელებას. ანიმე გვიჩვენებს თვითაღმოჩენის, პირველი სიყვარულის, მეგობრობისა და მოტივაციის თემებს.

**From Up on Poppy Hill (2011) - კოკურიკოს ფერდობიდან**

**PG IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 87%**

გორო მიაძაკის ანიმაციური ფილმი, რომელიც მოგვითხრობს 1963 წელს იოკოჰამაში მცხოვრები გოგოს უმის შესახებ. ანიმე სავსეა სკოლის სიუჟეტებით, მოსწავლეების თავდაუღალავი შრომით გადაარჩინონ სკოლის კლუბის შენობა. ანიმე მოგვითხრობს სიყვარულის გრძნობაზე, წარსულის საიდუმლოზე, მეგობრობასა და ერთობლივი შრომის ძალაზე.

**A Silent Voice (2016) - ხმის ფორმა**

**PG-13 IMDb 8.1/10 Rotten Tomatoes 95%**

ანიმე დაფუძნებულია იოშიტოკი ოიმას ამავე სახელწოდების მანგაზე. ფილმი ეხება ბულინგს, მონანიებას და თვითშეცნობის პროცესს. ფილმის მთავარი გმირია იშიდა - სკოლის მოსწავლე, რომელიც ბავშვობაში ბულინგის შედეგად უსამართლოდ მოექცა კლასელ გოგონა ნიშიმიას. ნიშიმიას სმენის პრობლემები აქვს, რაც დაცინვის საგანია. ნიშიმია სკოლიდან გადადის, იშიადა კი ნელ-ნელა წყვეტს ადამიანებთან ურთიერთობას. წლების შემდეგ ანიმე მოგვითხრობს ზრდასრულობის შესახებ - ის ცდილობს შეცვალოს თავისი ქმედებები, მოძებნოს ნიშიმია და გამოისყიდოს თავისი დანაშაული. ფილმი დაგვაფიქრებს რამდენად მნიშვნელოვანია შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად წარსულის გააზრება და ზრდასრულობაში მაინც შეცდომების გამოსწორება. ანიმე  არის ემოციური და გულწრფელი ამბავი მეორე შანსებსა და ადამიანის პიროვნულ ზრდაზე, მონანიებაზე, მეგობრობის ძალაზე, კომუნიკაციის მნიშვნელობასა და მენტალური ჯანმრთელობაზე.

**Only Yesterday (1991) - მხოლოდ გუშინ**

**PG IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 100%**

ისაო ტაკაჰატას გამორჩეული და დაუვიწყარი ანიმაცია, რომელიც მოგვითხრობს 27 წლის ტაეკო ოკაჯიმას ისტორიას. ის ტოკიოში ოფისში მუშაობს. ერთ დღეს გადაწყვეტს დაისვენოს და სოფელში მიემგზავრება. მოგზაურობისას მისი ბავშვობის მოგონებები ცოცხლდება, განსაკუთრებით 10 წლის ასაკში გატარებული წელები, რაც მას საკუთარ ცხოვრებაზე და გადაწყვეტილებებზე ფიქრის საშუალებას აძლევს. სიუჟეტი გვიჩვენებს როგორ აღიქვამს ადამიანი წარსულის მოგონებებს და საერთოდ რა შეიძლება დაგვამახსოვრდეს ბავშვობიდან - რომელია ის გამორჩეული მომენტები, რომლებიც დროს უძლებს. ანიმე ეხება ზრდასრულობის, თვითაღმოჩენის და წარსულის გავლენის თემებს.

**The Place Beyond the Pines (2012) - ადგილი ფიჭვნარში**

**R** **IMDb 7.3/10** **Rotten Tomatoes 79%**

ფილმი მოგვითხრობს მამებისა და შვილების ბედისწერაზე. ლუკ გლეტონი (რაიან გოსლინგი) ქარიზმატული, მაგრამ მარტოსული მოტოციკლისტია. იგი იგებს, რომ ყოფილ შეყვარებულს, რომინას (ევა მენდესი), მისგან შვილი ჰყავს. ბავშვისთვის უკეთესი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ლუკი ბანკების ძარცვას იწყებს. მისი დანაშაულებრივი ცხოვრება პოლიციელის, ევერი კროსის (ბრედლი კუპერი) ყურადღებას იპყრობს და შემთხვევით გადააწყდება კიდეც. ევერი ლუკს კლავს - ეს მოვლენა მის ცხოვრებას სამუდამოდ ცვლის. ათი წლის შემდეგ, ევერის შვილი (ეი ჯეი) და ლუკის შვილი (ჯეისონი) ერთმანეთს ხვდებიან. მათ არ იციან თავიანთი მამების ისტორია, მაგრამ მათი გზები ტრაგიკულად იკვეთება. ფილმი გვიჩვენებს ბედისწერისა და არჩევანის ძალას.

**White Boy Rick (2018) - თეთრი ბიჭი რიკი**

**R** **IMDb 6.5/10** **Rotten Tomatoes 56%**

რეალურ მოვლენებზე დაფუძნებული კრიმინალური დრამა მოზარდის შესახებ, რომელიც FBI-ის ინფორმატორი და შემდეგ ნარკობიზნესის ნაწილი ხდება. რიკ ვერშე უმცროსი (რიჩი მერიტი) არის 14 წლის ბიჭია, რომელიც ცხოვრობს თავისი მარტოხელა მამის (მეთიუ მაკკონაჰი) და ნარკოდამოკიდებული დის გვერდით. მისი მამა იარაღით ვაჭრობს, მაგრამ ცდილობს პატიოსანი ცხოვრება შეინარჩუნოს. რიკი ნელ-ნელა ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ურთიერთობას იწყებს და კრიმინალურ სამყაროში ებმება. რიკს FBI უკავშირდება და მათთვის ინფორმატორად იწყებს იმუშაოს. ფილმი გვიჩვენებს ოჯახურ ურთიერთობებსა და სხვადასხვა მხრიდან გვაჩვენებს სამართლებრივ სისტემას.

**The Boy and the Beast (2015) - ბიჭუნა და მონსტრი**

**PG-13 IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 90%**

მამორუ ჰოსოდას ანიმაციური ფენტეზი, რომელიც გვიამბობს მეგობრობაზე, პიროვნულ ზრდასა და ოჯახის მნიშვნელობაზე. 9 წლის რენ (კიოუტა) პატარა ბიჭია, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ მარტო რჩება. მამის შესახებ არანაირი ახალი ამბავი არ აქვს, რენი უარყოფს ნათესავებთან მეურვეობის ქვეშ ცხოვრებას და შიბუიას ქუჩებში გარბის. რენი შემთხვევით ხვდება იდუმალ ალტერნატიულ სამყაროში, რომელიც ჯიუტენგაიდ (Beast Kingdom) არის ცნობილი. აქ ცხოვრობენ ანთროპომორფული ცხოველები, რომლებიც ადამიანებს არ ეკონტაქტებიან. ჯიუტენგაიში კუმატეცუ - ძლიერი, მაგრამ უხეში მებრძოლი - ბიჭს თავის მოწაფედ იღებს. მათი ურთიერთობა რთულად იწყება, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთმანეთისგან სწავლობენ. რენი ახალი სახელით - კიუტათი განაგრძობს ცხოვრებას და ძლიერდება. რენი ერთდროულად ორივე სამყაროს ეკუთვნის - ადამიანურსა და ცხოველურს. მას უწევს გადაწყვიტოს - სად არის მისი ნამდვილი ადგილი და რას ნიშნავს ოჯახი და მეგობრობა. ანიმე არის საოცრად ემოციური და ვიზუალურად შთამბეჭდავი.

**ლაზარეს თავგადასავალი (1973) - Adventures of Lazare**




რამაზ ხოტივარის ფილმი, რომელიც ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებისა და გიორგი ლეონიძის მოთხრობის „სოფლის შარაგზაზე“ მოტივების მიხედვით არის გადაღებული. ფილმი მოგვითხრობს ობოლი ბიჭის, ლაზარეს (გეგა კობახიძე), ისტორიას. ლაზარე ხვდება მოხეტიალე უსინათლო კაცს (ავთანდილ მახარაძე), რომელიც თან წაიყვანს. ისინი ერთად მოგზაურობენ ყოველდღიური ლუკმაპურის საშოვნელად. მიუხედავად მძიმე პირობებისა, მათი ურთიერთობა ლაზარესთვის მორალური მხარდაჭერის წყაროდ იქცევა. მოგზაურობის განმავლობაში ლაზარე ხვდება ეპოქის სხვა პერსონაჟებს - მღვდელს, აზნაურს - და გვიჩვენებს იმდროინდელი ყოფის

სირთულეებს. ფილმი სიღრმისეულად ასახავს ადამიანურ ურთიერთობებს, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და მარტოდ დარჩენილი ბიჭის მცდელობას გადარჩეს.

**Léon: The Professional (1994) - ლეონი: პროფესიონალი**

**R** **IMDb 8.5/10** **Rotten Tomatoes 75%**

კრიმინალური დრამა პროფესიონალ მკვლელსა და პატარა გოგონას შორის უნიკალურ მეგობრობაზე. ნიუ-იორკი, 1990-იანი წლები. ლეონი (ჟან რენო) იტალიური მაფიის პროფესიონალი ქილერია, რომელიც მარტოსულად ცხოვრობს და მხოლოდ თავის მცენარეზე ზრუნავს. მის მეზობლად 12 წლის მატილდას (ნატალი პორტმანი) ცხოვრობს. მატილდას ოჯახი კორუმპირებულმა აგენტმა ნორმან სტენსფილდმა (გარი ოლდმენი) ამოხოცა. მატილდა გადარჩენას ლეონთან პოულობს და მას სთხოვს, ასწავლოს, როგორი იძიოს შური. ლეონი თავდაპირველად უარს ამბობს, მაგრამ საბოლოოდ მატილდას თავშესაფარს სთავაზობს და ასწავლის მკვლელობის ხელოვნებას. მათი ურთიერთობა ნელ-ნელა ემოციურად უფრო ღრმავდება.

**Alpha (2018) - ალფა: პირველი მონადირე**

**PG-13** **IMDb 6.6/10** **Rotten Tomatoes 80%**

სათავგადასავლო ფილმი ადამიანის და მგლის მეგობრობაზე პრეისტორიულ ხანაში. მოქმედება პალეოლითის ხანაში - 20,000 წლის წინ ხდება. კედა ახალგაზრდა ბიჭია, რომელიც პირველყოფილი ტომის ლიდერის ვაჟია. მამამისს პირველად მიჰყავს სანადიროდ, რათა მამაკაცად აღიარონ. ნადირობის დროს, კედა კლდის ნაპირიდან ვარდება და მისი ტომი ფიქრობს, რომ მოკვდა. გზაში იგი დაჭრილ მგელს გადააწყდება და მის დახმარებას გადაწყვეტს. კედა მას „ალფას“ არქმევს. მათი მოგზაურობა სავსეა საფრთხეებით - მკაცრი ზამთარი, მტაცებელი ცხოველები და საკვების უკმარისობა. კედას ისტორია დაგვაფიქრებს ცხოვრების პარალელებზე უხსოვარ დროსა და დღევანდელობაში. ფილმი ვიზუალურად შთამბეჭდავია ბუნებისა და ველური სამყაროს

სურათებით. ფილმი გვასწავლის რამდენად მნიშვნელოვანია ნდობა, გამბედაობა და კავშირი ბუნებასთან.

**The Last Emperor (1987) - უკანასკნელი იმპერატორი**

**IMDb 7.7/10** **Rotten Tomatoes 86%**

ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმი, რომელიც გვიამბობს ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორის, პუ ი-ს ცხოვრების შესახებ. 1908 წელს, 2 წლის პუ ი ჩინეთის იმპერატორად ინიშნება. მიუხედავად ძალაუფლებისა, პუის ცხოვრება იზოლირებულია აკრძალულ ქალაქში. მოწყვეტილია ნამდვილ სამყაროს და მხოლოდ მსახურები ზრდიან. 1912 წელს ჩინეთში რესპუბლიკა ყალიბდება, პუიმ ფორმალურად ტახტი უნდა დატოვოს, თუმცა აკრძალულ ქალაქში რჩება, როგორც სიმბოლური ფიგურა. 1924 წელს ის საბოლოოდ ტოვებს აკრძალულ ქალაქს და იაპონიაში ხვდება. იაპონელები იყენებენ მას მარიონეტად და 1934 წელს მანჯოუ-გოს იმპერატორად ნიშნავენ. ფილმი პუის მთელ ცხოვრებას ასახავს. ფილმი გვიჩვენებს საიმპერატორო აღზრდის სტილის გავლენებსა და შედეგებს ადამიანის ცხოვრებაზე. ფილმი მოგვითხრობს ძალისა და ძალაუფლების გარდამავალ ბუნებაზე, გვიჩვენებს ბავშვისათვის დაკისრებულ მოვალეობებსა და ცხოვრების განსხვავებულ ისტორიულ სახეს.

# ქართული ფილმები

**მამლუქი (1958) - Mamluqi**

**IMDb 7.3/10**

დავით რონდელის ფილმი „მამლუქი“ არის 1958 წელს გადაღებული ისტორიულ-დრამატული ფილმი. ხვიჩასა და გოჩას მოიტაცებენ და სტამბოლის ტყვეთა ბაზარში გაყიდიან. გოჩას ვენეციელი ვაჭარი იყიდის, ხვიჩას კი — ეგვიპტელი მამლუქი. ხვიჩას მეომრად აღზრდიან და მაჰმუდს შეარქმევენ. ხვიჩა იძულებულია ცხოვრება სრულიად ახალ რეალობაში დაიწყოს. მთავარი გმირი დროთა განმავლობაში საუკეთესო მებრძოლად ყალიბდება, მაგრამ შინაგანი კონფლიქტები არ ასვენებს - უნდა მიიღოს ახალი ცხოვრება, თუ ეცადოს სამშობლოში დაბრუნებას? ფილმი არის ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიული დრამა, რომელიც ადამიანის პიროვნულ ბრძოლასა და ცხოვრებისეულ გზებს გვიჩვენებს.

**ივანიკა და სიმონიკა (1975)**

ფილმის რეჟისორი პავლე ჩარკვიანი. სიუჟეტი მოგვითხრობს ორი ძმის - ივანიკასა (გურამ ფალავანდიშვილი) და სიმონიკას (გია ფერაძე) ისტორიას. ფილმი დატვირთულია ბიბლიური ალუზიებითა და სიმბოლოებით, ზღაპრული ატმოსფეროთი - ერთიანობში არაჩვეულებრივად გვიხატავს ორი საწყისის დაპირისპირებას. კარგად ჩანს პატარა ივანიკას ზნეობა და მორალური ღირებულებები.

**იავნანა (1994) - Iavnana**

**R** **IMDb 7.8/10**

ნანა ჯანელიძის 1994 წელს გადაღებული ქართული დრამატული ფილმი მძიმე სოციალური რეალობისა და დედაშვილური სიყვარულის თემებზე მოგვითხრობს. ლეკები პატარა ქეთოს მოიტაცებენ. დაკარგულ ქალიშვილს მშობლები წლების შემდეგ იბრუნებენ. ქეთოს არ ახსოვს არც მშობლები და არც ენა. წარსულს, დედ-მამასა და მშობლიურ ენას მხოლოდ დედის ნამღერი იავნანა გაახსენებს. ფილმი ნათლად გვიჩვენებს ისტორიული საქართველოს ბედსა და ბავშვების მძიმე რეალობას.

**ფესვები (1987) - Pesvebi**




**IMDb 8.8/10**

გუგული მგელაძის 1987 წელს გადაღებული ქართული ფილმი ადამიანის კავშირის შესახებ მოგვითხრობს საკუთარ წარსულთან, ოჯახთან და კულტურულ იდენტობასთან. ფილმი ასახავს ემიგრაციის სირთულეებს, შინაგან კონტლიქტებს, ადამიანურ სიმარტოვეს. უცხო ქვეყნის მიწაზე გაზრდილი შვილების გაუხცოებას წარსულთან. მხოლოდ გიორგი ბრუნდება მშობლიურ სოფელში, სადაც ცდილობს გაარკვიოს საკუთარი ფესვები და იდენტობა. მისი წარსული, ოჯახის ისტორია და სოფლის ტრადიციები გადაჯაჭვულია იმ კითხვებთან, რომლებზეც პასუხების მიღება სურს.

**ვერის უბნის მელოდები (1973) - Melodies of the Vera Quarter**

**PG-13 IMDb 7.5/10**

გიორგი შენგელაიას ქართული მუსიკალური კომედია, რომელიც სავსეა იუმორით, რომანტიკით და თბილისის ძველი კოლორიტული ატმოსფეროთი. ფილმის მოქმედება ვითარდება თბილისში, ვერის უბანში ვითარდება, სადაც ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის ადამიანები ცხოვრობენ. ფილმი ორი უნიჭიერესი გოგონას შესახებ მოგვითხრობს, რომელთაც ცეკვის შესწავლა სურთ, თუმცა სწავლისათვის საკმარისი ფული არ აქვთ. მრეცხავი ვარდო უდიდესს მსხვერპლს გაიღებს და ყველანაირად ცდილობს ბავშვების დახმარებას. ფილმი გვიჩვენებს სოციალურ უთანასწორობას, უცნობი ადამიანების გაწეულ მხარდაჭერასა და სიყვარულს. „ვერის უბნის მელოდები“ არის თბილი და მხიარული ფილმი, რომელიც არა მხოლოდ მშვენიერ ისტორიას გვიამბობს, არამედ გვაგრძნობინებს ძველი თბილისის სულსა და მელოდიებს.

**სხვისი შვილები (1958) - Other people's Children**

**IMDb 7.5/10**

თენგიზ აბულაძის ქართული დრამატული ფილმი ადამიანურ ურთიერთობებს, ზნეობრივ პასუხისმგებლობასა და სიყვარულს ეხება. დათა მარტოხელა მამაა, რომელიც ორ შვილს ზრდის და რკინიგზაზე მუშაობს. ბავშვები მარტო დაეხეტებიან თბილისის ქუჩებში. ერთ დღეს ბავშვები ახალგაზრდა გოგოს ნატოს გაიცნობენ, რომელიც თავადაც ობოლია. ფილმი მოგვითხრობს მშობლობის პასუხისმგებლობებზე, ცხოვრებისეულ დილემებსა და გადაწყვეტილებებზე. ფილმი დაგვაფიქრებს რომ დედობრივი სიყვარულისა და მზრუნველობისთვის სისხლისმიერი კავშირები არ არის საჭირო.

**მამა (2015) - Mama**

**R** **IMDb 7.2/10**

დავით ფირცხალავას მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც 19 წლის ლადოს ცხოვრებას გვიჩვენებს. ლადო დედასა და ძმასთან ერთად ცხოვრობს. დიდხნიანი გაუჩინარების შემდეგ მამამისი მოულოდნელად ჩნდება. მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგროვებული კითხვები ერთიანად ატყდება თავს ლადოს, რაც შინაგან კონფლიქტებში გადადის. ფილმი მკაფიოდ გვიჩვენებს პერსონაჟების - ლადოს, როგორც დიდი ძმის, თავისი უმცროსი ძმის სახეებს, მათი ურთიერთობის მომენტებს დედასთან, შინაგან მდგომარეობებს და ცხოვრების მთავარი არჩევანის მიღებას.

**ტბა (1998) - The Lake**

**PG-13** **IMDb 7.2/10**

ფილმის სიუჟეტი ეფუძნება ჰაინრიხ მანის მოთხრობის მოტივებს, რეჟისორი კი კახა კიკაბიძეა. მამის ტრაგიკული მკვლელობის შემდეგ ზურა და დედამისი სოფლიდან ქალაქში გადმოდიან საცხოვრებლად. მომხდარი ბიჭის ცხოვრებას მთლიანად ცვლის. ახალ სკოლაში ზურა ცდილობს თანაკლასელებზე გავლენა მოახდინოს, თუმცა ამ როლის თამაშს დიდ ხანს ვერ შეძლებს. ფილმი გვიჩვენებს თვითგამორკვევისა და ურთიერთობის რთულ საკითხებს, შინაგან მარტოობასა და საზოგადოების მიერ ახალგაზრდების პრობლემების უგულებელყოფას.

**მეტიჩარა (1988) - Metichara**



**IMDb 7.1/10**

ნელი ნენოვასა და გენო წულაია ქართული მხატვრული ფილმი. ნინიკოს (ნინო სურგულაძე) მამა მშობლების დაშორების შემდეგ აღარ უნახავს. მეტიჩარა დელფინარიუმიდან გაქცეული დელფინია, რომელიც მამამისმა, რობინზონმა დაიმეგობრა. ფილმი არაჩვეულებრივად გვიჩვენებს გაუცხოების მომენტსა და მამა-შვილის მცდელობას დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

**მაისის თოვლი (1989) - Snow in May**

ზურაბ ინაშვილის ქართული დრამა, რომელიც სიყვარულზე, ადამიანურ ურთიერთობებზე და ცხოვრების მოულოდნელ ცვლილებებზე გვიამბობს. ფილმი გვიჩვენებს, როგორ მოქმედებს გარემო ადამიანების ბედზე და როგორი გავლენა აქვს მოულოდნელ ცვლილებებს მათ ცხოვრებაზე. ფილმი სავსეა სკოლის მოვლენებით, მოსწავლეთა ოინბაზობებით. ფილმი მოგვითხრობს როგორია პირველი სიყვარული, მისი გაცნობიერება, ახალი რეალობის მიღება და საკუთარი გზის ძიება. მაისში თოვლი  უცნაური და არალოგიკურია - ის სიმბოლოა მოულოდნელი ცვლილებების.

**მოუსვენარი ზაფხული (1983) - Restless Summer**

ალექსანდრე ნინუას ფილმი გიოს თავგადასავლებზე მოგვითხრობს. სკოლის დასრულების შემდეგ არდადეგები იწყება - ზაფხული კი ჩვენი გმირისთვის ნამდვილად მოუსვენარი აღმოჩნდება. ფილმი სავსეა სოფლის კოლორიტული ატმოსფეროთი, ისტორიებით. ფილმი გვიჩვენებს პირველი სიყვარულის თანმდევ განვითარებულ მოვლენებს, დაპირისპირებებს, სოციალურ უთანასწორობას. დაგვაფიქრებს პერსონაჟების შინაგან ცვლილებასა და ზრდაზე, რომელიც სკოლის ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაიარეს.

**ზღარბი (1979) - Igelchen**

ალექსანდრე ნინუას მოკლემეტრაჟიანი ქართული მხატვრული ფილმი, სცენარის ავტორია არჩილ სულაკაური. გოგი ყველასაგან განსხვავებული თმის გამო ხშირად ყურადღების ცენტრში ხვდება. ლიასა და გოგის შორის კინკლაობა ნელ-ნელა სხვა გრძნობებს აჩენს.

**მსურველებს შეუძლათ ჩაეწერონ (1973)**




ალექსანდრე ნინუას ფილმი მოგვითხრობს კრივის მასწავლებელზე და მის ცხოვრებისეულ გამოწვევებზე. ქალაქში ჩასვლის შემდეგ რაჟდენი კრივის სექციას ხელმძღვანელობს. იგი აღსაწრდელებს მორალურ ღირებულებებსა და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს ასწავლის. მოსწავლეები სპორტთან ერთად ნელ-ნელა სკოლაშიც იცვლებიან და შინაგანად ყალიბდებიან.

**მე მოვედი (1981)**

ფილმის რეჟისორია ალექსანდრე ნინუა. სიუჟეტი ლადოს (ლადო ბურდული) შესახებ მოგვითხრობს. სკოლაში ახლადგადმოსული ნინიკოს გაცნობის შემდეგ ლადოს ცხოვრება განსხვავებულად ვითარდება. ფილმში ვხვდებით სკოლის მომენტებს, მასწავლებლების დამოკიდებულებებს, გვიჩვენებს ლადოსა და ნიკას მეგობრობას, ზაფხულის არდადეგებზე მათ ახალ თავგადასავლებს. ფილმი არაჩვეულებრივად გვიცოცხლებს პერსონაჟების ცხოვრებას.

**როცა აყვავდა ნუში (1972) - When Almonds Blossomed**

**R IMDb7.5/10**ლანა ღოღობერიძის ფილმი, რომელიც მეათეკლასელების ცხოვრებას გვიჩვენებს. მთავარი გმირი, ზურა (ზურაბ ყიფშიძე), მდიდარი კაცის შვილია. სკოლის დირექტორი მანქანის მოპარვის შემდეგ ზურას შეჯიბრიდან მოხსნით დასჯის. მამისის ჩარევის შემდეგ დირექტორი გადაწყვეტილებას შეიცვლის. ზურა შეჯიბრში დაუმსახურებლად მოიპოვებს ჩემპიონობას. ფილმი გვიჩვენებს განვითარებულ მოვლენებსა და ტრაგედიას. დაგვანახებს არასწორი ქმედებების შედეგს, დანაშაულის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებასა და მამების გავლენას შვილების ცხოვრებაზე.

**საფეხური (1985) - The Step**

**IMDb 7.8/10**

ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმი ახალგაზრდა ბიჭის ალექსის (მერაბ ნინიძე) შესახებ მოგვითხრობს. ალექსი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტში მუშაობას. იგი ცდილობს მოძებნოს თავისი ადგილი ცხოვრებაში და გაარკვიოს, თუ რა არის მისი რეალური მიზანი. ყოფის აუტანელი სიმსუბუქე, ერთფეროვნება, ეფემერული ურთიერთობები ალექსის მთავარი გადაწყვეტილებისაკენ უბიძგებს და ახალ ნაბიჯს - საფეხურს დგამს ცხოვრების გზაზე.

**ლაქა (1985) - Stain**

ალეკო ცაბაძის ფილმი მოგვითხრობს ტექნიკუმის ახალგაზრდა სტუდენტის, ქიშოს შესახებ. ნიჭიერი მუსიკოსია და თავისუფალი მოაზროვნე. სანაძლეოს წაგების შემდეგ ქიშოს ცხოვრება იცვლება. ფილმი სწორედ ამ კონფლიქტის შესახებ მოგვითხრობს. ფილმი გვიჩვენებს ქიშოს არაორდინალურ პერსონაჟს, რეალური ცხოვრების პრობლემებს, მშობლებთან ურთიერთობასა და მათ უყურადღებობას შვილების სირთულეებთან, პერსონაჟის შინაგან ცვლილებებსა და გარემოს როლს.

**ჩიორა (1984) - Chiora**

**IMDb 8.2/10**

ნელი ნენოვასა და გენო წულაიას ფილმი, სცენარის ავტორი - ბესო ოდიშარია. ფილმი მარისა და ნიკას ისტორიით იწყება. მათ ერთმანეთი უყვართ და ზღვისპირა ქალაქში იპარებიან, სადაც ნიკას ბიძასთან აპირებენ დარჩენას. თუმცა მოვლენები ისე არ განვითარდება, როგორც გეგმავდნენ. საბოლოოდ, ოთახსაც არავინ აქირავებთ და ქუჩაში დარჩენილები შემთხვევით ჩიორას

გაიცნობენ. მოვლენები სამი პერსონაჟის ირგვლივ ვითარდება. ფილმი დაგვაფიქრებს ურთიერთობებზე, პიროვნების ჩამოყალიბებასა და პასუხისმგებლობის აღებაზე, ადრეული ქორწინების - გასული საუკუნის „გაპარვის“ თემას - პრობლემებს, მოვლენების დაუგეგმავ განვითარებასა და გზაზე შეხვედრილ სირთულეებს.

**გრძელი ნათელი დღეები (2013) - In Bloom**

**PG-13 IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 90%**

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივი ნამუშევარი. ფილმი ასახავს გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის პერიოდს. მთავარი გმირები - ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სირთულეებითა და ყოველდღიური პრობლემებითაა სავსე - ოჯახური კონფლიქტები, ძალადობა, სოციალური ქაოსი და უიმედობა. ფილმში ნაჩვენებია იმდროინდელი ქართული რეალობა მოზარდების თვალით. ფილმი გვიჩვენებს სკოლის მოვლენებს, სიყვარულსა და მეგობრობას, იძულებითი ქორწინება, დამსხვრეული ოცნებები და ყოველდღიურ უსასრულო ამაოებას.

**ქუჩის დღეები (2010) - Street Days**




**R IMDb 7.7/10**

„ქუჩის დღეები“ ლევან კოღუაშვილის დრამატული ფილმია. მთავარი გმირი - ჩეკი უდიდესი დილემის წინაშე აღმოჩნდება. დიდი ზეწოლის მიუხედავად, ცდილობს დაიცვას 16 წლის ბიჭი, იკა. ჩეკი ნარკოტიკებს მოიხმარს და მისი ყოველდღიური ცხოვრება სირთულეებითაა სავსე. ფილმი რეალისტურად აღწერს თბილისის ქუჩებს, საზოგადოების პრობლემებს, ნარკოტიკების გავრცელებას და პერსონაჟების მორალურ ბრძოლას.

**ტრასა**

მოკლემეტრაჟიანი ფილმი ლევან კიტიას საკონკურსო ნაშრომია. ფილმი სრულიად განსხვავებული ატმოსფეროთი გადაგვიშლის ახალგაზრდების მჩქეფარე ყოველდღიურობას - რომელთა ცხოვრება სავსეა სკეიტბორდით. ფილმის პერსონაჟები სხვადასხვა გამოწვევას ეჯახებიან - სიყვარულის გრძნობებს, კონფლიქტურ დაპირისპირებებს. ამ გზაზე ისინი ახალ ღირებულებებს იძენენ. ფილმი გვიჩვენებს მთავარი გმირის გადაწყვეტილებასა და ახალი მეგობრობის დასაწყისს.

**Mid90s (2018) - 90-იანი წლები**




**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 81%**

ფილმი 2018 წელს ჯონა ჰილის მიერ გადაღებული ნოსტალგიური და ემოციური დრამა, რომელიც თინეიჯერობის, მეგობრობისა და თვითიდენტობის ძიების შესახებ მოგვითხრობს. ლოს-ანჯელესი, 90-იანი წლები. მთავარი გმირი, სტივი (სანი სულჯიჩი), 13 წლის ბიჭია, რომელიც ძმასთან და დედასთან ერთად კონტლიქტურ გარემოში ცხოვრობს. სტივი შეხვდება უფროსი თინეიჯერების ჯგუფს, რომლებიც სკეიტბორდით სრიალით არიან გატაცებულები. ისინი თავისუფალი, უკომპლექსო და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებით ცხოვრობენ, რაც სტივის ძალიან იზიდავს. სტივი იწყებს თავის ადგილის პოვნას ამ ახალ გარემოში - მეგობრებში, რომლებიც ოჯახზე მეტად უგებენ. ფილმში ნაჩვენებია 90-იანი წლების ახალგაზრდული სუბკულტურა - სკეიტბორდი, ქუჩის ცხოვრება, წვეულებები, სიგარეტი, ალკოჰოლი და პირველი ცხოვრებისეული გამოცდილებები. „Mid90s“ არის გულწრფელი, ნოსტალგიური და ამაღელვებელი ფილმი, რომელიც იდეალურად გადმოსცემს 90-იანი წლების ახალგაზრდულ სულს.

**Kids (1995) - ბავშვები**




**NC-17 IMDb 7/10 Rotten Tomatoes 47%**

საკამათო და რეალისტური დრამა, რომელიც ნიუ-იორკელი თინეიჯერების დაუნდობელ ყოველდღიურობას აღწერს. ფილმი ეხება მოზარდობის რისკებს, სექსუალურ ექსპერიმენტებს, ძალადობას და ცხოვრების უკონტროლო სტილს. მთავარი გმირი ტელი (ლეო ფიცპატრიკი) 17 წლის ბიჭია, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვს. მას არ აწუხებს შედეგები - არ ფიქრობს დაავადებებსა და მის მიერ მოტანილ ზიანზე. ერთ-ერთი გოგონა, ჯენი (ქლოე სევინია), აღმოაჩენს, რომ აივ-ინფიცირებულია, მას მხოლოდ ერთი სექსუალური პარტნიორი - ტელი. მთელი ფილმი მათი ცხოვრების მხოლოდ ერთ

დღეს ასახავს. ჯენი მთელი ფილმის განმავლობაში ცდილობს, იპოვოს ტელი და გააფრთხილოს, ვიდრე სხვას დააინფიცირებს. ფილმში ვხედავთ  თინეიჯერების უმართავ, აგრესიულ, ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით გაჟღენთილ ცხოვრებას. „Kids“ არის ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი და დაუნდობელი ფილმი, რომელიც არასრულწლოვანთა რეალურ პრობლემებს აღწერს.

**Young Adult Matters (2021) - უფროსებს არ ესმით**




**IMDb 5.8/10  Rotten Tomatoes 82%**

სამხრეთკორეული სოციალური დრამა, რომელიც აღწერს პრობლემური მოზარდების მძიმე ცხოვრებას, მათ ბრძოლას გადარჩენისთვის  და საყურადღებო თემებს, როგორიცაა ორსულობა, ძალადობა და სოციუმისგან გარიყულობა. მთავარი გმირი  საუნი (ლი იუ მი) 18 წლის მოზარდია, რომელიც ცხოვრობს მძიმე ოჯახურ გარემოში და არ აქვს არანაირი მხარდაჭერა. მას სკოლაში უჭირს, მეგობრები არ ჰყავს, და თავისი ცხოვრების აზრის ძიებაშია. ერთ დღესაც საუნი აღმოაჩენს რომ ორსულადაა. სახლიდან გაქცევის შემდეგ იგი ხვდება ახალგაზდა გოგოს, მოგვიანებით კი - ორ ბიჭს. ისინი გაურბიან  საზოგადოებრივ და ოჯახურ ზეწოლას  და ცდილობენ საკუთარი გზით იცხოვრონ. ფილმი რეალისტურად გვიჩვენებს,  თუ რამდენად დაუცველები არიან მოზარდები, როდესაც მათ გვერდით არავინაა.

**Juno (2007) - ჯუნო**

**PG-13  IMDb 7.4/10  Rotten Tomatoes 93%**

კომედიურ-დრამატული ფილმი, რომელიც მოზარდობის, დაუგეგმავი ორსულობისა და პასუხისმგებლობის თემებს ეხება. ფილმი გამოირჩევა გულწრფელი ემოციებითა და შესანიშნავი დიალოგებით. ჯუნო (ელენ პეიჯ) 16 წლის გულწრფელი და ცოტათი ცინიკური მოზარდია, რომელიც მოულოდნელად გაიგებს, რომ ორსულად არის. ბავშვის მამა მისი მეგობარი  პოლი (მაიკლ სერა) არის. თავდაპირველად  ის აბორტის გაკეთებას ფიქრობს, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტს, ბავშვი შვილად აყვანის მსურველ წყვილს გადასცეს. ჯუნო პოულობს  მარკსა (ჯეისონ ბეიტმანი) და

ვანესას (ჯენიფერ გარნერი), რომლებსაც ბავშვის აყვანა სურთ. თუმცა ყველაფერი ისე მარტივად არ მიდის - ჯუნოს ემოციურად რთული პერიოდი ეწყება, ხოლო მარკის და ვანესას ურთიერთობაც გაურკვევლობაში ვარდება. ფილმი გვიჩვენებს მოზარდობის გამოწვევებს, თვითიდენტობის ძიებას, ოჯახურ და სოციალური ურთიერთობებს.

**Broker (2022) - ბროკერი**

**R IMDb 7.1/10 Rotten Tomatoes 94%**

ჰიროკაზუ კორეედას დრამატული ფილმი, რომელიც ეხება ოჯახურ ურთიერთობებს, მორალურ დილემებსა და ადამიანურ კავშირებს. ფილმის სიუჟეტი ვითარდება „ბავშვთა ყუთის“ გარშემო – ეს არის ადგილი, სადაც ადამიანები ჩვილების ანონიმურად დატოვება შეუძლიათ. მთავარი პერსონაჟები - სანგ ჰიონი და დონ სუ ჩუმად იპარავენ ბავშვებს და ყიდიან. ყველაფერი იცვლება, როდესაც სო იუნი, ერთ-ერთი ჩვილის დედა, მოულოდნელად ბრუნდება და შვილს ეძებს. საბოლოოდ, დედა შეუერთდება ორ მამაკაცს ბავშვისთვის ოჯახის მოძებნაში. სანგ ჰიონი და დონ სუ თავადაც ობლები არიან, რომლებიც ამავე საქმეში არიან ჩართულები. პერსონაჟები ერთმანეთთან განსკუთრებულ კავშირს ამყარებენ, ძალიან ბევრს საუბრობენ გულახდილად და გარკვეულწილად იღებენ იმ კითხვებზე პასუხს, რომელიც მთელი ცხოვრებაა აფიქრებთ. ფილმი სავსეა ემოციებითა და სითბოთი, ეხება ოჯახურ კავშირებს, სიყვარულსა და მიტევებას.

**Cinema Paradiso (1988) - ახალი კინოთეატრი პარადისო**

**R IMDb 8.5/10 Rotten Tomatoes 91%**

ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი და ემოციური იტალიური ფილმი, რომელიც კინოს სიყვარულზე, ბავშვობაზე, მეგობრობასა და მოგონებებზე გვიამბობს. ფილმი მოგვითხრობს სალვატორე "ტოტოს" ცხოვრებაზე, რომელიც პატარა სოფლიდან წამოსული წარმატებული რეჟისორია. მას ბავშვობის წლები ახსენდება, როდესაც კინოთეატრში მუშაობდა და ფილმების სამყაროში პირველად ჩაიძირა. ტოტოს ყველაზე ახლო მეგობარი ალფრედო (ფილიპ ნოირე) - მოხუცი კინოოპერატორია, რომელიც ბიჭს კინოს სიყვარულს ასწავლის. ტოტო

მისგან ცხოვრებისეულ გაკვეთილებს იღებს, ალფრედო კი ცდილობს, რომ ბიჭმა სოფელში არ ჩარჩეს და უფრო დიდი მომავალი შექმნას. ფილმი ცხოვრებისეულ გზას გვიჩვენებს ბავშვობიდან ზრდასრულობამდე და საკმაოდ საინტერესოა ფილმზე ამ მხრივ დაკვირვება. ფილმი გვიჩვენებს დროის მსვლელობას, ცხოვრების ცვლილებებს, ბავშვობას, სიყვარულს, მშობლიური მხარის დატოვებასა და დაბრუნებას. რაც ყველაზე მთავარია, კინოს სიყვარულსა და მის გავლენას ცხოვრებაზე.

**Boyhood (2014) - ბავშვობა**




**R IMDb 7.9/10**

უნიკალური და ექსპერიმენტული ფილმია, რომელსაც რეალურ დროში, 12 წლის განმავლობაში იღებდნენ. ფილმი გვიჩვენებს, როგორ იზრდება და იცვლება მთავარი გმირი ბავშვობიდან ზრდასრულობამდე. ფილმი მოგვითხრობს მეისონ ევანსის (ელარ კოლტრეინი) ბავშვობიდან მოზარდობამდე გაზრდის ისტორიას. ის შვილის მზრუნველი დედისა და უპასუხისმგებლო მამის გვერდით ცხოვრობს. ფილმი გვიჩვენებს მეგობრობას, პირველ სიყვარულს, იმედგაცრუებებს, ოჯახის ცვლილებებსა და თვითიდენტობის ძიებას. მოგვიანებით, როცა მეისონი კოლეჯში მიდის, მისი ცხოვრება ახალ ფაზაში შედის, რაც ფილმის სიმბოლურ დასასრულს წარმოადგენს. „Boyhood“ ერთ-ერთი ყველაზე არაჩვეულებრივი კინოპროექტია, რომელიც მაყურებელს რეალური ცხოვრების შეგრძნებას უტოვებს.

**The Perks of Being a Wallflower (2012) - მარტოსულობის უპირატესობანი**




**PG-13 IMDb 7.9/10 Rotten Tomatoes 85%**

ფილმი სტივენ ჩბოსკის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით არის გადაღებული. ფილმი სენსიტიურ და ემოციურ ისტორიას გვიყვება მოზარდობის, მეგობრობის, თვითაღმოჩენისა და ფსიქოლოგიური ტრავმების შესახებ. მთავარი გმირი, ჩარლი (ლოგან ლერმანი), არის მორცხვი და ჩაკეტილი მოზარდი , რომელიც ცდილობს, ახალ სკოლაში გარემოს შეეგუოს. წარსულში განცდილი ტრავმები მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აისახა. ჩარლი ახალ მეგობრებს იძენს - სემს (ემა უოტსონი) და მის ნახევარძმას პატრიკს (ეზრა მილერი). მათთან ერთად ჩარლი ნელ-ნელა იხსნება, სწავლობს ცხოვრებით ტკბობას და ნამდვილი მეგობრობის ფასს აცნობიერებს. ის პირველად ეზიარება

სიყვარულს, მუსიკას, წვეულებებს და ახალ ცხოვრებას. წესს. მიუხედავად იმისა, რომ ჩარლი ბედნიერი ჩანს, მისი ბავშვობის მძიმე მოგონებები კვლავ აწუხებს. ფილმი ემოციურად ასახავს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და იმაზე გვიამბობს, თუ როგორ შეიძლება მეგობრობა და სიყვარული ადამიანს ცხოვრების ყველაზე რთული ეტაპების გადალახვაში დაეხმაროს.

**All the Bright Places (2020) - ის ნათელი ადგილები**

**IMDb 6.6/10** **Rotten Tomatoes 67%**

ემოციური დრამაა, რომელიც მოზარდების მენტალურ ჯანმრთელობაზე, ტრავმებსა და სიყვარულზე მოგვითხრობს. ვაიოლეტ მარკი (ელ ფენინგ) დაკარგული დის გარდაცვალებას ვერ ეგუება და ემოციურად ჩაკეტილია. თეოდორ ფინჩი (ჯასტის სმიტი) ექსცენტრიკული, არასტაბილური ბიჭია , რომელიც დეპრესიასა და მენტალურ დაავადებებს ებრძვის. მათი გზები ერთ დღეს ხიდზე იკვეთება. ფინჩი ვაიოლეტს თვითმკვლელობის მცდელობისგან იხსნის. ფინჩი ცდილობს, ვაიოლეტს ახალი ცხოვრების აზრი აპოვნინოს. აჩვენებს სამყაროს "ნათელ ადგილებს", ეხმარება მას სირთულეების გადალახვაში. ფილმი გვესაუბრება ფსიქიკური ჯანმრთელობასა და თვითმკვლელობაზე, ტრავმის გადალახვასა და ცხოვრების მშვენიერი მხარეების აღმოჩენაზე, სიყვარულიზე, რომელსაც ადამიანის შეცვლა და გადარჩენა შეუძლია.

# ადიქცია

**To the Bone (2017) - ძვლამდე**

**R IMDb 6.8/10 Rotten Tomatoes 69%**

ფილმი ანორექსიასთან ბრძოლას, თვითიდენტობის ძიებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეებს ეხება. მთავარი გმირი, ელენი (ლილი კოლინზი), 20 წლის გოგოა, რომელიც ანორექსიით იტანჯება. ის მრავალჯერადი მკურნალობის მიუხედავად, კვლავ ვერ ახერხებს საკვების ნორმალურად მიღებას და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს. მშობლები მას აგზავნიან სპეციალურ მკურნალობის პროგრამაში, რომელსაც ექიმი უილიამ ბექჰემი (კიანუ რივზი) ხელმძღვანელობს. ამ ცენტრში ელენი ხვდება სხვა პაციენტებს, რომლებიც კვების დარღვევებს ებრძვიან, მათ შორის ლუკს (ალექს შარფი), რომელიც ნელ-ნელა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ელენი საკუთარ შიშებს, ოჯახის პრობლემებს და მენტალურ ბრძოლას ეჯახება. ფილმი გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს ის ცხოვრების აზრის დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, რომ გზაში არაერთი სირთულე ხვდება.

**Girl, Interrupted (1999) - შეწყვეტილი სიცოცხლე**

**R IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 54%**

„Girl, Interrupted“ ძლიერი დრამაა, რომელიც ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, თვითიდენტობის ძიებასა და საზოგადოების მიერ დაკისრებულ ჩარჩოებზე გვიყვება. სუზანა კეისენი (ვაინონა რაიდერი) 18 წლის გოგოა, რომელსაც სასოწარკვეთილება და ემოციური არასტაბილურობა აწუხებს. თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, ოჯახი მას ფსიქიატრიულ კლინიკაში აგზავნის. იქ ის ხვდება სხვადასხვა მენტალური პრობლემის მქონე გოგონებს, რომლებიც სრულიად განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობენ. კლინიკაში სუზანა ლიზა როუის (ანჯელინა ჯოლი) უახლოვდება, რომელიც ქარიზმატული, მაგრამ მანიპულატორი და ფსიქოპათური ბუნების გოგოა. ლიზა კლინიკის წესებს ეწინააღმდეგება და ცდილობს სუზანაზე გავლენა მოახდინოს. მათი

ურთიერთობა ერთდროულად მიმზიდველიცაა და დამანგრეველიც. სუზანა ცდილობს გაუმკლავდეს საკუთარ შიშებს, იპოვოს ცხოვრების მიზანი და კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ ახალი დასაწყისი შექმნას.

**Beautiful Boy (2018) - ლამაზი ბიჭი**




**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 68%**

ფილმი ნარკოდამოკიდებულებას, ოჯახის ბრძოლასა და სიყვარულის საზღვრებს ეხება. ფილმი ნიკ შეფის (ტიმოთი შალამე) და მისი მამის, დევიდ შეფის (სტივ კარელი) ნამდვილ ისტორიას ეფუძნება. ნიკი ნიჭიერი, ჭკვიანი და მზრუნველი ბიჭია, თუმცა ნარკოტიკების სამყაროში იძირება. მისი დამოკიდებულება მეტამფეტამინსა და სხვა ნივთიერებებზე ოჯახის ცხოვრებას ანგრევს. დევიდი, როგორც მამა, ყველაფერს აკეთებს, რომ შვილი გადაარჩინოს. ფილმი გვაჩვენებს ოჯახის ტანჯვას, იმედებსა და იმედგაცრუებას - სიყვარულს, რომელიც არასდროს ქრება. ის ასახავს, თუ რამდენად რთულია ნარკოდამოკიდებულებასთან ბრძოლა - არა მხოლოდ ნიკისთვის, არამედ მისი ოჯახის ყველა წევრისთვისაც.

**The Basketball Diaries (1995) - კალათბურთელის დღიურები**

**R IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 45%**

ფილმი ნარკოდამოკიდებულების, დანაშაულის და დაკარგული ახალგაზრდობის შესახებ გადაღებული დრამაა, რომელიც რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული. ჯიმ კეროლი (ლეონარდო დიკაპრიო) ნიჭიერი და პერსპექტიული მოზარდია, რომელსაც კალათბურთის ვარსკვლავობა სურს. ჯიმი ნარკოტიკების გამო თანდათან კარგავს ყველაფერს - სკოლას, სპორტს, ოჯახს და მეგობრებს. მისი ცხოვრება ქაოსში იძირება და ქუჩაში აღმოჩნდება. ჯიმი ცდილობს იპოვოს ძალას, რათა ამ ჩაკეტილი წრიდან გამოვიდეს და ახალ გზაზე დადგეს.

**Requiem for a Dream (2000) - ოცნების რექვიემი**

**R IMDb 8.3/10 Rotten Tomatoes 78%**

დარენ არონოფსკის „Requiem for a Dream“ არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფილმია, რომელიც ნარკოდამოკიდებულების განადგურებით სავსე სამყაროს გვაჩვენებს. ფილმი ოთხი პერსონაჟის ბედზე მოგვითხრობს. სარა გოლდფარბი (ელენ ბერსტინი) - მარტოხელა დედა, რომელიც ტელევიზიაში გამოსვლის ოცნებით ცხოვრობს. ჰარი გოლდფარბი (ჯარედ ლეტო) - მისი შვილია, რომელიც ნარკოტიკებს მოიხმარს. მერიონი (ჯენიფერ კონელი) - ჰარის შეყვარებულია, რომელსაც დიზაინერობა უნდა, მაგრამ ნარკოტიკები მის ოცნებებს ანგრევს. ტაირონი (მარლონ უაიანსი) - ჰარის საუკეთესო მეგობარია, რომელიც დიდ ნარკობიზნესში შესვლას ცდილობს. ფილმი მთელი სიმძიმით გვიჩვენებს ნარკოტიკების დამანგრეველ ძალას და ოცნებების მტვრევადი ბუნება.

**Candy (2006) - ქენდი**




**R IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 47%**

ფილმი არის სიყვარულისა და ნარკოტიკების შესახებ მძაფრი დრამა, რომელიც სამი ფაზიას ("სამოთხე", "მიწა" და "ჯოჯოხეთი") გვიჩვენებს. დენი (ჰიტ ლეჯერი) ახალგაზრდა პოეტია, რომელიც ჰეროინზე დამოკიდებულია. კენდი (ები კორნიში) მხატვარია, რომელიც დენის სიყვარულით ნარკოტიკების სამყაროში ეშვება. ისინი ერთად ბედნიერები არიან, მაგრამ ნარკოტიკები თანდათან ანადგურებს მათ ცხოვრებას. თავდაპირველად, თავისუფლებასა და ეიფორიას გრძნობენ, თუმცა ნელ-ნელა კარგავენ ერთამანეთისადმი სიყვარულს. ნარკოტიკების გამო მათი ცხოვრება სრულ ქაოსში იძირება. ფილმი გვიჩვენებს ნარკოტიკების დამანგრეველი გავლენა სიყვარულსა და ცხოვრებაზე.

**ზღვარი (2014) - Margin**

**IMDb 7.5/10**

მარიამ ქაცარავას ფილმი ნინისა და ზაზას ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. შემთხვევითი მოვლენის შედეგად ნინი და ზაზა ერთმანეთს გაიცნობენ. ზაზა მხატვარია, რომელიც ნარკოტიკებს მოიხმარს. მათ მალე ერთმანეთი შეუყვარდებათ. ფილმი გვიჩვენებს განვითარებულ მოვლენებს, წინააღმდეგობებს, ნარკოტიკების გავლენებს, სირთულეებსა და ოჯახურ ურთიერთობებს.

**A Street Cat Named Bob (2016) - ქუჩის კატა სახელად ბობი**

**IMDb 7.3/10 Rotten Tomatoes 77%**

ბრიტანული ბიოგრაფიული დრამა, რომელიც ეფუძნება ჯეიმს ბოუნის ნამდვილ ისტორიას და მის ბესტსელერ წიგნს. ფილმი მოგვითხრობს ჯეიმს ბოუნის, ლონდონელ უსახლკარო მუსიკოსზე, რომელიც ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის და ცდილობს თავისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. ერთ დღეს ის შემთხვევით შეხვდება გაჭრილ და დასუსტებულ ქუჩის კატას, ბობს. ჯეიმსი ბობს უვლის, ხოლო ბობი ერთგულად მიჰყვება მას ქუჩებში. კატა სწრაფად ხდება ყურადღების ცენტრში და ეხმარება ჯეიმსს არა მხოლოდ ახალი მეგობრების შეძენაში, არამედ ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევაში. ფილმი გულთბილი და შთამაგონებელია, ეხება იმედს, მეორე შანსსა და ნამდვილ მეგობრობას.

# სკოლა და მასწავლებლები

**Pay It Forward (2000) - გადაუხადე სხვას**

**PG-13 IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 39%**

გულწრფელი და ემოციური დრამა, რომელიც გვასწავლის, როგორ შეიძლება ერთმანეთის დახმარებამა და სიკეთემ სამყარო შეცვალოს. ტრევორ მაკკინნი (ჰეილი ჯოელ ოსმენტი) - 11 წლის ბიჭია, რომელიც სოციალურ ექსპერიმენტს ქმნის. მისი მასწავლებელი იუგი სიმონეთი (კევინ სპეისი) აძლევს დავალებას: „როგორ შეცვლიდი სამყაროს?“ - ტრევორი გადაწყვეტს, შექმნას სისტემა Pay It Forward - დახმარების ჯაჭვს, სადაც ერთი ადამიანი სამ სხვას ეხმარება, და ისინი, თავის მხრივ, სამ სხვას. ტრევორი ეხმარება დედამისს, არლი მაკკინნის (ჰელენ ჰანტი), და მასწავლებელს ერთმანეთთან დააახლოებაში. იგი უსახლკარო ადამიანს ეხმარება, რათა ცხოვრების უკეთესი გზა იპოვოს. ტრევორის იდეა სწრაფად ვრცელდება და მისი გავლენა მთელი ქვეყნის მასშტაბით იგრძნობა. ფილმი დაგვაფიქრებს სიკეთის ძალასა და მის გავლენას საზოგადოებაზე - სოციალური ცვლილებები ერთ პატარა მოქმედებით იწყება.

**Cool Kids Don't Cry (2012) - კარგი ბავშვები არ ტირიან**

**IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 79%**

ემოციური ჰოლანდიური დრამა, რომელიც მოგვითხრობს გოგონაზე, ცხოვრებისეულ გამოწვევებზე, სკოლასა და ურთიერთობებზე. მძიმე გამოწვევებთან უწევს ბრძოლა. აქი (Hanna Obbeek) - მხიარული, უშიშარი და ფეხბურთის მოყვარული გოგოა. ის თავის თანაკლასელებთან, განსაკუთრებით კი ჯოელთან, ხშირად კონფლიქტშია. აქი უკომპრომისოა და ფიქრობს, რომ „მაგარი ბავშვები არ ტირიან“. ერთ დღეს აქის ლეიკემიის დიაგნოზს უსვამენ. მიუხედავად შოკისა, ის არ ნებდება და ცდილობს, ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდეს. მისი კლასელები, მათ შორის ჯოელი, გვერდში უდგანან აქის და ამხნევებენ. აქი სიკვდილთან დაუნდობელ ბრძოლას

იწყებს, მეგობრების სიყვარულისა და მხარდაჭერის წყალობით კი არასდროს კარგავს იმედს. ფილმი ემოციური, გულისამაჩუყებელი ფილმია, რომელიც გვახსენებს, რამდენად მნიშვნელოვანია სიცოცხლის თითოეული წამი და რამდენად ძლიერია ნამდვილი მეგობრობა.

**Bridge to Terabithia (2007) - ხიდი ტერაბიტიაში**




**PG IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 85%**

ჯესისა და ლესლის მეგობრობის დაუვიწყარი ამბავი, სადაც ფანტაზია და რეალობა ერთმანეთს ერწყმის. ჯესი აარონსი (ჯოშ ჰატჩერსონი) - მორიდებული და მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული ბიჭია, რომელიც მუდმივად ცდილობს, თავის ოჯახში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდროს. ის თავს მარტოსულად გრძნობს, რადგან კლასელებთან ვერ პოულობს საერთო ენას. ლესლი ბერკი (ანა-სოფია რობი) - ჯესის ახალი კლასელი და მეზობელია, რომელიც სიცოცხლით სავსე და წარმოსახვითი სამყაროთი გატაცებულია. ის ჯესისთან მეგობრობს და ერთად ქმნიან ჯადოსნურ სამყაროს - ტერაბიტიას. ფილმი მოგვითხრობს მეგობრობის ძალასა და წარმოსახვის მნიშვნელობაზე, მეგობრის დაკარგვით გამოწვეულ სევდასა და ოჯახის მხარდაჭერაზე.

**The Breakfast Club (1985) - კლუბი საუზმე**




**R IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 87%**

„The Breakfast Club“ არის საკულტო ფილმი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეუძლია ერთმა დღემ შეცვალოს ადამიანის შეხედულებები და ურთიერთობები. ერთ ჩვეულებრივ შაბათს ხუთი სრულიად განსხვავებული მოსწავლე სასკოლო სასჯელს გადის. ისინი მთელი დღე ჩაკეტილები არიან სკოლის ბიბლიოთეკაში და თავდაპირველად ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. ჯონი - მეამბოხე, უხეში და პრობლემური ბიჭია, რომელსაც მუდამ კონფლიქტები აქვს მასწავლებლებთან. კლერი - მდიდარი და პოპულარული გოგოა, რომელიც თავდაპირველად სხვების მიმართ ქედმაღლურად არის განწყობილი. ბრაიან - გენიოსი მოსწავლეა, რომლისგანაც ყველა მაღალ

ნიშნებს ელის, მაგრამ შინაგანად ბევრი სირთულე აქვს. ენდრიუ - სპორტსმენია, რომელიც მშობლების ზეწოლის ქვეშ ცხოვრობს და ცდილობს, ყველასთვის მოსაწონი იყოს. ელისონი - უცნაური მდუმარე, ჩაკეტილი გოგონაა, რომელიც თითქოს ყველასგან განსხვავდება. დღის განმავლობაში ისინი ერთმანეთზე ბევრს გაიგებენ, გაუზიარებენ საიდუმლოებებს, ტკივილებს და შეამჩნევენ, რომ სინამდვილეში უფრო მეტად ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ეგონათ. ფილმი ასახავს მეგობრობის ძალასა და ურთიერთგაგება, საზოგადოებრივი სტერეოტიპების ნგრევას, ოჯახის გავლენებსა და პირად არჩევანს.

**Dead Poets Society (1989) - მკვდარი პოეტების საზოგადოება**




**PG** **IMDb 8.1/10** **Rotten Tomatoes 85%**

„Dead Poets Society“ არის შთამაგონებელი ფილმი მასწავლებელზე, რომელმაც მოსწავლეებს ცხოვრება და ფიქრი ძალა სრულიად სხვა თვალით დაანახა. მოქმედება ვითარდება 1959 წელს ელიტარულ სკოლაში - უელტონის აკადემიაში, სადაც დისციპლინა და წესრიგი უმთავრესი ფასეულობებია. ჯონ კიტინგი (რობინ უილიამსი) - ახალი ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელმაც სწავლების ტრადიციული მეთოდები დაარღვია. ის მოსწავლეებს შთააგონებს, იფიქრონ დამოუკიდებლად, დაინახონ ცხოვრება სხვაგვარად და გაბედონ ოცნება. მისი მთავარი ფილოსოფიაა: „Carpe Diem“. ბიჭები ხელახლა აღადგენენ „მკვდარი პოეტების საზოგადოებას“ - იკრიბებიან გამოქვაბულში, კითხულობენ პოეზიას და საუბრობენ თავისუფლებაზე. ფილმი დაგვაფიქრებს მშობლების ზეწოლასა და პიროვნულ თავისუფლებაზე, სკოლების მკაცრ სისტემასა და მის ჩარჩოებზე, თავისუფლების მნიშვნელობასა და შემოქმედებითობაზე.

**The Emperor's Club (2002) - იმპერატორის კლუბი**




**PG-13 IMDb 6.9/10 Rotten Tomatoes 50%**

ფილმი არის შთამაგონებელი დრამა, რომელიც განათლების, მორალისა და პიროვნული ზრდის მნიშვნელობას გვიჩვენებს. ფილმი ვითარდება პრესტიჟულ სკოლაში, სადაც კლასიკური ცივილიზაციების ისტორიის მასწავლებელი უილიამ ჰანდერტი (კევინ კლაინი) ცდილობს, თავის მოსწავლეებს არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ცხოვრებისეული ღირებულებებიც გადასცეს. სედვიკ ბელი (ემილ ჰირში) - მდიდარი, თავდაჯერებული და ამბიციური მოსწავლეა, რომელიც წესებს არ ემორჩილება. ჰანდერტი ცდილობს, მას სწორი გზა აჩვენოს, მაგრამ სედვიკი მხოლოდ ძალაუფლებასა და გავლენაზეა ორიენტირებული. მასწავლებელი ცხოვრების განმავლობაში კიდევ გადაიკვეთება თავის მოსწავლესთან. იგი ხედავს რომ უამრავი მცდელობის მიუხედავად სედვიკს ვერ შეაცვლევინა მორალური ღირებულებები, რასაც საკუთარ დანაშაულად და მარცხად მიიჩნევს. ფილმი დაგვაფიქრებს მასწავლებლის გაცრუებულ იმედებზე, თუმცა გვიჩვენებს ყველაზე მთავარს - კარგი მასწავლებლობა მხოლოდ ერთი მოსწავლით არ განისაზღვრება - ზოგჯერ ასეთი რეალობაც უნდა მივიღოთ და იმაზე დავფიქრდეთ სხვა რამდენ მოსწავლესთან მივაღწიეთ წარმატებას.

**Napola: Before the Fall (2004) - სიკვდილის აკადემია**

**IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 67%**

ისტორიული დრამა, რომელიც ნაცისტურ გერმანიაში სამხედრო აკადემიის სტუდენტების ცხოვრებას ასახავს. მოქმედება 1942 წელს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ვითარდება. ფრიდრიხ ვაიმერი - 17 წლის ღარიბი, მუშათა კლასის ოჯახის ბიჭია, რომელსაც კრივი კარგად გამოსდის. ნაცისტური პარტიის ელიტური სკოლა მას სწავლის შესაძლებლობას სთავაზობს. ეს სკოლა მომავალი ლიდერების გამოსაწვრთნელად და მათი ნაცისტური იდეოლოგიით აღსაზრდელად შეიქმნა. ის მეგობრობს ალბერტთან (ტომ შილინგი), რომელიც უფრო ჰუმანურია და სკეპტიკურად უყურებს სკოლაში არსებულ სასტიკ წესებს. ფრიდრიხი თანდათან აცნობიერებს, რომ Napola არ არის

მხოლოდ შესაძლებლობა წარმატებისთვის, არამედ ადგილი, სადაც ინდივიდუალურობა, ემოციები და თავისუფალი აზროვნება ჩახშობილია. ფილმი გვიჩვენებს ტოტალიტარული რეჟიმის გავლენას ახალგაზრდობაზე, ინდივიდუალიზმსა და მორალური არჩევანს, ომის იდეალიზაციასა და მის რეალურ სახეს.

**Mona Lisa Smile (2003) - მონა ლიზას ღიმილი**

**PG-13 IMDb 6.6/10 Rotten Tomatoes 33%**

შთამაგონებელი დრამა, რომელიც გვიყვება განათლების, ფემინიზმისა და სოციალური ნორმების გამოწვევის შესახებ 1950-იანი წლების ამერიკაში. მოქმედება ვითარდება 1953 წელს, უელსლის კოლეჯში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ახალგაზრდა და პროგრესული აზროვნების მქონე ხელოვნების ისტორიის პროფესორი კეტრინ უოტსონი კოლეჯში იწყებს მუშაობას. ის გაოგნებულია, როდესაც აღმოაჩენს, რომ ნიჭიერი სტუდენტები განათლებას მხოლოდ იმისთვის იღებენ, რომ „იდეალური ცოლები“ გახდნენ. ის ცდილობს, გოგონებს ასწავლოს, რომ მათ შეუძლიათ მეტი, ვიდრე უბრალოდ კარგი ცოლობა და დედობაა. ფილმი მოგვითხრობს ქალთა უფლებებსა და ემანსიპაციაზე, განათლებზე - როგორც ცვლილებების იარაღზე, პიროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობზე.

**Little Women (2019) - პატარა ქალები**

**PG IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 95%**

ლუიზა მეი ოლკოტის კლასიკური რომანის ერთ-ერთი თანამედროვე ადაპტაცია, რომელიც მოგვითხრობს ოთხი დის - ჯოს, მეგის, ბეტის და ემის - ცხოვრების, სიყვარულისა და ოცნებების შესახებ ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ. მოქმედება 1860-იან წლებში, მასაჩუსეტსში ვითარდება, სადაც მარჩის ოთხი და რთული დროის მიუხედავად ცდილობს, იპოვოს საკუთარი გზა ცხოვრებაში. ფილმი გვიჩვენებს ქალის როლს საზოგადოებაში, ოჯახური კავშირებისა და სიყვარულის მნიშვნელობას, პიროვნულ თავისუფლებასა და კარიერას. ფილმი გრეტა გერვიგის გადაღებულია, რომელიც ტრადიციული ამბის ემოციური და ვიზუალურად მშვენიერი ვერსიაა.

**The Virgin Suicides (1999) - თვითმკვლელი ქალწულები**

**R IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 80%**

სოფია კოპოლას ფილმი, რომელიც ჯეფრი იუჯენიდისის ამავე სახელწოდების რომანს ეფუძნება. მოქმედება 1970-იანი წლების მიჩიგანში ვითარდება და მოგვითხრობს პატარა ქალაქში მცხოვრები ხუთი დის ტრაგიკული ამბავს, რომელთა ცხოვრება მკაცრი ოჯახის კონტროლის ქვეშ არის მოქცეული. ცეცილია (13 წლის), ლაქსი (14), ბონი (15), მერი (16) და ტერეზა (17) ლისბონები კონსერვატიული კათოლიკური ოჯახის შვილები არიან. მათი მშობლები ზედმეტად მკაცრები არიან, განსაკუთრებით დედა, რომელიც გოგონებს თითქმის ყველანაირ თავისუფლებას უზღუდავს. ცეცილია, ყველაზე უმცროსი და, დეპრესიით იტანჯება და პირველი ცდილობს თვითმკვლელობას, თუმცა გადარჩება. მოგვიანებით მშობლები გოგონებს საბოლოოდ მთლიანად კეტავენ სახლში და გარეთ არ უშვებენ. განსხვავებული ასაკის ბიჭები, რომლებიც გოგონებზე ფარულად იყვნენ შეყვარებულები, ცდილობენ მათთან კონტაქტს. ფილმი ტრაგედია დაგვაფიქრებს მოზარდობის სირთულეებსა და მშობლების ზეწოლზე, სუიციდზე, სიყვარულზე, თავისუფლებასა და შეზღუდვებზე.

**Wild Child (2008) - ველური ბავშვი**

**PG-13 IMDb 6.1/10 Rotten Tomatoes 38%**

თინეიჯერული კომედია, რომელიც მოგვითხრობს განებივრებული ამერიკელი გოგონას ბრიტანულ ინტერნატში გაგზავნის შესახებ და იმ ცვლილებებზე, რასაც ის საკუთარ თავში აღმოაჩენს. პოპი მური (ემა რობერტსი) 16 წლის მდიდარი და თავქარიანი გოგონაა მალიბუდან. სასწავლებელში ჩასვლის შემდეგ პოპი ვერ ეგუება ახალ გარემოს - წესებს, უნიფორმებს და დისციპლინას. პოპი ამერიკაში უკან დასაბრუნებლად გადაწყვეტს, რომ უნდა გააგდონ სკოლიდან, ამიტომ ყველაფერს აკეთებს, რომ მასწავლებლები გააღიზიანოს. თავიდან კლასელები პოპის ვერ იტანენ, მაგრამ ნელ-ნელა მასთან მეგობრობას იწყებენ. ის ხვდება, რომ სკოლაში ყოფნა შეიძლება არც ისეთი ცუდი იყოს. „Wild Child“ არის მხიარული და მსუბუქი თინეიჯერული კომედია, რომელიც გვიჩვენებს მოზარდობის დროს საკუთარი თავის ძიებას, ახალი კულტურის მიღებასა, სკოლის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებებს, მეგობრობისა და სიყვარულის ძალას.

**Lady Bird (2017) - ლედი ბერდი**

**R IMDb 7.4/10 Rotten Tomatoes 99%**

გრეტა გერვიგის ავტობიოგრაფიული ელემენტებით დატვირთული დრამა-კომედია, რომელიც მოგვითხრობს მოზარდობის სირთულეებზე, დედა-შვილურ ურთიერთობებზე და საკუთარი თავის ძიებაზე. კრისტინ „ლედი ბერდ“ მაკფერსონი (სირშა რონანი) 17 წლის გოგონაა, რომელიც თავს „ლედი ბერდს“ უწოდებს, ცხოვრობს საკრამენტოში და ოცნებობს კოლეჯში ნიუ-იორკში სწავლაზე. იგი აჯანყებულია დედის, მარიონ მაკფერსონის წინააღმდეგ, რომელიც ზედმეტად მკაცრი და კრიტიკულია. ლედი ბერდი კათოლიკურ სკოლაში იწყებს სწავლას. ფილმი გვიჩვენებს სოციალურ თანასწორობას, პირველ სიყვარულს, მეგობრობას, დედა-შვილურ კონფლიქტებსა და საკუთარი თავის ძიებას.

**The Hate U Give (2018) - ღვარძლი, რომელსაც თესავ**




**PG-13 IMDb 7.5/10 Rotten Tomatoes 97%**

სოციალური დრამა, რომელიც შეეხება რასიზმის, პოლიციის ძალადობისა და სოციალური უსამართლობის თემებს. ფილმი დაფუძნებულია ენჯი თომასის ამავე სახელწოდების ბესტსელერზე. სტარი კარტერი (ამანდლა სტენბერგი) 16 წლის აფროამერიკელი გოგონაა, რომელიც ცხოვრობს ღარიბ უბანში, მაგრამ სწავლობს ელიტარულ თეთრკანიანთა სკოლაში. ის მუდმივად ცდილობს, ორი სამყაროს - თავისი ოჯახისა და სკოლის - ბალანსის დაცვას. სტარი და მისი ბავშვობის მეგობარი ხალილი მანქანით ბრუნდებიან წვეულებიდან, როდესაც მათ პოლიცია აჩერებს. პოლიციელი შეცდომით ხალილს იარაღით ესვრის და კლავს, რადგან ჰგონია, რომ ბიჭს იარაღი უჭირავს. მიუხედავად სირთულეებისა, სტარი იბრძვის თავისი ოჯახის, მეგობრების და საზოგადოების სახელით. ფილმი ასახავს რასიზმსა და სოციალურ უსამართლობა, საყვარელი ადამიანების დაკარგვასა და სიმართლისთვის ბრძოლას.

## (დაწესებულებები)

**The Kindergarten Teacher (2018) - ბაღის მასწავლებელი**

**R IMDb 6.7/10 Rotten Tomatoes 90%**

ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც შეეხება ხელოვნების, შემოქმედებისა და მორალური საზღვრების თემებს. ფილმი დაფუძნებულია 2014 წლის ისრაულ ფილმზე. ლიზა ნიუ-იორკში საბავშვო ბაღის მასწავლებლად მუშაობს და უკმაყოფილოა თავისი ერთფეროვანი ცხოვრებით. იგი ესწრება პოეზიის კურსებს და ოცნებობს ნამდვილ ხელოვნებაზე, თუმცა მისი ნიჭი არ არის გამორჩეული. ერთ დღეს ლიზა აღმოაჩენს, რომ მისი ხუთი წლის მოსწავლე, ჯიმი, გენიოსი პოეტია. ფილმი გვიჩვენებს ზრდასრულისა და ბავშვის ძალაუფლების დინამიკას, მასწავლებლის ზღვარსა და მორალურ პასუხისმგებლობას, ხელოვნების ძიებასა და აკვიატებაზე.

**Doubt (2008) - ეჭვი**




**PG-13 IMDb 7.5/10 Rotten Tomatoes 79%**

ფილმი მორალურ დილემებზე, რწმენასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე მოგვითხრობს. ფილმი დაფუძნებულია ჯონ პატრიკ შენლის პიესაზე და გამორჩეულია ძლიერი შესრულებით. მოქმედება 1964 წელს ბრონქსში - კათოლიკურ სკოლა ხდება. მამა ბრენდან ფლინი (ფილიპ სეიმურ ჰოფმანი) - პოპულარული და თანამედროვე შეხედულებების მქონე მღვდელი, რომელიც სკოლაში სიახლეების შემოტანას ცდილობს. და ალოისიუს ბოვი (მერილ სტრიპი) - მკაცრი და კონსერვატორი მონაზონია, რომელიც სკოლის ხელმძღვანელია და წესრიგისა და მორჩილების მომხრეა. და ჯეიმს (ემი ადამსი) - ახალგაზრდა და მიამიტი მასწავლებელია, რომელიც კონფლიქტის შუაში აღმოჩნდება. და ჯეიმსი ამჩნევს, რომ მამა ფლინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სკოლაში ერთადერთ შავკანიან მოსწავლეს. როდესაც ის თავის ეჭვებს ამხელს და ალოისიუსს უამბობს, მონაზონი იწყებს მამა ფლინის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნია მტკიცებულებები. ფილმი მაყურებელს აიძულებს თავად გადაწყვიტოს - ვინ არის მართალი.

**Silenced (2011) - მდუმარენი**




**IMDb 8/10 Rotten Tomatoes 100%**

რეალურ მოვლენებზე დაფუძნებული ფილმი, რომელიც სამხრეთ კორეის საგანმანათლებლო სისტემაში მომხდარ შემზარავ დანაშაულს ასახავს. ფილმი კორუმპირებულ სასამართლოს, სოციალურ უთანასწორობასა და ძალადობის მსხვერპლთა უუფლებობას გვიჩვენებს. კანგ ინ-ჰო (გონგ იუ) მუშაობას იწყებს ქალაქ მუჯუში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სკოლაში. ის მალევე აღმოაჩენს, რომ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები ბავშვებზე სექსუალურად და ფიზიკურად ძალადობენ. ფილმი ასახავს კორუმპირებული სასამართლო და სამართლის კრიზისს, აქტივიზმსა და უსამართლობასთან ბრძოლა.

**Cracks (2009) - ნამსხვრევები**




**R** **IMDb 6.6/10** **Rotten Tomatoes 47%**

ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც იკვლევს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, შურისძიებასა და ადამიანის ფსიქოლოგიურ ბზარებს. ფილმი დაფუძნებულია შეილა კოჰლერის რომანზე. ფილმი ვითარდება 1930-იან წლებში, ინგლისის ელიტურ გოგონათა ინტერნატში. მის ჯი (ევა გრინი) - ახალგაზრდა და შთამაგონებელი მასწავლებელია, რომელიც მოსწავლეებს თავისუფლებას, ოცნებებსა და თავდაჯერებულობას ასწავლის. მისი სტუდენტები მას აღფრთოვანებით უყურებენ და თითქმის ბრმა ნდობას გამოხატავენ. სკოლაში ახალ მოსწავლე ფიამა (მარია ვალდე) გადმოდის არისტოკრატული ესპანური ოჯახიდან. მისი დამოუკიდებელი ხასიათი და სიმტკიცე მასწავლებელსა და სხვა გოგონებს შორის დაძაბულობას ქმნის. ფილმში თანდათან ვლინდება, რომ მის ჯი არა მხოლოდ მანიპულატორია, არამედ სახიფათო აკვიატებებიც აქვს.

## სკოლა და ბულინგი

**Speak (2004) - ილაპარაკე**




**PG-13** **IMDb 7.2/10** **Rotten Tomatoes 80%**

მძაფრი და ემოციური დრამა, რომელიც სექსუალური ძალადობის შედეგად გამოწვეულ ტრავმას, მარტოობასა და გადარჩენის ძალასპოვნას გვიჩვენებს. ფილმი დაფუძნებულია ლორი ჰოლს ანდერსონის ამავე სახელწოდების რომანზე. მელინდა სორდინო (კრისტენ სტიუარტი) მშვიდი და მორიდებული მოზარდია, რომელიც სკოლაში გარიყულია. ის საზაფხულო წვეულებიდან პოლიციას იძახებს, რის შედეგადაც მისი კლასელები მას მტრულად უყურებენ, თუმცა არ იციან, რატომ გააკეთა ეს. ტრავმის გამო გოგონა ემოციურად იკეტება, თითქმის არავის ელაპარაკება. ხელოვნების მასწავლებელი მისთვის ერთგვარი თავშესაფარი ხდება - მელინდა თავის გრძნობებს

ნახატებში გადმოსცემს. ის ნელ-ნელა პოულობს ძალას, რომ სიმართლე თქვას. ფილმი გვიჩვენებს სექსუალური ძალადობის გავლენას, საზოგადოების უგულებელყოფასა და თვითგამორკვევას.

**Suicide Room (2011) - თვითმკვლელობის ოთახი**

**IMDb 6.6/10 Rotten Tomatoes 76%**

„Suicide Room“ (Sala Samobójców) არის პოლონური ფილმი, რომელიც მოზარდის დეპრესიას, კიბერბულინგს და ვირტუალურ რეალობაში გაქცევას ასახავს. დომინიკ სანტორსკი პოპულარული, მდიდარი ოჯახის შვილია. მისი ცხოვრება სკოლის წვეულების შემდეგ იცვლება. დომინიკი სკოლას თავს არიდებს და სახლში იკეტება. დომინიკი ინტერნეტში ვირტუალურ „სუიციდის ოთახში“ ხვდება, სადაც სხვადასხვა პრობლემების მქონე მოზარდები იკრიბებიან. იქ ის საიდუმლოებით მოცულ გოგონას, სილვიას (რომელიც ფსიქიკურ პრობლემებს ებრძვის), გაიცნობს. ფილმი დაგვაფიქრებს მოზარდების პრობლემებზე, მენტალურ ჯანმრთელობასა და დეპრესიაზე, კიბერბულინგსა და ვირტუალური რეალობის საფრთხეებზე. ფილმი დეპრესიისა და სუიციდის საკითხებს რეალისტურად წარმოგვიდგენს.

**Better Days (2019) - უკეთესი დღეები**

**IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 97%**

დერეკ ცანგის ჩინური კრიმინალური დრამა, რომელიც სკოლის ბულინგსა და სოციალურ უთანასწორობაზე მოგვითხრობს. ჩენ ნიანი წარჩინებული მოსწავლეა, რომელიც ეროვნული გამოცდებსთვის ემზადება. მისი სკოლა სასტიკი ბულინგის ცენტრი ხდება, როდესაც ერთ-ერთი მოსწავლე სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ბულერები ახალ მსხვერპლს ეძებენ და ჩენი ხდება მათი სამიზნე. ჩენი ქუჩაში შეხვდება ბიჭს სახელად ბეის. „Better Days“ ძლიერი ემოციური ფილმია, რომელიც სკოლის ბულინგსა და მის ტრაგიკულ შედეგებს გვიჩვენებს. ფილმში ვხედავთ სოციალური

უთანასწორობას, კლასობრივ პრობლემებს, სიყვარულსა და მეგობრობას კრიზისის დროს, მოზარდების ფსიქოლოგიური პრობლემებსა და მენტალური ჯანმრთელობის თემას.

**The Class (Klass) (2007) - კლასი**

**IMDb 7.9/10**

„The Class“ (ესტონურად: „Klass“) ესტონური ფილმია, რომელიც სკოლის ბულინგის მძიმე თემას ეხება. ფილმი სევდიანი და სასტიკი რეალობის წინაშე გვაყენებს და აჩვენებს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ძალადობასა და ჩაგვრას. მთავარი გმირი ჯოოსეპი მორცხვი და ჩაკეტილი მოსწავლეა, რომელსაც კლასელები მუდმივად ამცირებენ და სასტიკად ეჩხუბებიან. მასწავლებლები და სკოლა პრობლემას ვერ ან არ ამჩნევს, ხოლო ჯოოსეპის მშობლები შვილს ადანაშაულებენ. კლასში არის ერთი მოსწავლე, კასპარი, რომელიც თავდაპირველად ბულინგში მონაწილეობს, მაგრამ მოგვიანებით ჯოოსეპის მხარეს გადადის. კასპარი ცდილობს, დააცვას ჯოოსეპი, მაგრამ ამით თავად ხდება ჩაგვრის მსხვერპლი. ფილმი მწვავედ აყენებს საკითხს: ვინ არის დამნაშავე - მოძალადე მოსწავლეები, მასწავლებლები თუ საზოგადოება, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს და არაფერს აკეთებს? ფილმი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ემოციური ფილმია ბულინგის თემაზე.

**Freedom Writers (2007) - თავისუფლების მწერლები**




**PG-13 IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 70%**

რეალურ ამბავზე დაფუძნებული შთამაგონებელი დრამაა, რომელიც გვიამბობს მასწავლებლის ძალისხმევაზე, შეცვალოს მოსწავლეების ცხოვრება განათლების მეშვეობით. ერის გრიუველი (ჰილარი სვონქი) ახალგაზრდა და ენთუზიაზმით სავსე ინგლისური ენის მასწავლებელია. მისი მოსწავლეების ცხოვრება სავსეა ძალადობით, ბანდების დაპირისპირებებითა და სოციალური უთანასწორობით, რის გამოც მათ სწავლის მოტივაცია არ აქვთ. ერიენი მოსწავლეებს განსხვავებული მეთოდებით ასწავლის და უწევს სკოლის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ისინი სკეპტიკურად უყურებენ მის მიდგომებს.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ის აგრძელებს მოზარდების მხარდაჭერას, ხელს უწყობს მათ გაძლიერებას და უმტკიცებს, რომ მათი ცხოვრება მნიშვნელოვანია. ფილმი ემოციური და შთამაგონებელია, აჩვენებს, როგორ შეუძლია ერთ მასწავლებელს შეცვალოს მრავალი ახალგაზრდის ბედი.

**The Wave (2008) - ტალღა**




**IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 94%**

გერმანული დრამა, რომელიც რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული და გვიჩვენებს, თუ როგორ ადვილად შეიძლება საზოგადოების მანიპულირება და ავტორიტარული რეჟიმის აღზევება. გერმანელი მასწავლებელი რაინერ ვენგერი (იურიას იევესი) ატარებს ექსპერიმენტს, რათა მოსწავლეებს დიქტატურისა და ფაშიზმის საფრთხე აგრძნობინოს. გაკვეთილების განმავლობაში ის ქმნის ჯგუფს სახელწოდებით „ტალღა“, სადაც წესრიგი, დისციპლინა და ერთგულება უმთავრეს როლს თამაშობს. თავდაპირველად, მოსწავლეები ჩართულობითა და ერთიანობით აღფრთოვანებულები არიან, მაგრამ ყველაფერი მალე იცვლება. ფილმი დაგვაფიქრებს ფაშიზმისა და დიქტატურის საფრთხეზე დღევანდელობაში, ჯგუფური აზროვნების ძალა და ინდივიდუალიზმის დაკარგვა, როგორ ადვილად შეიძლება საზოგადოების მანიპულირება.

**To Sir, with Love (1967) - მასწავლებელს სიყვარულით**

**IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 90%**

შთამაგონებელი დრამა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ერთ მასწავლებელს მოზარდების ცხოვრება შეცვალოს. ფილმი ეხება განათლებას, სოციალურ კლასებს და ადამიანურ ურთიერთობებს. მარკ ტეკერეი (სიდნი პუატიე) ინჟინერია, რომელიც ვერ პოულობს სამუშაოს თავის სფეროში და იძულებულია მასწავლებლად იმუშაოს ერთ ლონდონურ სკოლაში. მოსწავლეები უხეშები და მეამბოხეები არიან მათ განათლება არ აინტერესებთ და მასწავლებლების მიმართ უპატივცემულოდ იქცევიან. მასწავლებელი ცვლის მიდგომას - ის აღარ ცდილობს უბრალოდ საგნების სწავლას, არამედ

ასწავლის ცხოვრებისეულ ღირებულებებს, ურთიერთპატივისცემასა და ზრდასრულობის მნიშვნელობას. ტეკერეი მოსწავლეებს პატივისცემით ეპყრობა და პასუხისმგებლობას აჩვევს, რაც საბოლოოდ მათ საქციელს ცვლის. ფილმი გვიჩვენებს განათლების ძალასა და მის გავლენას ახალგაზრდებზე, სოციალურ უთანასწორობასა და კლასობრივ პრობლემებს, ზრდასრულობასა და ცხოვრებისეულ გაკვეთილების.

**Dangerous Minds (1995) - ძნელად აღსაზრდელები**




**R** **IMDb 6.5/10** **Rotten Tomatoes 34%**

ფილმი რეალურ ამბავზეა დაფუძნებული და ეყრდნობა ლუან ჯონსონის ავტობიოგრაფიულ წიგნს - „My Posse Don't Do Homework". ფილმი გვიჩვენებს მასწავლებლის ძალისხმევას შეცვალოს რთულ გარემოში აღზრდილი მოსწავლეების ცხოვრება. ყოფილი საზღვაო ოფიცერი ლუან ჯონსონი (მიშელ პფაიფერი) მასწავლებლად იწყებს მუშაობას ერთ-ერთ ყველაზე რთულ სკოლაში. მისი კლასი მოურიდებელი და მეამბოხე მოზარდებით არის სავსე, რომლებიც სოციალურ პრობლემებსა და დანაშაულებრივ გარემოში ცხოვრობენ. ტრადიციული სწავლების მეთოდები არ მუშაობს, ამიტომ ლუანი ამკაცრებს დისციპლინას და ახალი მიდგომებით ცდილობს მოსწავლეების მოტივაციას. იგი იყენებს მუსიკას, პოეზიასა და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს, რათა მათთვის სწავლის მიმართ ინტერესი გააღვივოს.

**Detachment (2011) - ჩანაცვლება**

**IMDb 7.7/10** **Rotten Tomatoes 59%**

მძაფრი და ემოციური დრამა, რომელიც განათლების სისტემისა და მასწავლებლების შინაგან ტკივილზე მოგვითხრობს. ჰენრი ბარტი (ადრიენ ბროუდი) გამოცდილი, მაგრამ ემოციურად გამოფიტული მასწავლებელია. იგი დროებით მუშაობს სხვადასხვა სკოლებში, რათა თავი აარიდოს ემოციურ კავშირებს. ჰენრი ქუჩაში მყოფ მოზარდ ერიკას თავშესაფარს აძლევს და ეხმარება ცხოვრებაში ახალი გზის პოვნაში. ფილმი გვიჩვენებს მასწავლებლის შინაგან ბრძოლასა და გავლენას მოსწავლეებზე, ემოციურ იზოლაციასა და ადამიანური კავშირების ძიებას.

**Front of the Class (2008) - კლასის წინ**




**PG IMDb 8.1/10 Rotten Tomatoes 82%**

ბრედ კოენი არის ამერიკელი პედაგოგი და სპიკერი, რომელიც ტურეტის სინდრომით ცხოვრობს. მიუხედავად ამ ნევროლოგიური მდგომარეობისა, რომელიც უნებლიე ტიკებს იწვევს, მან შეძლო წარმატებული მასწავლებლის კარიერის შექმნა და ბევრის შთაგონებაც გახდა. ბევრისთვის. ფილმი სწორედ მის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ფილმში ნაჩვენებია ბრედის ბავშვობა, ოჯახთან ურთიერთობა, სკოლის წლები და გზა მასწავლებლობამდე.

**An Invisible Sign (2010) - უხილავი ნიშანი**

**PG-13 IMDb 5.3/10**

ეს არის ემოციური დრამა, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ბავშვობის ტრავმამ გავლენა მოახდინოს ადამიანის მომავალზე და როგორ შეუძლია მათემატიკას გვიჩვენოს გადარჩენის გზა. მონა გრეი (ჯესიკა ალბა) ბავშვობაში მამამისის ავადმყოფობის შემდეგ, გოგონა ემოციურად იკეტება. ის ცხოვრებას რიცხვების მეშვეობით აღიქვამს და მათში პოულობს თავშესაფარს. მონა მათემატიკის მასწავლებლად იწყებს მუშაობას და ცდილობს, მოსწავლეებს მათემატიკის თავისი სიყვარული გაუზიაროს. მონას წარსულის დაძლევა უწევს, რათა საკუთარი ცხოვრება მოაწესრიგოს და სხვებსაც დაეხმაროს. ცხოვრება მხოლოდ რიცხვებით არ იზომება, არამედ ემოციებით, ურთიერთობებითა და გამოცდილებებითაც.

**The Ron Clark Story (2006) - რონ კლარკის ისტორია**




**PG IMDb 7.6/10 Rotten Tomatoes 85%**

ფილმი რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული და მოგვითხრობს მასწავლებლის შესახებ, რომელიც მოსწავლეების ცხოვრების შეცვლას ცდილობს სიყვარულით, ენთუზიაზმითა და თავდადებით. რონ კლარკი (მეთიუ პერი) პატარა ქალაქიდან ნიუ-იორკში გადადის, რათა დაეხმაროს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს. ის ირჩევს ერთ-ერთ ყველაზე რთულ კლასს, რომელშიც დაუმორჩილებელი ბავშვები სწავლობენ. ის ქმნის ინოვაციურ, სახალისო სწავლების მეთოდებს, რომლებიც მოსწავლეებს განათლებისადმი სიყვარულს უღვივებს. მისი მიზანია, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ გამოცდები ჩააბარონ, არამედ საკუთარი პოტენციალი დაინახონ.

**School of Life (2005) - წლის საუკეთესო მასწავლებელი**

**PG IMDb 6.4/10 Rotten Tomatoes 70%**

გულისამაჩუყებელი და შთამაგონებელი ფილმი მასწავლებელზე, რომელიც არა მხოლოდ საგნებს, არამედ ცხოვრების მთავარ აზრს ასწავლის. ფოლბრუკის სკოლაში „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ ტიტულს ყოველთვის ნორმან უორნერთი იღებს, რომელიც მკაცრი და დისციპლინირებული მასწავლებელია. მაგრამ ყველაფერი იცვლება, როცა სკოლაში ახალი კრეატიული მასწავლებელი, მისტერ დენიფორდი (რეან რეინოლდსი) მოდის. მისტერ დენიფორდი ბავშვებს სწავლას განსხვავებულად, შემოქმედებითად და მხიარულად აცნობს. ის ხდება არა მხოლოდ მათი მასწავლებელი, არამედ ნამდვილი მეგობარი და ხელმძღვანელი. მისი ენთუზიაზმი და სიყვარულით სავსე დამოკიდებულება მთელი სკოლისთვის მოულოდნელი სიახლეა. ფილმი გვასწავლის, რომ ნამდვილი განათლება მხოლოდ წიგნების სწავლა კი არა, ცხოვრების ჭეშმარიტი ღირებულებების გაცნობიერებაა.

**School of Rock (2003) - როკის სკოლა**




**PG-13 IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 92%**

მხიარული კომედია, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეუძლია მუსიკას ადამიანების შეცვლა და სწავლის სახალისოდ ქცევა. დიუი ფინი (ჯეკ ბლექ) როკ-გიტარისტია, რომელიც ჯგუფიდან გააძევეს. ის უმუშევარი რჩება და დროებით საკუთარ მეგობართან, ნედთან ცხოვრობს. როცა დიუი იგებს, რომ ნედს კერძო სკოლაში მასწავლებლის სამუშაო შესთავაზეს, ის ნედის სახელით სკოლაში მიდის და გაკვეთილებს ჩატარებას იწყებს. ბავშვები ელიტარულ სკოლაში სწავლობენ, სადაც დისციპლინას მკაცრად იცავენ. დიუი ამჩნევს, რომ ბავშვებს ნიჭი აქვთ და მათთან ერთად როკ-ბენდის შექმნას გადაწყვეტს. მოსწავლეებს ენთუზიაზმი ივსებიან და მალულად ემზადებიან კონკურსისთვის.

**Glory Road (2006) - დიდებისკენ მიმავალი გზა**




**PG IMDb 7.2/10 Rotten Tomatoes 55%**

შთამაგონებელი სპორტული დრამა რეალურ ისტორიაზე, რომელიც გვიჩვენებს ერთ-ერთ ყველაზე რევოლუციურ მომენტს ამერიკის კალათბურთში. ფილმი მოგვითხრობს „ტექსასის უნივერსიტეტის“ კალათბურთელთა გუნდის შესახებ, რომელიც 1966 წელს „კალათბურთის ეროვნული ჩემპიონატის“ გამარჯვებული ხდება. მწვრთნელმა დონ ჰოსკინსმა (ჯოშუა ჯექსონი) შექმნა გუნდი, რომელიც აფროამერიკელი კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ფილმი ასახავს ბრძოლას რასიზმის წინააღმდეგ, სპორტისა და გუნდის ერთიანობის მნიშვნელობას. „Glory Road“ შთამაგონებელი და ემოციური ფილმია, რომელიც არა მხოლოდ კალათბურთის პოპულარობასა და ისტორიაში მნიშვნელოვან მომენტებზე მოგვითხრობს, არამედ იმ სოციალური გამოწვევების შესახებაც, რომლებსაც სოციუმი ექვემდებარებოდა.

**Life of a King (2013) - მეფის ცხოვრება**

**PG-13 IMDb 6.9/10 Rotten Tomatoes 38%**

ფილმი რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული და გვიყვება ლუის ჰირის (კუბა გუდინგი უმცროსი) ისტორიას, რომელიც პატიმრობის შემდეგ ქალაქში დაბრუნდება და სკოლაში იწყებს მუშაობას. მოულოდნელი გარემოებების შემდეგ ლუისი მოსწავლეებისთვის ჭადრაკის სწავლებას იწყებს. ის არა მხოლოდ ჭადრაკის თამაშს ასწავლის, არამედ მათ უყვება, რომ გადაწყვეტილებები და ზნეობა თამაშში და ცხოვრებაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

**Monster (2023) - მონსტრი**

**PG-13 IMDb 7.8/10 Rotten Tomatoes 96%**

ჰიროკაზუ კორეედას ემოციური და დაუვიწყარი ფილმი, რომელიც მთელი სპექტრით გვიჩვენებს ერთი რელობის სხვადასხვა მხარეს. ფილმში ვხედავთ - მშობლის, მასწავლებლის, დირექციისა და მოსწავლეების თვალით დანახულ - ერთ ისტორიას. სად გადის სინამდვილის ზღვარი, რამდენად უნდა გვჯეროდეს იმის, რასაც ფაქტებად ვხედავთ - როგორც მშობლები ან როგორც მასწავლებლები. ფილმი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენ წინ არსებული ხშირად სრულებითაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ფილმი ნამდვილ ისტორიასაც გვიყვება და ბოლომდე გვარწმუნებს, რომ გადაწყვეტილებების მიღება და დასკვნების გამოტანა არასდროს არ უნდა ვიჩქაროთ.